CMYK - 1

www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი 27 ოქტომბერი, 2009 წელი. №234 (2272) | ფასი 1 ლარი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

ბაიდენი: რუსეთი ინტეგრაციისკენ უნდა მიისწრაფოდეს

A8

მარკუს მილერი მაილს დევისზე

A10

"ყოჩებმა" 7-კაცვა მოიგეს

A13

24 საათი

"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი
TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

GRDC group

ჯი პი აი
ვენის საფინანსო ჯგუფი

ევროკავშირთან ურთიერთობა ხილულ კონტურებს იძენს

ვერიკო თევზაძე

რუსეთ-საქართველოს ომის შედეგები და ამ შედეგების აღმოფხვრაში ევროკავშირის მომავალი მონაწილეობა; სავიზო რეჟიმის გამარტივება; თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებაზე მოლაპარაკებების დაწყება და კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი განიხილეს გუშინ ლუქსემბურგში საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის საბჭოს მეათე სხდომაზე.

საქართველოს დელეგაციას საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე ხელმძღვანელობდა, ხოლო ევროკავშირის მხარეს - შვედეთის, როგორც ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის, საგარეო საქმეთა მინისტრი კარლ ბილტდი. შეხვედრაში მონაწილეობდნენ საგარეო ურთიერთობათა და ევროპული სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისარი ბენიტა ფერერო-ვალდნერი, ქართული მხრიდან - საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში გიორგი ბარამიძე.

გუშინდელი სხდომის შედეგებზე "24 საათს" გიორგი ბარამიძე ესაუბრა. სახელმწიფო მინისტრის ინფორმაციით, აქტუალურ საკითხთა შორის სხდომაზე ევროკავშირის მისიის როლი განიხილეს. ქართულმა მხარემ წარადგინა თავისი ხედვა, თუ როგორ ესახება ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის გაძლიერება. ბარამიძის განმარტებით, აუცილებელია ტექნიკური შესაძლებლობების გაძლიერება, მისიამ უნდა შეაღწიოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე საოკუპაციო ზოლს მიღმა. **"ამასთანავე, დაცული უნდა იყოს ადამიანის უფლებები. უმთავრესი პრიორიტეტი უნდა გახდეს იძულებით გადაადგილებულ პირთა საკუთარ სახლებში ღირსეულად დაბრუნება,"** - დასძინა სახელმწიფო მინისტრმა.

გუშინდელი სხდომის განხილვის საგანი იყო საქართველოს მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმის გამარტივების საკითხი.

გაგრძელება A3 გვერდზე

კიდევ ერთი ჰოლივუდელი თბილისში

ველ კილმერი სტანს სტორიმანსის როლს შეასრულებს

ია ვეკუა

უკანასკნელი დღეების განმავლობაში თბილისმა იმდენ მსოფლიო ვარსკვლავს გაუღო კარი, მალე ალბათ გაცვეთილი ანჯამების გამოცვლა მოგვიწევს. ჯერ იყო და ენდი გარსია ჩამობრძანდა და საქართველოს პრეზიდენტის კოსტუმი მოირგო, მერე კირა ნაიტლი "ჩამოიპარა" რუპერტ ფრენდის მოსანახულებლად, ახლა კი ველ კილმერმა დაგვაფასა. თუ ამას ირლანდიელი ვაი მოცეკვავეების დასს და თბილისის ჯაზფესტივალის პირველ მონაწილეებს დავუმატებთ, თამამად შეგვიძლია მსოფლიოში ყველაზე სტუმრიანი ქვეყნის სტატუსზე განვაცხადოთ პრეტენზია.

ველ კილმერი თბილისის აეროპორტში გვიან ღამით ჩამოფრინდა და მაშინვე ამ დროისთვის დაუდგენელ სასტუმროში დასაბინავებლად გაემგზავრა. თუმცა მის სასტუმროზე მეტად საინტერესო ცხადია ის მიზეზია, რისთვისაც მისტერ კილმერი უკვე ორი დღეა იმავე ჰაერს სუნთქავს, რასაც ჩვენ - მსახიობი რენი ჰარლინის ფილმში ომის დროს დაღუპული ჟურნალისტის როლს შეასრულებს.

გაგრძელება A10 გვერდზე


ველ კილმერი

ჰოლანდიელი ჟურნალისტი - სტარს სტორინანსი.

საქართველოს მოქალაქეები რუსმა ოკუპანტებმა გაიტაცეს

ხათუნა ჯანგირაშვილი

გუშინ დილით გავრცელებული ინფორმაცია, იმის შესახებ, რომ დუშეთის რაიონის სოფელ გრემისხევიდან, ოსმა "ბოევიკებმა" 16 ქართველი გაიტაცეს, მოგვიანებით მართლაც დადასტურდა. თუმცა, როგორც გაირკვა, ქართველები არა ოსმა "ბოევიკებმა", არამედ რუსმა ოკუპანტებმა გაიტაცეს და ახალგორში გადაიყვანეს. სოფელი გრემისხევი სწორედ ოკუპირებული ახალგორის რაიონს ესაზღვრება. გატაცებულთა ახლობლები საქართველოს ხელისუფლებისგან დახმარებას ითხოვენ.

"საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მიიჩნევს, რომ მსგავსი ინციდენტების თავიდან ასაცილებლად ყველა ბერკეტი უნდა იყოს გამოყენებული და უფრო აქტიურად მოქმედებდეს ინციდენტების პრევენციის კომისია," - ეს განცხადება საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექანდრე ნალბანდოვმა გატაცებიდან რამდენიმე საათში გააკეთა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციაზე დაყრდნობით დაადასტურა, რომ ქართველები რუსმა ოკუპანტებმა გაიტაცეს. **"მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა გატაცებულთა გასათავისუფლებლად,"** - განაცხადა მინისტრის მოადგილემ.

გაგრძელება A6 გვერდზე

CMYK - 1

lfp

Bureau of Educational and Cultural Affairs

სრულად დაფინანსებული სტაჟირება ამერიკის შეერთებული შტატების საკანონმდებლო ორგანოებში

საკანონმდებლო პრაქტიკის პროგრამა



საკანონმდებლო პრაქტიკის (LFP) პროგრამა დაფინანსებულია ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ და მას ადმინისტრირებას უწევს საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭოები საშტატო კანონმდებელთა ნაციონალური გაერთიანების ხელშეწყობით (NCSL)

2010 წლის პროგრამის ფარგლებში 10 ქართველი მონაწილე 4 კვირიან სტაჟირებას გაივლის აშშ-ს შტატის რომელიმე საკანონმდებლო ან ქალაქის ადგილობრივი მმართველობის ორგანოში.

მნიშვნელოვანი თარიღები:

საგაზაფხულო პროგრამის განაცხადის შევსების ბოლო ვადაა 2009 წლის 21 დეკემბერი; სტაჟირების პერიოდი: 2010 წლის 24 მარტი - 5 მაისი.

საშემოდგომო პროგრამის განაცხადის შევსების ბოლო ვადაა 2010 წლის 3 მაისი; სტაჟირების პერიოდი: 2010 წლის 6 ოქტომბერი-17 ნოემბერი.

პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ პირობებს:

- უნდა იყოს 25-35 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქე;
- უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას (ჰქონდეს ან შეძლოს TOEFL -ში 550-ზე (PBT) ან 80-ზე (IBT) მეტი ქულის მიღება);
- უნდა ჰქონდეს საბაკალავრო ხარისხი და გამოცდილება ან სამომავლოდ საჯარო სექტორში მუშაობის სურვილი;
- კარგად უნდა იცოდეს საქართველოს საკანონმდებლო სისტემას და ავლენდეს ლიდერისა და თანამშრომლობის უნარებს.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით:
საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭოები საქართველოში,
ჭავჭავაძის გამზირი 27/29, 0179, თბილისი
ტელ: (995 32) 292106, 913272, 913252

ელექტრონული ფოსტა:
lfp.georgia@gmail.com
www.americancouncils.ge

საკუთარი მარშრუტების "გასატანად" რუსეთი ყველაფერზე მიდის

ვინ დაწინაურდება ევროპის გაზმომარაგებისთვის ბრძოლაში, ჯერჯერობით უცნობია. დასავლეთმა რუსეთ-უკრაინის გაზის ომის დროს ალტერნატიული მარშრუტების ძიების აუცილებლობა საკუთარ თავზე იწვნია. ამიტომ, ცხადია, ინტერესი რუსეთის ტერიტორიის ალტერნატიულ მარშრუტზე გამავალი გაზსადენების მიმართ, რომელთა შორისაც გახლავთ "ნაბუკო", არ შენელებულა. თუმცა რუსეთი გასულ კვირას ამ მიმართულებით განსაკუთრებით გააქტიურდა და ჩრდილოეთის და სამხრეთის მარშრუტების მშენებლობის საქმეში გარკვეულ წინსვლასაც მიაღწია.

თამარ ივანიძე

"ფინეთი მზად არის, საკუთარ ტერიტორიულ წყლებში რუსეთს "ჩრდილოეთის ნაკადის" გაყვანის უფლება მისცეს," - ეს განცხადება ამ დღეებში რუსეთის პრემიერმა ვლადიმირ პუტინმა გააკეთა. პუტინის ინფორმაციით, ოფიციალურ თანხმობას ფინეთიდან უკვე წლის ბოლოსთვის ელიან.

"ჩრდილოეთის ნაკადმა" რუსეთიდან, ბალტიის ზღვის გავლით, ბუნებრივი აირი ევროპას უნდა მიაწოდოს. ეს პროექტი ითვალისწინებს, რომ რუსეთმა გვერდი აუაროს დასავლელ მეზობლებს, მათ შორის ბალტიის ქვეყნებსა და პოლონეთს, რომლებიც ბალტიის ზღვის საკუთარ მონაკვეთებზე გაზსადენის გაყვანას ეწინააღმდეგებიან. ფინეთის თანხმობა ამ პროექტის განხორციელებას უფრო კონკრეტულ პერსპექტივას შესძენს.

თუმცა, ცხადია, ეს თანხმობა რუსეთს "უფასოდ" არ მიუღია. თავად პუტინისავე განცხადებით, სანაცვლოდ რუსეთმა უარი თქვა დეკლარირებულ გადაწყვეტილებაზე - გაეზარდა გადასახადები რუსეთის ხე-ტყის ექსპორტზე. შედეგად, თუ ეკონომიკური თვალსაზრისით მივუდგებით, რუსეთი მომავალი გაზსადენიდან მიღებული დივიდენდების სანაცვლოდ, ხე-ტყის გადამამუშავებელი მრეწველობის ინტერესებს აზარალებს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ გაზსადენის მშენებლობისას რუსეთს, პირველ რიგში, პოლიტიკური ინტერესები ამოძრავებს და შემდეგ - ეკონომიკური.

სხვათა შორის, გარკვეული დათმობების ხარჯზე წარმატებებს აღწევს რუსეთი სამხრეთის მარშრუტის მიმართულებითაც. კერძოდ, ამ დღეებში ცნობილი გახდა, რომ თურქეთმა, რომელიც, სხვათა შორის, "ნაბუკოს" პროექტის ერთ-ერთი მთავარი მონაწილეა, რუსეთს უფლება მისცა, შავი ზღვის ფსკერის მდგომარეობა შეისწავლოს "სამხრეთის ნაკადის" პროექტირებისთვის.

როგორც რუსული მედიასაშუალებები იუწყებიან, ამ პროექტის სანაცვლოდ, რუსეთმა თანხმობა განაცხადა, მონაწილეობა მიიღოს ნავთობსადენ სამსუნგ-ჯეიჰანის მშენებლობაში, რომელზეც 2005 წლიდან საუბრობენ, თუმცა ჯერჯერობით ამ საუბრებს განსაკუთრებული წარმატება არ მოჰყოლია.

რაც შეეხება "ნაბუკოს", გასულ კვირას ცნობილი გახდა, რომ კონსორციუმმა საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან პროექტის დაფინანსების შესახებ დეტალური მოლაპარაკებები დაიწყო.

კონსორციუმის აღმასრულებელ დირექტორ რეინჰარდ მიტშეკის თქმით, მოლაპარაკებები დაწყებულია ევროპის საინვესტიციო ბანკთან, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან, ასევე პროცესი დაიწყება საერთაშორისო ფინანსურ კორპორაციასთან.

ამის შესახებ ნათქვამია აზერბაიჯანში "ნაბუკოს" ოფიციალურ პიარპარტნიორად მიჩნეულ კომპანია Action Global Communications Ltd-Azerbaijan-ის მიერ გასული კვირის მიწურულს გავრცელებულ ცნობაში.

მოლაპარაკების ერთ-ერთ მიზნად სახელდება, ასევე, კრედიტორების ინფორმირება გარემოსა და სოციალურ ვითარებაზე პროექტის ზეგავლენის შესახებ.

როგორც ცნობილია, "ნაბუკოს" პროექტი 7,9 მილიარდ ევროდ არის შეფასებული.

"იმედი გვაქვს, კერძო კრედიტორების მიერ დაფინანსების საკითხი მომავალ წელს განისაზღვრება," - განაცხადა მიტშეკმა.

ამ დღეებში ასევე ცნობილი გახდა, რომ "ნაბუკოს" პროექტში ჩართვის სურვილი ღიად დააფიქსირა ყაზახეთმა.

ყაზახეთი, აზერბაიჯანთან და თურქმენეთთან ერთად, "ნაბუკოს" გაზსადენის ბუნებრივი აირით დატვირთვას უზრუნველყოფს. მიუხედავად იმისა, რომ პირველ ეტაპზე "ნაბუკოს" დასატვირთად აზერბაიჯანის თანხმობაც საკმარისია, პროექტის წარმატებით რეალიზაციისთვის მისი განმახორციელებლები მნიშვნელოვნად მიიჩნევენ შუა აზიის ზემოთ ხსენებული ორი ქვეყნის პოზიციასაც.

თვალსაზრისი

შერჩევითი დემოკრატია

ეკა კვესიტაძე

სკანდალმა, რომელიც თეა თუთბერიძის გარშემო აგორდა, ყველას მილოშ ფორმანის ცნობილი ფილმი "ხალხი ლარი ფლინტის წინააღმდეგ" გაახსენა და გაახსენა სავსებით მართებულად. რადგან იშვიათად ყოფილა ანალოგია და პარალელები ასეთი ცხადი.

"მე არ ვცდილობ დაგარწმუნოთ იმაში, რომ ის, რასაც ლარი ფლინტი აკეთებს, კარგია. პირადად მე არ მომწონს, რასაც ის აკეთებს. მაგრამ რაც ძალიან მომწონს, არის ის, რომ ვცხოვრობ ქვეყანაში, სადაც მე და თქვენ დამოუკიდებელი არჩევანის გაკეთება შეგვიძლია. მე მომწონს, რომ ვცხოვრობ ქვეყანაში, სადაც შემიძლია ავიღო ჟურნალი "Hustler" და ის ან წავიკითხო, ან სანაგვე ყუთში მოვისროლო - იქ, სადაც, სინამდვილეში მისი ადგილია. მე ისიც შემიძლია, რომ სართოდ არ ვიყიდო ეს ჟურნალი და ძალიან მომწონს, რომ ეს უფლება მაქვს. მე ვუფრხილდები ამ უფლებას ისევე, როგორც მინდა, რომ თქვენც გაუფრთხილდეთ მას - რადგან თავისუფალ ქვეყანაში ვცხოვრობთ. ჩვენ ხშირად ვიმეორებთ ამას, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც ხშირად გვავიწყდება, რას ნიშნავს ეს. ჩვენ ვცხოვრობთ თავისუფალ ქვეყანაში და ეს არაჩვეულებრივია. მაგრამ თავისუფლებასაც აქვს თავისი ფასი - და ეს ფასი ხშირად ისეთი რამის მოთმინებით ატანაა, რაც არ მოგვწონს ან ძალიან არ მოგვწონს. თქვენ შეგიძლიათ, რაც გინდათ, ის იფიქროთ ლარი ფლინტზე და მის ჟურნალზე. მაგრამ, თავისუფლება, რომლითაც თითოეული ჩვენგანი სარგებლობს, ახლა თქვენს ხელშია. და თუ თქვენ დღეს კედელს აღმართავთ და იტყვით, რომ რასაც სხვები ფიქრობენ, ეს ცოდვაა, მაშინ ერთ დღესაც ასეთი კედლები ყოველ ფეხის ნაბიჯზე დაგვხვდება. ეს კი უკვე თავისუფლება აღარ არის".

ეს ნაფიც მსაჯულთა წინაშე ფლინტის ადვოკატის ედვარდ ნორტონის მიერ წარმოთქმული სიტყვებია და მე დღეს თითოეულ ამ სიტყვას ვიმეორებ.

არაფერი შეიძლება იყოს იმაზე სასაცილო, როგორიც ხელმოწერების შეგროვება თეა თუთბერიძისაგან პატრიარქის დასაცავად, ისტერიული განცხადებები, თავში ხელის, გულზე კი მჯიღის ცემაა.

ძალიან მარტივია იმის მიხვედრა, რომ, როდესაც ადამიანი უხამსობს, ეს მხოლოდ მასზე მეტყველებს და არა ამ უხამსობის ობიექტზე. მარტივია ისიც, რომ თუ ამდაგვარი მასალა შემოგხვდა youtube-ის უსასრულო სივრცეში, მას შეგიძლია უყურო, შეგიძლია, აღშფოთდე, გამოხატო შენი აზრი მეგობრების წრეში ან თუნდაც საჯაროდ და მერე დაივიწყო. ისიც შესაძლებელია, რომ ეს მასალა საერთოდ არ ნახო, ანუ არჩევანის თავისუფლება ადამიანს უამრავ შესაძლებლობას ანიჭებს.

მაგრამ, ამ შესაძლებლობით სარგებლობა საქართველოში მომგებიანი არ არის - რადგან ყველა ელოდება თემას, რომლით სპეკულირება ასე ადვილია, რომლითაც შეგიძლია ადვილად დაამტკიცო, რომ ქართული სულისა და რწმენის სადარაჯოზე დგახარ, რომელიც კიდევ ერთელ მოგცემს საბაბს, ხელისუფლება ეკლესიისა და ქართული ფასეულობის წინააღმდეგ დაწყებულ ბრძოლაში დაადანაშაულო. რათა ქვათა მსროლელთა დიდ არმიას შეუერთდე და ერთი ქვა საკუთარი სახელითაც ისროლო.

მაგრამ ამ ყველაფერში მთავარი ეს არ არის. მთავარი და ამ სიტუაციის ყველაზე დიდი პარადოქსი არის ის, რომ ხელისუფლებისგან თუთბერიძის დასჯას (ხაზს ვუსვამ - დასჯას) ის ადამიანები ითხოვენ, რომლებიც წლებია "ავტორიტარიზმს" ყველა შესაძლო ფორმით აპროტესტებენ და ხელისუფლებისგან დემოკრატიას, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას ითხოვენ.

თუთბერიძის ჩაქოლვის მომხრე მხოლოდ ფანატიკოსების მცირე წრე რომ იყოს, ის ადამიანები, რომლებიც ყოველდღიურად მის პირად გვერდზე უხამს გინებას და შემზარავ მუქარას გზავნიან, მაშინ პრობლემაც ნაკლები იქნებოდა, რადგან მსგავსი წრეების რისხვისგან დაცულები თვით ყველაზე ცივილურ ქვეყნებშიც არ არიან. მაგრამ ქვის მსროლელთა ავანგარდში თავისუფლებისმოყვარე ქართული მედია და დემოკრატიისთვის მებრძოლი ადამიანები არიან - არასამთავრობო ორგანიზაციები, საერთო სათაურით - "ადამიანის უფლებათა დამცველები". ვინ ან რა დაუცავთ ამ ადამიანებს ან დემოკრატიისთვის მებრძოლ ოპოზიციონერებს - ეთნიკური, რელიგიური თუ სექსუალური უმცირესობების უფლებები, თუ ხვალ იმ კათოლიკეთა შეურაცხყოფას გააპროტესტებენ, რომლებსაც სახლში მისდით ბროშურები წარწერით - "ყველა კათოლიკე მღვდელი პედოფილია". რა თქმა უნდა, არა, რადგან საქართველოში ადამიანის უფლებები, ისე როგორც დემოკრატიის სხვა ფუნდამენტური პრინციპები, მხოლოდ მაშინ არის კარგი და აქტუალური, თუ ის რომელიმე ძალის პოლიტიკურ ინტერესებს ერგება - სხვა შემთხვევაში დემოკრატიის ყველა გამოვლინება საქართველოს სულიერებისა და მეობის, ეკლესიისა და რწმენის წინააღმდეგ ბრძოლად ინათლება. რადგან ამ ქვეყანაში ადამიანის უფლებები მხოლოდ იმ ადამიანის უფლებების ხელშეუხებლობასთან არის გაიგივებული, ვინც საზოგადოების "მეინსტრიმს" შეაადგენს და ასეთები მხოლოდ "ჭეშმარიტი, მართმადიდებელი ქართველები", "ნაღდი თბილისელები" თუ "ქართული ჯიგარის მქონე" ადამიანები არიან.

ფარისევლობისა და უვიცობის ამ შხამიანმა ნაზავმა უკვე აღარ დატოვა ადგილი საღი და საქმიანი დისკუსიისთვის და ყველა საკუთარი კონიუნქტურის მსხვერპლად აქცია - ხელისუფლებაც, ოპოზიციაც, მედიაც, სამოქალაქო სექტორიც და ქუჩაში მიმავალი ჩვეულებრივი ადამიანიც. ყველანი ამ კონიუნქტურას ემონებიან და ემსახურებიან, ამბობენ იმას, რასაც არ ფიქრობენ და რისიც არ სწამთ, რადგან რაც უფრო დიდია ფარისევლობა, მით მეტია ამ კონიუნქტურიდან მიღებული სიკეთე და პირიქით.

ამიტომ, ახლა, ამ წუთში ვებრძვი საკუთარ თავს, რათა დავძლიო შიში, რომელიც შინაგად მხრავს და ვთქვა - თეა თუთბერიძე, ეს მე ვარ. რადგან მიმაჩნია, რომ თავისუფლების დაცვა ამად ღირს.

P.S. უფალო, დამიფარე შენ ეგზალტირებული მრევლისგან, საკუთარი კოლეგების, ფარისეველი პოლიტიკოსებისა და ინტელიგენციისგან.

სტატია გამოქვეყნებულია ვებგვერდზე azrebi.ge

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები: მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ევროკავშირთან ურთიერთობა ხილულ კონტურებს იძენს

პირველი გვერდიდან

როგორც ქართული მხარე განმარტავს, პროცესი წარმატებით მიმდინარეობს და საბოლოო შედეგს, სავარაუდოდ, მომავალი წლის ზაფხულისთვის უნდა ველოდოთ. აღსანიშნავია, რომ საქართველო ერთადერთი ქვეყანაა სამხრეთ კავკასიაში, რომელთანაც ევროკავშირი ამ საკითხზე აწარმოებს მოლაპარაკებას.

საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის საბჭოს სხდომაზე ასევე იმსჯელეს ე.წ. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ. შესაბამისი ხელშეკრულების გასაფორმებლად ევროკავშირთან მოლაპარაკებები ამ წლის ბოლოს ან 2010 წლის დასაწყისთვის არის ნავარაუდევი. პროცესის დასრულებას (ხელშეკრულების გაფორმებას) ალბათ 3-4 წელი დასჭირდება.

ქართული მხარე აღნიშნავს, რომ ევროპის ეკონომიკურ სივრცეში გაერთიანების პერსპექტივა საქართველოში უცხოელ ინვესტორებს მოიზიდავს.

ასევე, საქართველო და ევროკავშირი მომავალში დაიწყებენ მუშაობას ხელშეკრულებაზე "საქართველოს მოქალაქეების მობილურობის შესახებ". სოციალური თვალსაზრისით, ეს ყველაზე მნიშვნელოვანი თემაა. აღნიშნული ხელშეკრულება გულისხმობს იმას, რომ ჩვენს მოქალაქეებს შეეძლებათ ევროკავშირის ტერიტორიაზე არა უბრალოდ შესვლა, არამედ იქ ლეგალურად მუშაობის დაწყება, ოღონდ ერთი პირობით - ოთხი-ხუთი წლის მუშაობის შემდეგ სხვადასხვა სამუშაოებზე დასაქმებული პირები აუცილებლად უნდა დაბრუნდნენ სამშობლოში.

ხსენებული ხელშეკრულების გაფორმება ჩვენს თანამემამულეებს საშუალებას მისცემს, ლეგალურად იცხოვრონ და იშრომონ ევროკავშირის სივრცეში და თავიანთი შრომის შესაბამისი ანაზღაურება მიიღონ.

ევროკავშირისა და საქართველოს მხარეებმა იმსჯელეს იმის შესახებაც, რომ ჩვენი ქვეყანა ერთიანი საჰაერო მიმოსვლისა და კონტროლის ევროპული სივრცის ნაწილი გახდეს.

გუშინდელ სხდომაზე საუბარი შეეხო ევროკავშირთან საქართველოს ურთიერთობის შემდგომი გაღრმავების საკითხს უსაფრთხოების თვალსაზრისით; მათ შორის იგულისხმება აქტიური თანამშრომლობა ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხებში, ასევე სხვადასხვა ღონისძიების გატარება ტერიტორიული მთლიანობის დაცვის თვალსაზრისით.

საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის საბჭოს გუშინდელ სხდომაზე ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის განხორციელება შეფასდა. სახელმწიფო მინისტრ გიორგი ბარამიძის განცხადებით, ევროკავშირმა 2008 წელს ჩვენს ქვეყანაში განხორციელებული რეფორმები დადებითად შეაფასა. **"ეს მიუხედავად რუსეთთან ომისა, ეკონომიკური კრიზისისა და შიდაპოლიტიკური დაძაბულობისა,"** - დამატებით განმარტავს გიორგი ბარამიძე. "24 სათთან" საუბარში სახელმწიფო მინისტრმა ასევე დასძინა, რომ დემოკრატიული რეფორმების თვალსაზრისით, ქვეყანაში ძალინ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. **"თუმცა ამ ეტაპზე,** - ამბობს ბარამიძე, - **ჩვენმა ქვეყანამ უმძიმეს სიტუაციაშიც კი დაამტკიცა, რომ საქართველოში რეფორმები შეუქცევადია."**

კონსტანტინე გამსახურდიას სადეპუტატო უფლებამოსილების ცნობის საკითხი მომავალი კვირის სესიაზე გავა

პრეზიდენტის ინიციატივით კონსტიტუციაში უპრეცედენტო ცვლილება შევიდა. აღნიშნული ცვლილების საფუძველზე ოპოზიციის ლიდერებს, რომლებმაც მანდატებზე საკუთარი სურვილით თქვეს უარი, პარლამენტში შესვლის და სადეპუტატო უფლებამოსილების აღდგენის შესაძლებლობა მიეცათ.

პრეზიდენტის ეს შეთავაზება ჯერჯერობით მხოლოდ კონსტანტინე გამსახურდიამ მიიღო, თუმცა როგორც ოპოზიციონერი დეპუტატი ჯონდი ბაღათურია ირწმუნება, პარლამენტში შესვლის შესახებ კონსულტაციები ოპოზიციის კიდევ ორ ლიდერთან მიმდინარეობს, თუმცა ბაღათურია მათ ვინაობას არ ასახელებს.

კონსტიტუციასა და პარლამენტის რეგლამენტში შეტანილი ცვლილებების თანახმად, ოპოზიციის წარმომადგენლებს პარლამენტში დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად და შესაბამისი განცხადებების დასაწერად მიმდინარე წლის ბოლომდე აქვთ ვადა. სადეპუტატო უფლებამოსილების აღდგენის შესახებ პარტია "თავისუფლების" ლიდერ კონსტანტინე გამსახურდიას განცხადება უკვე პარლამენტშია. ამ განცხადების განხილვა ერთკვირიან ვადაში საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს დაევალა.

ბიუროს სხდომაზე პარლამენტის პირველმა ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა განაცხადა, რომ პარლამენტი კონსტანტინე გამსახურდიას უფლებამოსილებას უახლოეს სესიაზე ცნობს.

საკუთარი ინფორმაცია

პანკისის სცენარი - ახალი საფრთხე რუსეთიდან

ნათია მსხილაძე

საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები გაზაფხულზე პანკისის კრიზისის განმეორებას ვარაუდობდნენ. მათ, ამის გამო, პარლამენტში ნდობის ჯგუფის მოწვევა მოითხოვეს. ამ ყველაფერს კი საფუძვლად ედო უკანასკნელ პერიოდში რუსული მედიით გავრცელებული სხვადასხვა ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელთა განცხადებები, რომლებშიც საქართველოში ტერორისტული ჯგუფების არსებობაზე იყო საუბარი. რუს ძალოვანთა ასეთი გამოსვლები, ქართველ ოპოზიციონერ დეპუტატთა მტკიცებით, მოვლენათა განვითარების იმ "ლოგიკის" გამეორებაა, რითიც რამდენიმე წლის წინ პანკისის კრიზისი იწყებოდა. **"აუცილებელია, ნდობის ჯგუფმა მოისმინოს ინფორმაცია, თუ რამდენად ეფექტიანად ხდება სახელმწიფოსთვის მოსალოდნელი საგარეო საფრთხის პროგნოზირება და ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისთვის ინფორმაციის დროული მიწოდება,"** - ეს საკითხი საპარლამენტო უმცირესობის ლიდერმა, "ქრისტიან-დემოკრატმა" გიორგი თარგამაძემ გუშინ ბიუროს სხდომაზე დააყენა. მისივე მოთხოვნით, უშიშროების საბჭოს მდივანთან ერთად, მოწვეული უნდა იქნენ საზღვრის დაცვის დეპარტამენტის უფროსი და ანტიტერორისტული ცენტრის ხელმძღვანელი.

ნდობის ჯგუფის წევრმა უმრავლესობის კვოტით ზაზა გელაშვილმა ბიუროს სხდომაზე გიორგი თარგამაძის მოთხოვნის საპასუხოდ განაცხადა, რომ აღნიშნული უწყებების ხელმძღვანელებს გაეგზავნებათ მოთხოვნა, რათა რამდენიმე დღეში მოამზადონ საკითხი და ნდობის ჯგუფის სხდომა უახლოეს დღეებში დაინიშნოს. სხდომის ჩატარების თარიღი კი მას შემდეგ დაზუსტდება, რაც უწყებების ხელმძღვანელები მზად იქნებიან საკითხის განსახილველად. **"ეს არ არის კვირეების საქმე. ეს დღეების საქმეა და სხდომა უახლოეს დღეებში გაიმართება,"** - აცხადებს ზაზა გელაშვილი.

ნდობის ჯგუფის სხდომის გამართვის მიზანშეწონილობაზე სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმაც ისაუბრა.

"ქართული დასის" ლიდერი, დეპუტატი ჯონდო ბაღათურია დარწმუნებულია, რომ მისმა კოლეგამ გიორგი თარგამაძემ ნდობის ჯგუფის მოწვევის მოთხოვნით უნებლიე შეცდომა დაუშვა.

ბაღათურიამ ჟურნალისტებთან საუბრისას კოლეგას "შეახსენა", რომ სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხების შესახებ უშიშროების საბჭოს ფორმატში უკვე არსებობს პოლიტიკური შეთანხმება და მოუწოდა, საგარეო დაზვერვის სამსახურის უფროსის მოსმენის საკითხი სწორედ უშიშროების საბჭოზე დასვას. **"პანკისის ხეობის პრობლემა ძალიან საინტერესოა და მხოლოდ თორთლაძისა და თარგამაძის განსახილველი არ არის,"** - აღნიშნა ბაღათურიამ.

ქართველ ექსპერტთა აზრით კი, რუსეთი პანკისის ხეობის საკითხით საერთაშორისო საზოგადოებაში მანიპულირებას ცდილობს. პანკისის ხეობა რამდენიმე წლის წინათ ტერორისტებთან ასოცირდებოდა და ამ საკითხის წამოწევა რიგით ობივატელში სწორედ ტერორიზმის საფრთხესთან იგივდება. ამით რუსეთს სურს, საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება ამ კონტექსტში მიიქციოს. **"თავის დროზე რუსეთის საინფორმაციო საშუალებებმა და პოლიტელიტამ მოახერხეს საქართველოს როგორც ტერორისტთა თავშესაფრის იმიჯის დამკვიდრება და ქვეყნისთვის ამ იმიჯის ჩამოცილებას დიდი ბრძოლა დასჭირდა. პანკისის ხეობა უცხოელი ობივატელის ყურში დარჩა როგორც ტერმინი, რომელიც ესადაგება ტერორიზმს. რუსები ამას მუდმივად ატრიალებენ და როდესაც "ალ ქაიდა"-ს შესახებ ინფორმაცია საქართველოსთან კონტექსტში გაჟღერდა, ამ საკითხში გარკვეულებმა, ბუნებრივია, ეს დააკავშირეს პანკისის ხეობასთან, მე ვსაუბრობ უცხოელ ობივატელზე. აქედან გამომდინარე, ხელისუფლების უყურადღებობა ან არასწორი პოლიტიკა შეიძლება პერსპექტივაში ძალიან ცუდად დაგვიბრუნდეს, "** - განაცხადა ექსპერტმა კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძემ.

ედუარდ შევარდნაძე ჩვენებას მისცემს

საქართველოს ექს-პრეზიდენტი 81 წლის ედუარდ შევარდნაძე მზადაა საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების მიზეზების დამდგენ საპარლამენტო კომისიას ჩვენება მისცეს. ედუარდ შევარდნაძე 1993 წელს მომხრე იყო ზვიად გამსახურდიას ნეშტისათვის ექსპერტიზა ჩაეტარებინათ. თუმცა, საქართველოს პირველი პრეზიდენტის მეუღლემ მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ ზვიად გამსახურდიას ნეშტი დასავლეთ საქართველოდან პირდაპირ ჩეჩნეთში გადაასვენა.

საგენტო "ჯი-ეიჩ-ენის" ცნობით, შევარდნაძე ასევე აცხადებს, რომ იმ დროს ზვიად გამსახურდიას თვთმკვლელობაში ეჭვი არავის ეპარებოდა.

საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია 1992 წლის 7 იანვარს საქართველოდან განდევნეს. საქართველოში იგი 1993 წელს დაბრუნდა და ამავე წელს დასავლეთ საქართველოში გარდაიცვალა. საქართველოში ზვიად გამსახურდია 2007 წელს გადმოასვენეს.

რამდენიმე დღის წინ საქართველოს პარლამენტში შექმნილი საპარლამენტო დროებითი კომისია 54 წლის ასაკში გარდაცვლილი პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების მიზეზებისა და გარემოებების შესწავლას აპირებს. საგამოძიებო კომისია მუშაობას ოქტომბრის ბოლოს დაიწყებს. არსებობს ვერსია, რომ დასავლეთ საქართველოში ჩასულ საქართველოს პირველ პრეზიდენტს სპეცსამსახურები დევნიდნენ.

სამუშაოთა განაცხადი

ფინანსური ანგარიშგების აუდიტი

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის შესაბამისად სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭო აცხადებს კონკურსს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" 2008 წლის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარებაზე. აუდიტი უნდა ჩატარდეს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISA) შესაბამისად.

აუდიტორული დასკვნა წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, 3 ეგზემპლიარად, 2010 წლის 15 აპრილამდე, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" ადმინისტრაციულ შენობაში (ქ. თბილისი, კოსტავას ქ. N68)

საკვალიფიკაციო მოთხოვნები

- აუდიტორული კომპანიის მსხვილ კლიენტებთან მუშაობის გამოცდილება, სასურველია ტელერადიო-მაუწყებლობის სფეროში:
- აუდიტის პროცესში მონაწილე აუდიტორთა თანამდებობა და კვალიფიკაციის დონე:
- აუდიტის სავარაუდო ღირებულება:
- აუდიტორული კომპანიის წერილი, რომ მას გათვითცნობიერებული აქვს შესასრულებელი სამუშაოს მასშტაბი.

შესასრულებელი სამუშაოს დაწყების თარიღი და პერიოდი

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს მიერ სამუშაოს დაწყების თარიღად განისაზღვრა 2009 წლის 1 დეკემბერი. გთხოვთ, სამუშაოს დაგეგმვისას გაითვალისწინოთ ეს მოთხოვნა და წინადადებები წარმოგვიდგინოთ ამ ვადების შესაბამისად.

5. წინადადებების მიღების და შერჩევის პროცესი

გთხოვთ, თქვენი წინადადებები წარმოგვიდგინოთ მიმდინარე წლის 15 ნოემბრამდე, სადაც მითითებული იქნება შესასრულებელი სამუშაოს სავარაუდო ღირებულება.

თქვენი წინადადების საფუძველზე, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭო შეარჩევს და 20 ნოემბრამდე გამოაცხადებს გამარჯვებულ კომპანიას.

6. საკონტაქტო ინფორმაცია

კითხვების წარმოშობის შემთხვევაში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ დაუკავშირდეთ საკონტაქტო პირებს.

საკონტაქტო პირები:

ირინე ზაქარიაშვილი - სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს აპარატის უფროსი. ტელ: (995 32) 409-440

კახა კაპანაძე - სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" ფინანსური დეპარტამენტის უფროსი. ტელ: (995 32) 409 410

ლევან გახელაძე
სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს თავჯდომარე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარედ ტატო ურჯუმელაშვილი დაინიშნა

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ტატო ურჯუმელაშვილი უხელმძღვანელებს. ურჯუმელაშვილი აღნიშნულ თანამდებობაზე პრემიერ-მინისტრის მიმდინარე წლის N314 ბრძანებულებით დაინიშნა. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მანამადე სოსო ვარსემაშვილი ხელმძღვანელობდა, რომელიც ენერგეტიკის მინისტრის მოადგილედ დაინიშნა. ენერგეტიკის მინისტრს ვარსემაშვილის ჩათვლით ოთხი მოადგილე ჰყავს.

"საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის მხარდამჭერი პროექტის" მიმდინარეობას დონორი და არასამთავრობო ორგანიზაციები გაეცნენ

ფინანსთა სამინისტროში "საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის მხარდამჭერი პროექტის" მიმდინარეობას დონორი, არასამთავრობო ორგანიზაციები და სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენლები გაეცნენ. დღევანდელ შეხვედრაზე, რომელიც სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" გაიმართა, პრეზენტაცია პროექტის მიმდინარეობის შესახებ ფინანსთა მინისტრმა კახა ბაინდურაშვილმა გამართა. პრეზენტაციაზე წარდგენილი იყო ის კონკრეტული სამუშაოები, რომელიც აღნიშნული პროექტის ფარგლებში ჩატარდა. ფინანსთა მინისტრის განცხადებით, ამ მიმართულებით სამინისტრო დონორებთან აქტიურად თანამშრომლობს. "გვაქვს საერთო პროექტი, რომელშიც გაწერილია ყველაფერი, რის გაკეთებასაც ვგეგმავთ. დღევანდელ შეხვდრაზე ვისაუბრეთ მიმდინარე წელს სახელმწიფო ფინანსების რეფორმების პროგრესზე, მათ შორის აღსანიშნავია საბიუჯეტო კოდექსის შემუშავება, შიდა აუდიტის კანონმდებლობის მომზადება, ცვლილებები, რომლებიც შემოსავლების სამსახურში განხორციელდა," - აღნიშნა ბაინდურაშვილმა.

სახელმწიფო ფინანსების მართვის სპეციალისტ ელენე იმნაძის განცხადებით, უკვე რამდენიმე წელია, მსოფლიო ბანკი ამ მიმართულებით ფინანსთა სამინისტროსთან თანამშრომლობს. მისი შეფასებით, მიღწეული პროგრესი ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ გასაკეთებელი კვლავ ბევრია. მსგავსი თანამშრომლობის ფარგლებში კი უფრო მარტივია გეგმების შედგენა იმ კონკრეტულ საკითხებზე, სადაც პრობლემები კვლავ არსებობს.

"საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის მხარდამჭერი პროექტი" რამდენიმე მიმართულებას მოიცავს - სახელმწიფო ბიუჯეტის მომზადება და შესრულება; ნაღდი ფულისა და ვალდებულებების მართვა; სახელმწიფო ვალის მართვა; სახაზინო ოპერაციები, საბუღალტრო აღრიცხვა და სხვა.

"არქიტექტურული პრემია 2009"

სალომე ძაძამია

არქიტექტორებისა და დიზაინერების ნახალისების მიზნით, ოთხი წლის წინ ჟურნალმა "სტილმა" არქიტექტურული პრემია დააარსა. არქიტექტორების სტიმულირებისთვის მათი ნამუშევრების პოპულარიზაციისთვის და საზოგადოებაში მშენებლობის და არქიტექტურის რეიტინგის ასამაღლებლად - საუკეთესო არქიტექტურული ნამუშევრებისა და საუკეთესო ინტერიერების გამოსავლენად 2006 წელს ჟურნალ "სტილის" ეგიდით საფუძველი ჩაეყარა ახალ პროექტს და საქართველოში პირველად ჩატარდა კონკურსი "არქიტექტურული პრემია 2006." პროექტმა პროფესიონალების, სამშენებლო თუ არქიტექტურული კომპანიების, საზოგადოების მნშვნელოვანი ნაწილის ინტერესი გამოიწვია. კონკურსში მონაწილეობის მსურველთა არეალი გაფართოვდა და პროექტმა საერთაშორისო დატვირთვა მიიღო. 2007 წელს ჟურნალ "სტილის" და კომპანია "კაპაროლ ჯორჯიას" ორგანიზატორობით ჩატარდა კონკურსი, 2008 წელს კი თბილისობის დღესასწაულზე პროექტს თბილისის მერიამ და საკრებულომ დაუჭირა მხარი.

წელს კვლავ თბილისობის დღესასწაულის ფარგლებში ჟურნალმა "სტილმა," "არქიტექტორთა კლუბმა" და თბილისის მერიამ საუკეთესო არქიტექტურული ნამუშევრები ერთად გამოავლინეს. წლევანდელ კონკურსში წარმოდგენილი იყო 134 ნამუშევარი, მონაწილეობა მიიღო 110-მა არქიტექტორმა და დიზაინერმა, მათ შორის უცხოელმა არქიტექტორებმა - აზერბაიჯანიდან, ლიტვიდან, დანიიდან, საფრანგეთიდან და ინგლისიდან.

საერთაშორისო კონკურსის ჟიური ორი ნაწილისგან შედგება. პროფესიონალური საბჭო და საზოგადოებრივი საბჭო, რომელიც ალტერნატიულ ჟიურის წარმოადგენს.

დედაქალაქის მერმა გიგი უგულავამ აღნიშნა, რომ კონკურსის არსებობა არქიტექტორებსა და დიზაინერებს მეტ მოტივაციას უჩენს, ისეთი პროექტები შექმნან, რომლებიც თბილისის და თბილისელების პრეტენზიულ გემოვნებას დააკმაყოფილებს.

"თბილისის კულტურულ ცხოვრებაში ჩვენი კონკურსი კარგად ჩაეწერა. წლიდან წლამდე თვალნათელია პროგრესი. მნიშვნელოვანია ის, რომ ადრე დამტკიცებულ კონცეფციებს ვაძლევდით უპირატესობას, ახლა კი სახეზე გვაქვს დასრულებული შენობები. არქიტექტურულ ბაზარზე დიდი მრავალფეროვნებაა, რაც კონკურსზეც აისახება. მნიშვნელოვანია ისიც, რომ თბილისში პროექტებს საკმაოდ ცნობილი უცხოელი არქიტექტორები ახორციელებენ. რაც უფრო მეტი იქნება კონკურენცია და გახსნილობა, საბოლოო ჯამში ამით თბილისი და თბილისელები ისარგებლებენ, რომლებიც საკმაოდ პრეტენზიულები არიან თითოეული არქიტექტურული ნოვაციის მიმართ. საკმაოდ მალე საზოგადოების სამსჯავროზე გამოვიტანთ დავით აღმაშენებლის გამზირის რეაბილიტაციის პროექტს და მთელს საზოგადოებას ექნება საშუალება, ჩაერთოს პროექტში, რის შემდეგაც ჩვენ თბილისის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, პრეტენზიული და მაღალი კლასის გამზირის რეაბილიტაციას დავიწყებთ," - განაცხადა თბილისის მერმა გიგი უგულავამ.

ჟურნალ "სტილის" დამფუძნებელი და კონკურსის ორგანიზატორი დიმიტრი მოსულიშვილი: "ინტერესი კონკურსის მიმართ ყოველწლიურად იზრდება. ამას მოწმობს წელს წარმოჩენილი ნამუშევრების მრავალფეროვნება. სულ 134 ნამუშევარი იყო წარმოდგენილი. მონაწილეობა მიიღო 110 დიზაინერმა და არქიტექტორმა როგორც საქართველოდან, ისე უცხოეთიდან. ჩვენი კონკურსი ოთხი წელია არსებობს და იმისთვის ტარდება, რომ არქიტექტორებმა და დიზაინერებმა თავიანთი ნამუშევრები წარმოაჩინონ და დაანახონ საზოგადოებას, რა შექმნეს. წელს კონკურსში, ქართველების გარდა, 20 უცხოელი არქიტექტორი მონაწილეობდა. რაც შეეხება ჟიურის, ის საკმაოდ წარმომადგენლობითია - პროფესიული ჟიური 30 ადამიანისგან შედგება, ხოლო საზოგადოებრივ ჟიურიში 10 ადამიანი შედის.

ერთი წლის წინ ჩვენ არქიტექტორთა კლუბის შექმნის შესახებ განვაცხადეთ . კლუბი შეიქმნა და მასში უკვე 100-მდე არქიტექტორია გაწევრიანებული, რომლებიც თავიანთ შემოქმედებას წარმოაჩენენ. კლუბის წევრი, პროფესიონალი არქიტექტორის და დიზაინერის გარდა, შესაძლებელია ჩვენი პარტნიორი კომპანია იყოს."

როგორც ჟიურის ერთ-ერთი წევრი, არქიტექტორი ვასილ ქობულია აღნიშნავს, არქიტექტურული კონკურსი ყველაზე კარგი გზაა იმისთვის, რომ ასპარეზზე დამწყები ნიჭიერი არიქტექტორები თუ დიზაინერები წარმოჩინდნენ.

კონკურსი ყველაზე წარმატებული არქიტექტორ ლადო ხმალაძისთვის იყო. მან გამარჯვება ერთდროულად ორ ნომინაციაში მოიპოვა და კონკურსის პრემიის სიმბოლო - მცირე ზომის სკულპტურა, სხვა პრიზებთან ერთად, მას ერგო.

"ორ ნომინაციაში გავიმარჯვე. პირველი, ეს გახლავთ საუკეთესო პროექტი, რომელიც წყნეთში დაპროექტებულ საცხოვრებელ სახლს ერგო. მეორე ნომინაცია იყო საუკეთესო აშენებული ობიექტი. გაიმარჯვა მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოს მემორიალმა, რომელიც მე დავაპროექტე.

წლების განმავლობაში საქართველოში იგნორირებული იყო არქიტექტურული საქმიანობა, რომელიც პრიმატია ხელოვნების დარგებს შორის. ნელ-ნელა არქიტექტორების შრომას ფასი ედება და, ალბათ, ჩვენც მივაღწევთ იმას, რომ არქიტექტორთა მუშაობა ისევე დაფასდება, როგორც ეს საზღვარგარეთ ხდება," - აღნიშნა არქიტექტურული პრემიის მფლობელმა ლადო ხმალაძემ.

„საქართველოს ბანკმა" მსოფლიოში აღიარებული, ახალი საოპერაციო სისტემა შეიძინა

ნინო ნარჩემაშვილი

"საქართველოს ბანკმა" ახალი ძირითადი საოპერაციო სისტემის, "ტემენოს ტ24"-ის შეძენის შესახებ განაცხადა. აღნიშნული სისტემა მოიცავს: CRM-ს, საცალო და კორპორატიულ საბანკო საქმიანობას, ნაღდი ფულის, ხაზინის, სავაჭრო დაფინანსების, რისკების, ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვას და საბანკო პროგრამას საერთაშირისო დაგროვილი ქონების მართვის მიმართულებისთვის. სისტემის დანერგვა "საქართველოს ბანკის" იმ სტრატეგიის ნაწილია, რომელიც მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვის გზით საოპერაციო ეფექტურობის გაზრდას და მომხმარებლის მომსახურების გაუმჯობესებას გულისხმობს.

"ტემენოსი" ბანკებს მთელს მსოფლიოში აწვდის ძირითად საოპერაციო პროგრამას და ემსახურება 700-ზე მეტ კლიენტს 120 ქვეყანაში. "ტემენოსის" პროდუქტები დამყარებულია წამყვან ტექნოლოგიაზე და აქვს ულევი ფუნქციონალური საშუალება. "საქართველოს ბანკმა" განიხილა სხვა საერთაშირისო დონის კომპანიების შეთავაზებები და საბოლოოდ არჩევანი შეაჩერა "ტემენოსის" ტ24" მოდელ ბანკზე უნივერსალური ბანკისთვის. "ტ24" ბანკს შესაძლებლობას აძლევს მოახდინოს მისი ოპერაციების ინტეგრაცია ერთ პლატფორმაზე და ყველა ბიზნეს მიმართულების მოთხოვნილებები ერთი, ცენტრალური ადგილიდან მართოს.

ახალი საოპერაციო სისტემა, ასევე, საშუალებას მისცემს "საქართველოს ბანკს" მოახდინოს მისი პროცესების მოდერნიზება, გახადოს მომსახურება ბევრად სწრაფი და შეამციროს ახალი პროდუქტის დანერგვისთვის საჭირო დრო. შედეგად, მომხმარებელი მიიღებს უმაღლესი ხარისხის მომსახურებას, რომელიც მის მოთხოვნილებებს სრულად უპასუხებს.

"საქართველოს ბანკის" გენერალური დირექტორის, ირაკლი გილაურის განცხადებით, **"ბანკის ძლიერი კაპიტალის და ლიკვიდურობის არსებობამ, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ტრანზაქციის გაკეთების საშუალება შექმნა, რაც მეტად სასიხარულოა. ახალი სისტემის ამუშავებით "საქართველოს ბანკი" უფრო მეტად კონკურენტუნარიანი იქნება. არსებული პლატფორმიდან, ახალ, საერთაშორისოდ აღიარებულ სისტემაზე გადასვლა, ბანკის საქმიანობას კიდევ ერთი საფეხურით მაღლა აიყვანს. მიგვაჩინია, რომ "ტემენოსი" ყველაზე კარგად პასუხობს "საქართველოს ბანკის" საოპერაციო მოთხოვნილებების სრულ სპექტრს. მნიშვნელოვანია, რომ "ტემენოსის" პლატფორმა საშუალებას იძლევა ბაზარზე ახლი პროდუქტის გამოშვების დრო 60%-ით შემცირდეს. დამატებით, ზუსტი მონაცემების არსებობა, საშუალებას იძლევა უკეთ გამოვიყენოთ ჯვარედინი გაყიდვების შესაძლებლობები, რაც, ჩვენი გათვლებით დაახლოებით 30%-ით გაზრდის გაყიდვებს."**

მისივე თქმით, **"აღსანიშნავია შეძენის განხორციელების დროც, ვინაიდან ხსენებული სისტემის დანერგვ მოხდება შედარებით ნელი ეკონომიკური ზრდის პირობებში და მომგებიან მდგომარეობაში ავღმოჩნდებით სწრაფი ზრდის პერიოდში. "საქართველოს ბანკი" პერიოდულად მოგაწვდით განახლებულ ინფორმაციას პროექტის მიმდინარეობაზე, რომლის დანერგვა მომდევნო 16-დან 20 თვემდე გასტანს",**

რაც შეეხება "ტემენოსს", ის საცალო, კორპორატიული და მოკორესპოდენტო, უნივერსალური, კერძო, ისლამური, მიკროდაკრედიტებისა და საზოგადოებირვი საბანკო სექტორებისთვის საბანკო პროგრამული სისტემების გლობალური მიმწოდებელია - საათაო ოფისით ჟენევაში და 51 ოფისით მსოფლიოს მასშტაბით, "ტემენოსი" ემსახურება 700-ზე მეტ კლიენტს, 120-ზე მეტ ქვეყანაში.

"ტ24 მოდელ ბანკი" კი არის პაკეტირებული ძირითადი საოპერაციო საბანკო პროგრამა, რომელიც აერთიანებს "ტემენოსის" საუკეთესო გამოცდილებას მსოფლიოს მასშტაბით საცალო, კორპორატიულ, უნივერსალურ, დაგროვილი ქონების, ისლამურ, მიკროდაფინანსებისა და საზოგადოებრივ საბანკო სექტორებში. უაღრესად ავტომატიზირებული მიდგომა, მოკლე ვადაში დანერგვის, შენახვის დაბალი ხარჯებისა და ROI-ს გამოთვლის საშუალებას იძლევა. "ტ24" საშუალებას აძლევს ბანკებს გამოცვალონ მოძველებული სისტემები და მოახდინონ მათი პროცესების მოდერნიზება. ბანკები მთელს მსოფლიოში იყენებენ "ტ24"-ს რათა სწრაფად მიაწოდონ ბაზარს ინოვაციური, საბაზრო მოთხოვნილებებზე ორიენტირებული პროდუქტები და სერვისები და უპასუხონ მომხმარებელთა მუდმივად ცვლად მოთხოვნილებებს. "ტ24" ეხმარება ბანკებს მოახდინონ ზრდა და, ამავე დროს, მართონ რისკები და ხარჯები, უსწრებდნენ კონკურენტებს ეფექტური და ეკონომიური ბიზნეს მოდელის წყალობით.

"ტემენოსის" რეგიონალური დირექტორის ჩრდილო ევროპასა და დსთ-ს რეგიონში კით სტოუნელმა "საქართველოს ბანკის" მომსახურებაში "ტ24 მოდელ ბანკის" დანერგვა წარმატებულ სვლად შეაფასა და აღნიშნა, რომ **"ეს ადასტურებს სულ უფრო მზარდ ტენდენციას ადგილობრივ წამყვან ბანკებს შორის, განახორციელონ დაბანდებები მსოფლიოში აღიარებულ საბანკო საოპერაციო სისტემებში და, ამგვარად, გაამყარონ მათი წამყვანი პოზიციები მოქნილი, მომხმარებელზე ორიენტირებული სტრატეგიების გამოყენებით. კომპანია მოხარულია მიაწოდოს "საქართველოს ბანკს" უაღესად მოქნილი, თანამედროვე სისტემა, რომელიც ბანკს გამორჩეულს გახდის ახალი, ბაზრის მოთხოვნილებებზე ორიენტირებული შეთავაზებების სწაფი დანერგვით".**

ჩაის ახალი ბრენდი

"კავკასიური ჩაი" სომხეთის, საქართველოს და აზერბაიჯანის შემდეგ უცხოეთშიც გაიყიდება

ნინო ნატროშვილი

ჩაის ფესტივალი, რომელიც ამ დარგის ადგილობრივი მეწარმეების ხელშეწყობას და წახალისებას ემსახურება, ოთხი წლის წინ დაარსდა. თბილისში ჩაის ფესტივალი შარდენზე უკვე მეოთხედ გაიმართა. ეს ფესტივალი თავისი მასშტაბით განსაკუთრებულია. მასში სამხრეთ კავკასიის და თურქეთის ბევრი წარმატებული მეჩაიე, მეცნიერი, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე მონაწილეობს. და, რა თქმა უნდა, ათასობით ჩაის მოყვარული.

ფესტივალის მთავარი მიზანია მეჩაიეობის სფეროში ეკონომიკური ზრდის წახალისება, ერთობლივი რეგიონული ეკონომიკური პროექტების განხორციელება, ადგილობრივი ჩაის მცირე და საშუალო მწარმოებლების მხარდაჭერა, ასევე საზოგადოებაში, მომხმარებელთა შორის მაღალი ხარისხის ნატურალური, ეკოლოგიურად სუფთა ადგილობრივი ჩაის პროდუქტის პოპულარიზაცია, შიდა ბაზრის ათვისება.

წელს ჩაის ფესტივალზე კავკასიის რეგიონებში წარმოებული ჩაის უნიკალური სახეობები წარმოადგინეს. ფესტივალზე გამოიტანეს ასევე ახალი ბრენდი "კავკასიური ჩაი" ერთჯერად პაკეტებში. ერთიანი კავკასიური ჩაის ბრენდები წარმოებულია "კავკასიის ბიზნესისა და განვითარების ქსელის" ინიციატივითა და მხარდაჭერით, საერთო კავკასიური ეკონომიკური თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში. ჩაის კონგრესსა და ფესტივალზე ჩატარდა სხვადასხვა სახის, მათ შორის შავი, მწვანე და მცენარეული სამკურნალო ჩაის პროდუქციის პრეზენტაცია-დეგუსტაცია, მოეწყო წარმოდგენილი პროდუქციის კონკურსები.

საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაციის პრეზიდენტი თენგიზ სვანიძე განმარტავს, რომ "ფესტივალის და კონგრესის მისია, კავკასიის კონფლიქტების ზონებში მეჩაიეობის მიმართულებით მჭიდრო ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეწყობა, კავკასიის მეჩაიეთა ძალისხმევის გაერთიანება რეგიონში ჩაის დარგის გადარჩენისა და მისი საუკეთესო ტრადიციების აღორძინებისათვის, ერთმანეთის დახმარებით შიდა ბაზრების ათვისებისათვის, ჩაის პროდუქციის ახალ ბაზრებზე გატანისათვის".

მეჩაიეთა ასოციაციის მცდელობების მიუხედავად, ქართულმა ჩაიმ უცხოეთის ბაზარზე, რუსეთის მიერ გატარებული სავაჭრო სანქციების შემდეგ პოზიციები დათმო. არც ადგილობრივ ბაზარზეა სახარბიელო მდგომარეობა. ამ ეტაპზე დაბალი ხარისხის ქართული ჩაი მხოლოდ შუა აზიის ბაზარზე, მცირე პარტიებით გადის. რაც შეეხება უკრაინის ბაზარს, იქ არსებული ფინანსური კრიზისის ფონზე მოთხოვნა დაბალი საფასო სეგმენტის პროდუქციაზეა. ამ საფასო სეგმენტში მოხვდა ქართული ჩაი. ამდენად, დამკვეთები და ექსპორტიორები ვერ შეთანხმდნენ და ამ ეტაპზე უკრაინაში ქართული ჩაის ექსპორტი შეჩერებულია. აქტიურად მიდის მოლაპარაკებები ბელორუსის ბაზარზე ქართული ჩაის გატანის შესახებ, მაგრამ კონკრეტული გრაფიკი არ სახელდება. "24 საათი" ქართული ჩაის საექსპორტო პოტენციალის და ინდუსტრიის განვითარების სამომავლო პერსპექტივების შესახებ მეჩაიეთა ასოციაციის ხელმძღვანელ თენგიზ სვანიძეს ესაუბრა:

- გასულ კვირას თბილისში მეჩაიეთა კონგრესი ჩატარდა. რა მნიშვნელობა აქვს ამ ღონისძიებას დარგის განვითრებისათვის?

- უკვე მეოთხე წელია, საქართველოს მეჩაიეთა ასოციაციის ხელშეწყობითა და ინიციატივით ოქტომბრის თვის ბოლო შაბათს ჩაის ფესტივალი იმართება. მეჩაიეთა კონგრესსაც კი საფუძველი ჩაის ფესტივალიდან გამომდინარე ჩაეყარა. ქართული ჩაის ფესტივალები ჩატარდა სომხეთშიც და აზერბაიჯანშიც, ხოლო პირველი კონგრესი ბაქოში გასულ წელს გაიმართა. ახლა კი ამ ღონისძიებას თბილისმა უმასპინძლა. ვიკრიბებით კავკასიელი მეჩაიეები და ბრენდის განვითარების პერსპექტივებს განვიხილავთ.

- აქტიურად მიდის საუბარი კავკასიური ჩაის ბრენდის შექმნაზე. როგორია საქართველოს როლი ამ პროექტში?

- საქართველო არის წამყვანი ქვეყანა, რადგან სომხეთი ტრადიციულ ჩაის არ აწარმოებს. ეს ქვეყანა სამკურნალო, ეგრეთწოდებულ "ჰერბალ ჩაის" აწარმოებს. რაც შეეხება აზერბაიჯანს, მისი ჩაის ინდუსტრია უფრო ცუდ მდგომარეობაშია, ვიდრე საქართველოსი. აზერბაიჯანში ადგილობრივი წარმოება თითქმის არ არსებობს, მთელი აზერბაიჯანი იმპორტირებულ ჩაის სვამს. ამ ქვეყანას შემოაქვს უცხოური ჩაი, შემდეგ აფასოებს და ახდენს მის ექსპორტს. საქართველოშიც ადგილობრივი ბაზარი იმპორტირებულ ჩაის აქვს დაპყრობილი. ადგილობრივი ჩაის საბაზრო მაჩვენებელი დაახლოებით 10 პროცენტს აღწევს, ორი წლის წინ კი 5 პროცენტს არ აღემატებოდა. ბოლო დროს მოხდა ქართული ჩაის ბრენდების პოპულარიზაცია ტრადიციად ქცეულ ჩაის ფესტივალებზე. ამან ქართულ ჩაიზე გარკვეულწილად მოთხოვნა გააჩინა. ორ წელიწადში ბაზრის წილის 10 პროცენტამდე ზრდა საკმაოდ კარგი მაჩვენებელია.

- რამდენად შეუწყობს ხელს ჩაის კონგრესი ქართული ჩაის პოპულარიზაციას ჯერ კავკასიაში, შემდეგ კი მის ფარგლებს გარეთ?

- აზერბაიჯანში გამართული ჩაის კონგრესის შემდეგ შეიქმნა კავკასიის მეჩაიეთა კავშირი, რომელზეც გადაწყდა, რომ კავკასიური ჩაის ბრენდი შექმნილიყო. პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა. ჩვენი და "თერნალ ჩაის" ინიციატივით უკვე გამოვუშვით "კავკასიური ჩაის" პირველი საცდელი ნიმუში. ეს არის ერთჯერადი ჩაი, ამ ეტაპზე - მხოლოდ ქართული, მაგრამ მომავალში გაკეთდება კუპაჟი ქართული, აზერბაიჯანული და თურქული ჩაისაგან. რაც შეეხება სომხურ ჩაის, ის შეიძლება დამზადდეს ცალკე, როგორც ჰერბალ ჩაი. მაგრამ კავკასიური ჩაი იქნება თურქულ-ქართული და აზერბაიჯანული ჩაის კუპაჟი. ასეთი ჩაის გამოშვება შესაძლებელია თბილისში, ერევანსა და ბაქოში.

- როგორია კავკასიური ჩაის ექსპორტის პერსპექტივა?

- რა თქმა უნდა, პერსპექტივა არსებობს. თუ ამ ბრენდს ადგილობრივ ბაზარზე კარგ რეკლამას, პოპულარიზაციას გავუწევთ, გაიყიდება. ეს ჩაი მართლა ხარისხიანი იქნება და მისი ექსპორტი უცხოეთშიც მოხდება.

- დღეს რამდენად არსებობს ქართული ჩაის ინდუსტრიის განვითარების პერსპექტივა?

- ჩვენი ასოციაცია ოცდაათამდე საწარმოს აერთიანებს. ჩვენ უნდა ვაწარმოოთ ჩაი მცირე რაოდენობით და ხარისხიანი. თუ ჩვენ ხარისხიანი ჩაით შიდა ბაზარს ავითვისებთ, მაშინ ექსპორტზეც გზა ხსნილი გვექნება. ახლა ექსპორტზე გავდივართ ტრადიციულად იმ ქვეყნებში, სადაც დაბალი ხარისხის ჩაით გავდიოდით. მაგრამ ამას მომავალი არ აქვს. ჩვენ ახლა ექსპორტზე გავდივართ შუა აზიაში, უზბეკეთსა და ყირგიზეთში, მაგრამ ეს არის საშუალო ხარისხის ჩაი, რომელიც თვითღირებულებასაც რთულად ანაზღაურებს. ამიტომ ჩვენ ორიენტაციას ხარისხიანი ჩაის წარმოებაზე ვიღებთ, რათა განვითარებული ქვეყნების ბაზარზე გავიდეთ.

გერმანიასთან საქართველოს სავაჭრო ბრუნვა 230 552 900 აშშ დოლარს შეადგენს

გერმანიასთან სავაჭრო ბრუნვამ მიმდინარე წლის იანვარ-სექტმბერში 230 552 900 აშშ დოლარი შეადგინა. სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, თურქეთის, აზერბაიჯანისა და უკრაინის შემდეგ, გერმანია ამ მაჩვენებლით საქართველოს 10 უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორთა შორის მე-4 ადგილს იკავებს. გერმანიასთან ექსპორტი ამ პერიოდში 13 510 700 აშშ დოლარს შეადგენს, ხოლო იმპორტი - 217 042 200 აშშ დოლარს. გასული წლის ანალოგიურ პერიოდში გერმანიასთან სავაჭრო ბრუნვა 418 337 800 აშშ დოლარს შეადგენდა, ამ პერიოდში გერმანიიდან მხოლოდ იმპორტი 390 533 200 აშშ დოლარზე დაფიქსირდა. საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორთა ათეულში იანვარ-სექტემბერში შედიან ასევე რუსეთი, აშშ, ბულგარეთი, ჩინეთი, იტალია და კანადა.

გასული წლის ანალოგიურ პერიოდში აღნიშნულ ათეულში კანადა არ ყოფილა, წელს კი ამ სიაში არაბთა გაერთიანებული საემიროები არ შედის.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი დღეს ესპანეთში გაემგზავრა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური დღეს ესპანეთში გაემგზავრა. როგორც "ინტერპრესნიუსს" მთავრობის კანცელარიის პრესსამსახურიდან აცნობეს, ვიზიტის ფარგლებში პრემიერ-მინისტრი ეპანეთის პარლამენტის თავმჯდომარეს და საგარეო საქმეთა მინისტრს შეხვდება. პრემიერთან ერთად, ესპანეთში ეკონომიკური განვითარების მინისტრი ზურაბ პოლოლიკაშვილიც იმყოფება. ისინი ბიზნესფორუმის ფორმატში ესპანელ ბიზნესმენებსაც შეხვდებიან და საქართველოს საინვესტიციო გარემოს გააცნობენ. ნოემბერში ზურაბ პოლოლიკაშვილი შვეიცარიაში გაემგზავრება, სადაც შვეიცარიელ ბიზნესმენებს შეხვდება. ვაშინგტონში სამუშაო ვიზიტით იმყოფებიან ასევე ეკონომიკის მინისტრის მოადგილე ნიკა ალავიძე და საინვესტიციო სააგენტოს ხელმძღვანელი ირაკლი მატკავა.

მამაკაცთა უმრავლესობას უმუშევრობა აშინებს

გაზეთ "კვირის პალიტრის" 19-22 ოქტომბრის გამოკითხვის თემას - "შიში" - 504 რესპონდენტი გამოეხმაურა. კითხვა ასეთი იყო: "თქვენი აზრით, რა აშინებთ მამაკაცებს ყველაზე მეტად?" მკითხველს რედაქციის მიერ შეთავაზებული ჩამონათვალის მიხედვით უნდა შეედგინა რეიტინგი, სადაც მაქსიმალური შეფასებაა 8, ხოლო მინიმალური - 1 ქულა. გამოკითხვის სპეციფიკიდან გამომდინარე, რეიტინგული მაჩვენებელი წარმოადგენს საშუალო ქულას, რომლის მიხედვითაც შედგა რეიტინგი:

1. უმუშევრობა - 6.42
2. ღალატი - 5.11
3. სიღარიბე - 5.04
4. ავადმყოფობა - 5.03
5. მარტოობა - 4.66
6. სიბერე - 4.05
7. ოჯახური კონფლიქტები - 3.12
8. პასუხისმგებლობა

ისრაელსა და საქართველოს შორის საჰაერო მიმოსვლა დროებით შეწყვეტილია

ისრაელსა და საქართველოს შორის საჰაერო მიმოსვლა დროებით შეწყვეტილია. ამის შესახებ "ინტერპრესნიუსს" საქართველოს ერთიან სატრანსპორტო ადმინისტრაციაში განუცხადეს. ადმინისტრაციის ინფორმაციით, ფრენები ისრაელსა და საქართველოს შორის უკვე მეორე დღეა, აღარ ხორციელდება. თელ-ავივის მიმართულებით რეისებს ვეღარ ასრულებს ავიაკომპანია "აირზენა", რომელსაც ისრაელის საავიაციო ხელისუფლება ზამთრის განრიგს არ უმტკიცებს. შესაბამისად, საქართველოს ერთიან სატრანსპორტო ადმინისტრაციას ისრაელის ავიაკომპანია "არკიასთვის" განრიგი ჯერ არ დაუმტკიცებია.

როგორც "აირზენაში" აცხადებენ, "არკია" ცდილობს, ფრენების გრაფიკი "აირზენას" გრაფიკს დაამთხვიოს და ამით მგზავრები წაართვას. "აირზენა" წლების განმავლობაში თელ-ავივის მიმართულებით ფრენებს კვირაში სამჯერ - სამშაბათს, ხუთშაბათს და კვირას ასრულებს.

ერთიან სატრანსპორტო ადმინისტრაციაში აღნიშნავენ, რომ საკითხთან დაკავშირებით მოლაპარაკება გრძელდება.

საფონდო ბირჟაზე გარიგებები გაიზარდა

თინა შავაძე

გასული კვირის განმავლობაში საქართველოს საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემის ჯამურმა ბრუნვამ 113,238 ლარი შეადგინა, გასხვისდა 219,013 აქცია და დაიდო 46 გარიგება. აქციებში ძირითადი ბრუნვა სს "საქართველოს სახალხო ბანკის" აქციაზე დაფიქსირდა, ხოლო ფულადი ბრუნვის მეტი წილი სს "საქართველოს ბანკზე" მოდიოდა. ფასის საშუალო მაჩვენებელი ორივე აქციაზე დიდად არ შეცვლილა და წინა მაჩვენებლების გარშემოა. იმატა სს "საქართველოს ბანკის" აქციის ფასმა (12.194) და ბრუნვამ, სხვა აქციებიდან მოთხოვნა ან მიწოდება დაფიქსირდა სს "თელასის", სს "გაერთაინებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის", სს "საქწყალპროექტის", სს "ყაზბეგის" აქციებზე, თუმცა გარიგება არ განხორციელდა.

გარესაბირჟო ფიქსაციებით მომხდარ ოპერაციებს რაც შეეხება, შპს "საქართველოს საინვესტიციო ჯგუფი+"-ის ინფორმაციით, გასული კვირის განმავლობაში გარიგება დაიდო 7 სახეობის აქციაზე. სულ დაფიქსირდა 10 ოპერაცია, გადაცემებმა მოიცვა 43,029 აქცია, ხოლო თანხობრივმა მაჩვენებელმა 27,233 ლარი შეადგინა. როგორც ვხედავთ, გარესაბირჟო ბაზარზე აქტივობა მკვეთრად დაეცა და ადგილი იშვიათ შემთხვევას ჰქონდა - გასულ კვირას საბირჟო მოცულობა აღემატებოდა გარესაბირჟო ფიქსინგს. ადგილი ჰქონდა ორ შედარებით მსხვილ გასხვისებას - სს "თბილლითონნაწარმი" - გასხვისდა წილის 8,688 პროცენტი ჯამური ღირებულებით 2,294 ლარი და სს "აქტში" გასხვისდა წილის 3,35 პროცენტი, ჯამურად 9,874 ლარში.

გასულ კვირას განთავსდა სახაზინო ვალდებულებათა ორი აუქციონი ჯამური თანხით 25 მლნ ლარზე. აღსანიშნავია, რომ მკვეთრად იმატა ბანკების მხრიდან მათი შეძენის მოთხოვნამ - 8 მლნ ლარს გაუტოლდა, როდესაც წინა პერიოდებში ის 50 - 55 მლნ ლარის ფარგლებში იყო (საუბარია ორ ემისიაზე ჯამურად). თუ დავაკვირდებით ბანკთაშორისი სესხის პროცენტის დაწევას (ერთდღიანი ოვერნაიტი) 1.06 პროცენტამდე, გასაგები ხდება, რომ ამ ეტაპზე ლარი ბანკებისთვის ინვესტირების ყველაზე ხელსაყრელი საშუალებაა (თან გარანტი სახელმწიფოა). ლარის კურსი აშშ დოლარის მიმართ ცოტათი გამყარდა და დაიწია ევროს მიმართ, რაც კროსს კურსით გლობალური ბაზრის გავლენაა. ოქროს ფასი გაჯერდა და გასულ კვირას ცვლილებას ფასში ადგილი არ ჰქონია.

25 ოქტომბერს, პირველი არხის ეთერში შემდგარი გათამაშების "100 გამარჯვებული საქართველოს ბანკში" გამარჯვებული ბილეთების ნომრები:

CDS1091876
CDS1188633
CDS1246296
CDS1452634
CDS1380781
CDS1363314
CDS1339619
CDS951547
CDS1230354
CDS1392247

საქართველოს მოქალაქეები რუსმა ოკუპანტებმა გაიტაცეს

პირველი გვერდიდან

როგორც გაირკვა, ქართველები რუსმა ოკუპანტებმა იმ დროს გაიტაცეს, როდესაც ისინი ტყეში შეშას ჭრიდნენ. გატაცებულთა შორის არის 16 წლის მოზარდიც, რომელიც სოფელ ახალგორში სტუმრად იმყოფებოდა და ბიძას ტყეში გაჰყვა.

"ჩემი ძმები და დანარჩენი გატაცებულები შეშის საჭრელად წავიდნენ ტყეში. მათი გატაცების შესახებ ჩვენ გუშინწინ საღამოს გავიგეთ. არაფერი ვიცით არც მათი ჯანმრთელობის და არც ადგილსამყოფელის შესახებ. სოფელში მოიტანეს ამბავი, რომ ისინი ცხინვალში გადაიყვანეს, თუმცა ამ ინფორმაციას ვერ დავადასტურებთ", - განუცხადა სააგენტო "პირველს" გატაცებული ძმების საღირაშვილების დამ ლია საღირაშვილმა.

ოსმა სეპარატისტებმა რუსი ოკუპანტების მიერ საქართველოს მოქალაქეების დაკავების ფაქტი გუშინვე დაადასტურეს. ე.წ. სამხრეთ ოსეთის ბეჭდვისა და ინფორმაციის კომიტეტის ინფორმაციით, რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებმა საქართველოს 16 მოქალაქე დააკავეს.

"დაკავებული საქართველოს მოქალაქეები ამჟამად ახალგორის რაიონში იმყოფებიან და ისინი რაიონულ პროკურატურას გადასცეს. აღნიშნულ ფაქტზე უკვე მიმდინარეობს გამოძიება," - ეს განცხადება პოსტკონფლიქტური სიტუაციების დარეგულირების საკითხებში ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტის წარმომადგენლის მოადგილე მერაბ ჩიგოევმა გააკეთა. მისივე მტკიცებით, გატაცებულ ქართველებს ბრალად ე.წ. სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთა და ტყის უკანონო ჩეხვა ედებათ.

არადა, საზღვარი, რომელზეც სპერატისტები დავობენ, საქართველოს ტერიტორიაა. ეს გუშინ ევროკავშირის დამკვირვებლებმაც დაადასტურეს.

"ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ რაც შეიძლება უმოკლეს ვადებში მოხდეს გატაცებულთა გათავისუფლება. შემთხვევის ადგილზე გავიყვანეთ ევროკავშირის დამკვირვებლებიც, რომლებმაც აღიარეს, რომ ტერიტორია, საიდანაც ქართველები საზღვრის გადაკვეთის ბრალდებით გაიტაცეს, საქართველოს ეკუთვნის და სინამდვილეში საზღვრის დარღვევის არანაირ ფაქტს ადგილი არ ჰქონია. დამკვირვებლებმა იმასაც გაუსვეს ხაზი, რომ ამ ტერიტორიაზე ოსი სეპარატისტები 200 მეტრით არიან შემოჭრილები. ევროკავშირის დამკვირვებლები შემთხვევის ადგილზე შემოწმებულ და შესწავლილ ფაქტებზე, ბუნებრივია, შესაბამის რეაგირებას მოახდენენ. ყველაფერი გაკეთდება იმისთვის, რომ თითოეული გატაცებული ქართველი რაც შეიძლება ჩქარა დაუბრუნდეს საკუთარ ოჯახს," - განაცხადა ჩვენთან საუბრისას მცხეთა-მთიანეთის პოლიციის სამმართველოს უფროსმა ალექსანდრე მაისურაძემ.

ცხინვალის რეჟიმის ე.წ. პროკურატურამ გუშინ საღამოს, დაკავებული საქართველოს მოქალაქეების გვარები გამოაქვეყნა.

დაკავებულები როინ პერტიაშვილი, ზვიად ბიზიკაშვილი, დავით პაპუკაშვილი, ვანო კუსრაშვილი, სულიკო კუსრაშვილი, ზაურ ბიზიკაშვილი, გიორგი პეტრიაშვილი, გიორგი პაპუკაშვილი, მერაბ მელიქიშვილი, ვიტალი თვაური, გურამ საღირაშვილი, ემზარ გიგაური, ალექსანდრე გიგაური, თემურ საღირაშვილი, ლევან თამარაშვილი და გიგა გვახარია.

კონტრაბანდისტებზე ნადირობისთვის

ამერიკული ინვესტიცია საქართველოში

ინგა ალავიძე

ამერიკამ 50 მილიონი დოლარის ინვესტიცია ჩადო საქართველოს საზღვრებზე კონტროლის სისტემის დამონტაჟებისთვის. ცოტა ხნის წინ საქართველო-აზერბაიჯანისა და საქართველო-სომხეთის საღვარზე დააყენეს ელექტრონული მოწყობლობა, რომელიც რადიოქატიურ ნივთიერებას აღმოაჩენს.

ამის თაობაზე ვრცელი წერილი გამოაქვეყნა გაზეთმა Corriere della Sera, რომლის ინფორმაციითაც, ამერიკის ხელისუფლების ეს გადაწყვეტილება გამოიწვია იმან, რომ კონტრაბანდისტები, რომლებიც გამდიდრებულ ურანით ვაჭრობენ, სწორედ საქართველოს საზღვრებით სარგებლობენ. წერილის ავტორის განცხადებით, ამერიკის ეს სოლიდური პროექტი, აგვისტოს ომმა შეაფერხა. თუცა, ამერიკის ბირთვული უსაფრთხოების დაცვის სამსახურმა საქართველოში უკვე დაამონტაჟა ყველაზე თანამედროვე ელექტრონული მოწყობილობა, რომელსაც შეუძლია აღმოაჩინოს რადიოაქტიური მტვერიც კი.

ამერიკის 50-მილიონიანი ინვესტიციით, საქართველო-აზერბაიჯანისა და საქართველო-სომხეთის საზღვრების გარდა, აღიჭურვა 20 სასაზღვრო პუნქტი, მათ შორის აეროპორტები, პორტები და საბაჟოები.

"ჩვენი ხელისუფლება სრულფასოვნად ვერ აკონტროლებს სეპარატისტული აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის საზღვრებს, რითაც სარგებლობენ კონტრაბადისტები," - Corriere della Sera-ს განუცხადა ორგანიზებული დანაშაულისა და კოტრაბანდის წინააღმდეგ მებბროლი ტრასნაციონალური ცენტრის დირექტომა ალექსანდრე კუხიანიძემ.

გაზეთი წერს, რომ ქართველ მაღალჩინოსანთა განცადებით, ე.წ. სამხრეთ ოსეთის საზღვარი კიდევ უფრო საშიში გახდა, რადგანაც, მოექცა სამილიტარიზაციო ზონაში. რუსი სამხედროები არ აკონტროლებენ ადგილობრივი კლანებს საქმიანობს, რომლებიც დაკავებული არიან სიგარეტის, იარაღის, ნარკოტიკის და ალკოჰოლური სასმელების კონტრაბანდით. რაც შეეხება რადიოაქტურ ნივთიერებებს, გაზეთის ინფორმაციით, ის საქართველოს ტერიტორიაზე ძველი არხებით შედის.

გაზეთი წერს, რომ რამდენიმე წლის წინ ქართველმა სამართალდამცველებმა დააკავეს ვინმე გარიკ დადაიანი, რომელსაც ქილაში მოთავსებული ჩაის ქვეშ დამალული ჰქონდა ატომური ბომბის დასამზადებლად გამზადებული გამდიდრებული ურანი. დაკითხვისას მან განაცხადა, რომ ნივთიერება უნდა გადაეცა თურქი შუამავლისთვის, რომელსაც ურანი "მუსულმანისთვის" მიჰქონდა.

გაზეთის ინფორაციით, ამ დღეებში საქართველოს სპეცსამსახურებმა ჩაატარეს მორიგი სპეცოპერაცია იმ პირის წინააღმდეგ, რომელიც ცეზუმ-137-ის პარტიას სთავაზობდა მყიდველს. გაზეთი პეცოპერაციის სხვა დეტალებს არ აკონკრეტებს, თუმცა წერს, რომ ცეზუმ-137-ით "ჭუჭყიანი ბომბის" დამზადებაა შესაძლებელი და 500 გრამი ეს ნივთიერება საკმარისია ამერიკის ან ევროპის ნებისმერი ქვეყნის ორი საცხოვრებელი კვარტალის "ასაღებად".

Corriere della Sera წერს იმასაც, რომ ერთი წლს წინ ქართველმა სამართალდამცველებმა გამოავლინეს პენსიონერების ბანდა, რომელიც ყოფილი პოლიციელებით და ფიზიკის ისტიტუტის თანაშრომლებით იყო დაკომპლეტებული. ჯგუფის წევრები აპირებდნენ 700 გრამი ცეზიუმის გაყიდვას.

"ვშიშობ, რომ ტერორისტები რადიოაქტურ ნივთიერებებს ყიდულობენ აქაც და იქაც, სადაც მსგავსი ნივთიერებების "სამარხია" და საიდანაც საქართველოშიც შემოედინება," - გაზეთს განუცხადა საქართველს რადიოაქტიური ნივთიერებების გავრცელების წინაღმდეგ მებრძოლი სპეციალური ჯგუფის უფროსმა.

გაზეთის ინფომაციით, შეშფოთებას გამოთქვამს საქართველოს შსს-ს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი შოთა უტიაშვილიც.

"ჩვენ ვერ დავუშვებთ, რომ კონტრაბანდისტების 1 პროცენტმაც კი წარმატებით განახორციელოს გარიგება," - განუცხადა გაზეთს შოთა უტიაშვილმა.

რადიოაქტიური ნივთიერებების კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის მხრივ განხორციელებული ამერიკული პროექტი, რომელიც საქართველოს საზღვრებზე უახლესი აპარატურის დამონტაჟებას გულისხმობს, ორ ქვეყანას შორის ამ მიმართულებით თანამშრომლობის პირველი შემთხვევა არ არის. 2006 წელს ქართველი სამართალდამცველებისა და ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის ერთობლივი ოპერაციის შედეგად თბილისში რუსეთის მოქალაქე დააკავეს, რომელიც გამდიდრებული ურანის გაყიდვას ცდილობდა.

გაზეთ The New York Times-ის ინფორმაციით, საქართველოს ხელისუფლებამ ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის აგენტებთან ერთად საქართველოში ჩაატარა სპეცოპერაცია, რომლის შედეგადაც დაკავეს რუსეთის მოქალაქე ოლეგ ხინცაგოვი, რომელმაც რუსეთიდან საქართველოში შეიტანა 100 გრამი, 90 პროცენტით მაღალგამდიდრებული ურანი და ცდილობდა მილიონ დოლარად გაყიდვას. აღმოჩენილ ნივთიერება - ურან-235-ს გამოკვლევა ამერიკის გამოძიების ფედერალური ბიუროს ლაბორატორიაში ჩაუტარდა, სადაც დადგინდა, რომ თბილისში ნაპოვნი ურანის იშვიათი ფორმა, სავარაუდოდ, რუსული წარმოებისა უნდა ყოფილიყო. ამავე მონაცემებით, ნივთიერება 10 წლის წინათ იყო დამზადებული.

The New York Times-ის ინფორმაციით, სპეცოპერაცია იყო უნიკალური შემთხვევა, "რამდენადაც მაღალგამდიდრებული ურანი წარმოადგენდა მზა მასალას ატომური ბომბისთვის".

ქართველმა სამართალდამცველებმა ამ ფაქტისას აღმოაჩინეს კონტრაბანდის უზარმაზარი ქსელი, რომელიც აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთზე გადიოდა. რუსეთის მხარემ მაშინ თანამშრომლობაზე კატეგორიული უარი განაცხადა.

The New York Times-ის ინფორმაციით, თბილისში ჩატარებულ ოპერაციაში, ცენტრალური სადაზვერვო სამსახურისა და FBI-ის თანამშრომლების გარდა, მონაწილეობდნენ ამერიკის ენერგეტიკის სამინისტროს წარმომადგენლებიც.

"ქართულ მხარეს ნივთიერების ამოღებასა და კონტრაბანდასთან დაკავშირებული პირების პასუხისგებაში მიცემაში დავეხმარეთ, შემდეგ ფედერალურმა ბიურომ და ენერგეტიკის სამინისტრომ ამ ნივთიერებების ანალიზი ჩაატარეს და დაადასტურეს, რომ ამოღებული ნივთიერება გამდიდრებული ურანია," - განაცხადა ვაშინგტონში გამართულ ბრიფინგზე აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა შონ მაკკორმაკმა. მან აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატები თანამშრომლობს რუსეთის მთავრობასთან ბირთვული ტერორიზმის და ბირთვული კონტრაბანდის თავიდან აცილების თვალსაზრისით.

"ვფიქრობ, აუცილებელია, რომ ყველა სახელმწიფომ, რომელთაც ინფორმაცია აქვთ ამგვარი ძალიან საშიში ნივთიერებების კონტრაბანდის თაობაზე, წარმოადგინონ ეს ინფორმაცია. მათზეა დამოკიდებული, თუ რა ფორმით და სად წარმოადგენენ ამ ინფორმაციას, მაგრამ მთავარ პრინციპად მიმაჩნია ის, რომ ჩვენ შევიმუშავოთ ისეთი მექანიზმები და სამუშაო პრინციპები, რომლებიც წაახალისებს ამგვარი ინფორმაციის გაზიარებას," - განაცხადა აშშ-ს ოფიციალურმა წარმომადგენელმა.

მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ამჯერად ბირთვული ნივთიერების მხოლოდ **"მცირე რაოდენობა აღმოაჩინეს, შეშფოთების საგანია ის ფაქტი, რომ პოტენციურად, შესაძლოა, პირებს უფრო დიდ რაოდენობაზეც მიუწვდებოდეთ ხელი. ეს ძალიან საშიში ნივთიერებაა და თუ ის ცუდ ხელში ჩავარდება, მისმა გამოყენებამ შეიძლება უდანაშაულო მოსახლეობას მიაყენოს ზიანი. ჩვენ ყველანი ფხიზლად უნდა ვიყოთ, რათა დავრწმუნდეთ, რომ არ იქნება უფრო დიდი რაოდენობის კონტრაბანდის მცდელობები. ეს რეალურ ტრაგედიამდე მიგვიყვანს,"** - დასძინა მაკკორმაკმა.

გაზეთ Times-ის ინფორმაციით, საერთაშორისო ექსპერტთა მიერ ჩატარებული დამოუკიდებელი გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ ბოლო 10 წლის მანძილზე რუსული სამხედრო ობიექტებიდან მოიპარეს 40 კილოგრამი ურანი, რომელიც მასობრივი განადგურების იარაღის დასამზადებლად გამოიყენებოდა. ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ საერთაშორისო საზოგადოებას რეალური საფრთხე დაემუქრება, თუ ამ რადიაქტიური მასალების კონტრაბანდული გზით გატანა მოხდება, რადგან ნივთიერებები "ჭუჭყიანი ბომბის" დასამზადებლად ვარგისია.

საქმე N3-230/09 წ.

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

საჯარო შეტყობინების გავრცელების შესახებ

21 ოქტომბერი, 2009 წელი ქალაქი ბათუმი

ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე გოჩა ფუტკარაძემ ქეთევან ზოიძის მდივნობით მოსარჩელე გოჩა პატარიძის, მოპასუხის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის წარმომადგენლის მანუჩარ მეგრელიშვილის მონაწილეობით განიხილა საჯარო შეტყობინების განხორციელების საკითხი.

სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-ე და 285-ე მუხლებით,

1. ადმინისტრაციულ საქმეზე №3-230 გოჩა პატარიძის სარჩელისა გამო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ ქმედების დავალდებულების თაობაზე სასამართლოს მთავარი სხდომა დაინიშნოს 2009 წლის 06 ნოემბერს, 15.00 საათზე.

2. თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლო (მოსამართლე) უფლებამოსილია, მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში მის დაუსწრებლად გამოიტანოს გადაწყვეტილება საქმეში არსებული მასალების საფუძველზე და ამ კოდექსის მე-4 და მე-19 მუხლების ედბულებათა გათვალისწინებით.

3. საჯარო შეტყობინება განხორციელდეს გაზეთ “24 საათი”-ს მეშვეობით მოსარჩელე მხარის ხარჯზე.

4. განჩინების ასლი გადაეგზავნოს გაზეთ “24 საათი”-ს რედაქციას გამოქვეყნების მიზნით.

5. განჩინებაზე საჩივარი არ დაიშვება.

დაადგინა: **მოსამართლე: გოჩა ფუტკარაძე**

კარაჯიჩი ჰააგის ტრიბუნალს ბოიკოტს უცხადებს

ბოსნიელი სერბების ყოფილ ლიდერ რადოვან კარაჯიჩის სასამართლო პროცესი 26 ოქტომბერს ჰააგაში ბრალდებულის გარეშე დაიწყო. სასამართლოს შენობასთან პატარა დემონსტრაციის ჩასატარებლად იმ ბოსნიელმა მუსლიმებმა მოიყარეს თავი, რომლებიც სრებრენიცაში მომხდარი მასობრივი მკვლელობის შედეგად დაზარალდნენ.

კარაჯიჩმა ჰააგაში ყოფილი იუგოსლავიის საქმეების განსახილველად სპეციალურად შექმნილ ტრიბუნალს წინასწარ წერილობით განუცხადა, რომ აპირებს, ბოიკოტი გამოუცხადოს თავისი საქმის განხილვის დაწყებას, რადგან მისი დაცვა "ჯერ კიდევ არ არის მზად". ის თავად აპირებს თავის დაცვას და სასამართლოს განუცხადა, რომ მომზადებისთვის საკმარისი დრო არ ჰქონდა. "მსოფლიოში ვერც ერთი ადვოკატი ვერ შეძლებდა ასეთ მცირე დროში დაცვის მომზადებას," - ირწმუნება იგი. 64 წლის კარაჯიჩი 2008 წლის ივლისში დააპატიმრეს და საერთაშორისო სასამართლოს გადასცეს. იგი მართლმსაჯულებას 13 წელი ემალებოდა. როგორც გაირკვა, მთელი ეს წლები ერთ-ერთ სერბულ ქალაქში დრაგან დაბიჩის სახელით ცხოვრობდა და ადგილობრივ საავადმყოფოში მუშაობდა. მას წვერი ჰქონდა მოშვებული და სათვალეს ატარებდა.

კარაჯიჩი ბრალდების თერთმეტივე პუნქტს უარყოფს, მათ შორის ბრალდებას გენოციდსა და 1992-1995 წლებში ბოსნიის ომის დროს კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულში. ზოგიერთი მონაცემებით, ამ წლებში 100 ათასი ადამიანი დაიღუპა. კარაჯიჩი იმ გეგმის ერთ-ერთ შემოქმედად მიიჩნევა, რომლის მიხედვითაც ბოსნიის სერბული ნაწილი "სამუდამოდ უნდა გაეთავისუფლებინათ (გაეწმინდათ)" ბოსნიელი მუსლიმებისა და ხორვატებისგან. ბრალდებების ნაწილი ეხება კარაჯიჩის როლს სარაევოს 44-თვიან ალყაში, რის შედეგადაც 10 ათასი ადამიანი დაიღუპა, აგრეთვე 1995 წელს სრებრენიცაში 8000 ადამიანის მასობრივ დახოცვას.

სასამართლომ კარაჯიჩის პროტესტი არ მიიღო და პროცესი ოფიციალურად გახსნა, თუმცა გუშინ პირველი სხდომა მალევე გადადო და იგი დღეს გაგრძელდება.

აქამდე სასამართლო პროცესის დაწყება უკვე ორჯერ გადაიდო. სასამართლომ არ დააკმაყოფილა კარაჯიჩის მოთხოვნა პროცესის დაწყების 10 თვით გადადების შესახებ. მანამდე კარაჯიჩი მოითხოვდა, პროცესი საერთოდ გაეუქმებინათ იმის საფუძველზე, თითქოს 1996 წელს ამერიკელმა დიპლომატმა რიჩარდ ჰოლბრუკმა კარაჯიჩს თანამდებობიდან გადადგომის შემთხვევაში დევნისგან იმუნიტეტი აღუთქვა. ჰოლბროუკმა ეს განცხადება რამდენჯერმე უარყო.

ეს პროცესი, სავარაუდოდ, 2012 წლამდე გაგრძელდება. პროკურორებს ბრალდების პუნქტების დასაბუთებლად 300 საათი მიეცათ. თუ ბრალდებული დამნაშავედ ცნეს, მაშინ მას სამუდამო პატიმრობას მიუსჯიან.

ბოლო 16 წლის განმავლობაში ჰაგის ტრიბუნალმა 161 ადამიანი დაადანაშაულა. მათ შორის იყვნენ ყოფილი იუგოსლავიის სახელმწიფოს მეთაურები, პრემიერ-მინისტრები, გენშტაბის ხელმძღვანელები და სხვა ჩინოვნიკები. 60-ზე მეტი ადამიანი გაასამართლეს. მათ შორის ყველაზე ცნობილი პიროვნება იყო იუგოსლავიის ექს-პრეზიდენტი სლობოდან მოლოშევიჩი. მან საერთაშორისო ტრიბუნალის იურისდიქცია არ ცნო. მოლიშევიჩი 3 წლის წინათ ციხეში გარდაიცვალა და გასამართლებას ვერ მოესწრო. 1990



წლებში ბოსნიელი სერბების არმიის ხელმძღვანელი რატკო მლადიჩი ჯერ კიდევ იმალება.

რადოვან კარაჯიჩი დაიბადა 1944 წლის 19 ივნისს ახლანდელი ჩერნოგორიის ტერიტორიაზე. 1960 წლიდან უკვე სარაევოშია. განათლებით ფსიქიატრი 1977 წლიდან სარაევოში სპეციალობით მუშაობდა, 1983-1984 წლებში ბელგრადში გადავიდა. 1984 წელს ბიუჯეტის სახსრების მითვისებაში დაადანაშაულეს. მან ციხეში 11 თვე გაატარა, თუმცა ბრალი ვერ დაუმტკიცეს და გაათავისუფლეს.

პოლიტიკაში კარაჯიჩი 1989 წლიდან ჩაერთო, როდესაც "სერბეთის დემოკრატიული პარტია" დაარსა. 1992 წლის 9 იანვარს ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში, სერბების რესპუბლიკის შექმნა გამოაცხადეს. რესპუბლიკის პრეზიდენტი კარაჯიჩი გახდა. 1992-1995 წლების ბოსნიის ომის განმავლობაში იგი ბოსნიელ სერბებს ხელმძღვანელობდა და არმიის მეთაურ რატკო მლადიჩთან ერთად ადგილობრივი მუსლიმებისა და ხორვატების წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციებს გეგმავდა. იგი პოეზიითაც არის გატაცებული. 1996 წელს კარაჯიჩმა საერთაშორისო საზოგადოების და პრეზიდენტ მილოშევიჩის ზეწოლით უფლებამოსილება მოიხსნა და ამის შემდეგ სახალხოდ აღარ გამოჩენილა.

სხვათა შორის, შვედეთი ამ კვირაში გეგმავს ბოსნიელი სერბების ყოფილი პრეზიდენტის ბილიანა პლავშიჩის (ის კარაჯიჩის შემდეგ გახდა ბოსნიის სერბული ნაწილის პრეზიდენტი და აქტიურად ატარებდა თავისი წინამორბედისა და ყოფილი ხელმძღვანელის პოლიტიკას) გათავისუფლებას, რომელმაც სასჯელის 2/3 უკვე მოიხადა. ჰაგის ტრიბუნალმა 2003 წელს მას 11 წლით პატიმრობა მიუსაჯა. სექტემბერში სასამართლომ პლავშიჩის ვადამდელ გათავისუფლებაზე თანხმობა განაცხადა.

საქმის განხილვის დაწყების წინ სასამართლო კარაჯიჩის გამოჩენას 15 წუთს ამაოდ ელოდა. არც მისი ადვოკატები მისულან. კორეელმა მოსამართლემ ო-გონ კვომ მოსმენა 27 ოქტომბრისთვის გადაიტანა. ტრიბუნალს უფლება აქვს, ბრალდებული ძალით მიიყვანოს სასამართლო დარბაზში.

მოამზადა თამთა კახაძემ

"არტეკის" გენერალურ დირექტორს ბრალი წაუყენეს

საერთაშორისო საბავშვო ცენტრ, ბავშვთა ბანაკ "არტეკის" გენერალური დირექტორი ბორის ნოვოჟილოვი, შესაძლოა, პედოფილიის ბრალდებით გაასამართლონ. ნოვოჟილოვი, რომელიც აქამდე მოწმის სახით იკითხებოდა, ახლა ბრალდებულია. მას არასრულწლოვანი ბავშვების გაუპატიურებაში სდებენ ბრალს.

უკრაინის სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენლებმა უკვე გაჩხრიკეს ნოვოჟილოვისა და მისი ნათესავების, სიდედრისა და მშობლების საცხოვრებელი სახლები.

"უკრაინსკაია პრავდას" ინფორმაციით, ბავშვთა ბანაკ "არტეკში" ჟურნალ "არტეკის" მთავარმა რედაქტორმა დიმიტრი პოლიუხოვიჩმა, კიდევ სამმა თანამშრომელმა, ასევე უკრაინის რადას უილია ტიმოშენკოს ბლოკის წევრმა ვიქტორ უკულოვმა და მღვდელმა ვადიმ პაევსკიმ, ორი არასრულწლოვანი 12 წლის იური და 9 წლის ტანია პოლიუხოვიჩები გააუპატიურეს. გამოძიების მსვლელობისას კი გაირკვა, რომ ამ საქმეში ბანაკის გენერალური დირექტორი ბორის ნოვოჟილოვიც ფიგურირებდა. ჟურნალ "არტეკის" რედაქტორი დიმიტრი პოლიუხოვიჩი ბავშვების მამობილია.

ბავშვების დედობილის (პოლიუხოვიჩებს ისინი ნაშვილები ჰყავთ) ადვოკატი ტატიანა მონტიანი ამ დანაშაულში მონაწილე კიდევ ორ პირს ამხელს, რადას წევრ რუსლან ბოგდანს და უკრაინის ეკონომიკის ექსმინისტრი სერგეი ტერეხინს, რომლებიც ადვოკატის თქმით, დაზარალებულმა ბავშვებმა უკრაინის რადას საიტზე, ფოტოებში იცნეს.

"არტეკის" გარშემო ატეხილ სკანდალში მონაწილეობის მიღებას ბანაკის გენერალური დირექტორი კატეგორიულად უარყოფდა. იგი აცხადებდა, რომ უკრაინის რადას წევრ დეპუტატებს ვადიმ კოლესნიკოვს და გრიგორი ომელჩენკოს, რომლებმაც გაახმაურეს ბანაკში მომხდარი სისხლის სამართლის დანაშაული, "არტეკის" მიწის ხელში ჩაგდება სურდათ და ეს გახლდათ ამ სკანდალის აგორების რეალური მიზეზი.

იგივეს ამბობდნენ "არტეკის" სხვა თანამშრომლებიც. მათი თქმით, მიწით დაინტერესებულ დეპუტატებს გენერალური დირექტორი გზას უღობავდა და ამდენად, რადას წევრები მის მოცილებას ამ ხერხით ცდილობდნენ.

მედიაექსპერტი ვლადიმირ პეტროვი აცხადებს, რომ "არტეკში" მსგავსი შემთხვევები ადრეც ყოფილა. უბრალოდ, მაშინ პედოფილები ობოლ ბავშვებს არჩევდნენ. აქამდე მსგავს სისხლის სამართლის დანაშაულს არანაირი სკანდალი არ მოჰყოლია. მისივე თქმით, ბანაკში გოგონების გაუპატიურება იშვიათად ხდებოდა, მაგრამ ბიჭები ხშირად ხდებოდნენ პედოფილების მსხვერპლნი, რადგან, როგორც პეტროვი აცხადებს, ბანაკის მასწავლებელთა 50 პროცენტი პედოფილია.

მედიაექსპერტი ვლადიმირ პეტროვი თვლის, რომ დუმის დეპუტატებს, ამხელა სკანდალის აგორება "არტეკის" მიწის ნაკვეთის გამო არ დასჭირდებოდათ, რადგან თუ დეპუტატები მოინომებდნენ, მიწის სასურველ ნაკვეთს მიიღებდნენ კიდეც.

რაც შეეხება მედიაექსპერტის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას საერთაშორისო საბავშვო ცენტრში ბოლო წლებში მომხდარ დანაშაულებთან დაკავშირებით, როგორც გაირკვა, დანაშაულებრივი ფაქტები სწორედ პოლიუხოვიჩების საქმის გამოძიებისას გაირკვა.

გერმანული ენის

პროფესიონალი მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტი გთავაზობთ ენის შესწავლას სხვადასხვა, თქვენთვის მისაღები პროგრამით. სასკოლო პროგრამა, აბიტურიენტთათვის, ბიზნესგერმანული. სწავლენა შესაძლებელია როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფებისთვის. მსურველები დაგვიკავშირდით ტელეფონზე:

8 93 57 70 53

ბაიდენი: რუსეთი ინტეგრაციისკენ უნდა მიისწრაფოდეს

AFP © 2009

ამ კვირაში აღმოსავლეთ ევროპაში ვიზიტით მყოფმა ამერიკის ვიცე-პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა განაცხადა, რომ რუსეთი მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებებს ყურადღებას აქცევს და თავის ახალ როლზე ფიქრობს.

"რუსეთი მომდევნო ათწლეულში, სავარაუდოდ, გააცნობიერებს, რომ მის ინტერესებში შედის დიდი ინტეგრაცია და არა რაღაც "განსაკუთრებული" კურსი, რომელზეც ზოგიერთები ფიქრობენ," - განაცხადა ბაიდენმა. ამასთან დააზუსტა, რომ რუსეთს "რეალისტურად უყურებს."

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ დღეს კრემლის პოლიტიკური დოქტრინა სუვერენული დემოკრატიის კონცეფციას წარმოადგენს, რომლის შინაარსი დეტალურად არ არის გამოაშკარავებული. ანალიტიკოსების აზრით, მისი მთავარი იდეა ის არის, რომ ქვეყანამ ზუსტად არ გადმოიტანოს დასავლური მოდელი, რომელიც დაფუძნებულია პოლიტიკურ კონკურენციასა და ხელისუფლების განაწილებაზე, არამედ საუკუნოვანი ტრადიციის მსგავსად, აქცენტი უნდა გააკეთოს ძლიერ, ცენტრალიზებულ ხელისუფლებაზე და ეროვნულ მთლიანობაზე.

ვიცე-პრეზიდენტი პოლონეთში, ჩეხეთში და რუმინეთში იმყოფებოდა უსაფრთხოების საკითხების განსახილველად. პოლონურ გაზეთ "საერთაშორისო ურთიერთობების" რედაქტორ სტანისლავ ბელენის თქმით, ბაიდენის ვიზიტის ნამდვილი მიზეზი იმ უთანხმოების მოგვარება იყო, რომელიც წარმოიშვა აღმოსავლეთ ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის ელემენტების განლაგებაზე უარის თქმის შემდეგ.

ბაიდენმა განაცხადა, რომ **"ამერიკას სურს "გადატვირთვის" ღილაკს ხელი დააჭიროს", მაგრამ ჩვენ "მეხსიერების წაშლის" ღილაკისთვის ხელის დაჭერას არ ვაპირებთ".** მისი სიტყვებით, არსებობს ორი საკითხი, რომლებიც განხილვას არ ექვემდებარება. პირველი - არანაირი გავლენის სფეროები. აშშ ამას არ მოითმენს და ამაში მონაწილეობას არ მიიღებს; და მეორე - ნებისმიერ სახელმწიფოს, ევროპაში თუ საერთოდ მსოფლიოში, უფლება აქვს, დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება ამა თუ იმ ბლოკში გაწევრიანების შესახებ. მსოფლიოს არც ერთ ქვეყანას ასეთ გადაწყვეტილებაზე ვეტოს დადების უფლება არა აქვს, აღნიშნა ბაიდენმა.

იმის საჩვენებლად, თუ როგორ ცდილობს რუსეთი თავის მეზობლებზე გავლენის მოხდენას, კრემლის კრიტიკოსებს მოჰყავთ "გაზის" და "რძის" დაპირისპირებები უკრაინასა და ბელარუსთან. აგვისტოში მედვედევმა უკრაინა ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთობების გაფუჭებაში დაადანაშაულა და კიევში ახალი ელჩის გაშვება გაურკვეველი ხნით გადადო. რუსეთის პრეზიდენტის უკმაყოფილება გამოიწვია ევროკავშირ-უკრაინის მოლაპარაკებებმა "რუსეთის გვერდის ავლით" გაზის მიწოდების შესახებ.

გარდა ამისა, რუსეთი აქტიურად ამყარებს ურთიერთობებს საქართველოსთვის წართმეულ ორ რეგიონთან - "სამხრეთ ოსეთთან" და აფხაზეთთან, რომლებიც მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობამ არ ცნო.

მოამზადა თამთა კახაძემ

გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკა ინგუშეთში

ივა შილაკაძე

გუშინ ინგუშეთში, საკუთარ სოფელ სურხარიში საგვარეულო სასაფლაოზე დაკრძალეს ინგუში ბიზნესმენი და ადამიანის უფლებათა დამცველი მაკშარიპ აუშევი, რომელიც გუშინწინ ყაბარდო-ბალყარეთში, დედაქალაქ ნალჩიკთან ახლოს საკუთარ მანქანაში ჩაცხრილეს (ამის შესახებ გუშინ უკვე წერდა "24 საათი"). მის დაკრძალვაზე უამრავი ხალხი მივიდა, სხვადასხვა გამოთვლებით ორიდან სამი ათასამდე ადამიანი. გუშინწინ მის ოჯახს სამძიმრის სათქმელად პირადად ეწვია ინგუშეთის პრეზიდენტი იუნუს-ბეკ ევკუროვი. მან ჭირისუფლებს აღუთქვა, რომ დამნაშავეების მოსაძებნად ყველა ღონეს იხმარს.

მკვლელობის საქმე პირად კონტროლზე აიყვანა რუსეთის პროკურორმა იური ჩაიკამ და საქმის გამოსაძიებლად მოსკოვიდან სასწრაფოდ გაგზავნა გამოცდილი გამომძიებლების ჯგუფი. პროკურატურის საგამოძიებო კომიტეტის წარმომადგენელმა გუშინვე განაცხადა, რომ ძიება აუშევის მკვლელობის, სულ ცოტა, ხუთ ვერსიას განიხილავს. მათ შორის არის კომერციული საქმიანობა, კრიმინალური კავშირები, პირადი ანგარიშსწორება, ძველი თანამებრძოლების მიმართ შეუსრულებელი პირობები და საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობა. მცირე განმარტებას მოითხოვს ვერსიები პირადი ანგარიშსწორებისა და შეუსრულებელი პირობების შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი, ისევე როგორც დანარჩენი ვერსიების უმეტესობა, ცოტა ხელოვნურად შეთხზულს ჰგავს. თავის დროზე მაკშარიპ აუშევი 2007 დეკემბერში 2008 წლის იანვრის საპროტესტო აქციების მონაწილეებს ხელისუფლებასთან შუამდგომლობას შეჰპირდა, რათა მათ ამ გამოსვლების გამო სისხლის სამართლებრივი დევნა მოხსნოდათ. ცხადია, ეს ყველას მიმართ ვერ მოხერხდა. რაც შეეხება ნათესავების მხრიდან პირად ანგარიშსწორებას, მინიშნება გაკეთდა მის შესაძლო რომანტიკულ ურთიერთობაზე ბიძაშვილ ტაუზელა ძეიტოვასთან, რომელიც თავდასხმის დროს აუშევის მანქანაში იჯდა და სასწაულებრივად გადარჩა. იგი ამ ტერაქტის, ფაქტობრივად, ერთადერთი მოწმეა (არის კიდევ ადგილობრივი მცხოვრები, რომელმაც შეესაძლოა ბანდიტების მანქანა დაინახა. იგი უკვე დაკითხეს სამართალდამცავებმა). ძეიტოვას რამდენიმე ოპერაცია გაუკეთეს და მისი მდგომარეობა ჯერ ძალიან მძიმეა.

პროკურატურამ აუშევის საზოგადოებრივი საქმიანობა ტერაქტის მიზეზებს შორის "მოკრძალებულად" ბოლო ადგილზე მოაქცია, თუმცა ხალხს და ადამიანის უფლებათა დამცავებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ მაკშარიპ აუშევი სწორედ ამ მიზეზით მოკლეს და მკვლელობაში ძალოვნების ხელი ურევია. ყაბარდო ბალყარეთის სამართალდამცავებმა აღიარეს, რომ ვერსიებს შორის წამყვანი ადგილი სწორედ აუშევის საზოგადოებრივ საქმიანობას უკავია. მათი განცხადებით, მკვლელობის ფესვები ინგუშეთშია საძებნელი, ყაბარდო-ბალყარეთში აუშევი ცნობილი ადამიანი არ ყოფილა, მისი საქმიანობა ამ რესპუბლიკას არანაირად არ ეხებოდა და ეს ტერიტორია, უბრალოდ, კვალის დასაფარად გამოიყენეს. მკვლელების მანქანა აუშევს, სავარაუდოდ, ინგუშეთიდანვე აედევნა.

უფრო ღრმად თუ ჩავიხედავთ მაკშარიპ აუშევის საქმიანობაში, მკვლელობის საკმაოდ ნათელი სურათი იკვეთება, რომელიც, სამწუხაროდ, "კარგად ჯდება" ჩრდილოეთ კავკასიაში ბოლო თვეებში მომხდარ მოვლენებში. იგი პოლიტიკასა და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში აქტიურად ამ ორიოდე წლის წინ ჩაერთო, როდესაც ჩეჩნეთში მისი შვილი და ძმისშვილი გაიტაცეს. აუშევმა, თანამოაზრეებთან ერთად, საპროტესო აქცია მოაწყო და მას ნათესავები ორიოდე დღეში დაუბრუნეს, თუმცა საზოგადოებისთვის ოფიციალურად უცნობი დარჩა, თუ ვინ გაიტაცა ისინი. ამის შემდეგ ის ინგუშეთის ხელისუფლებას აქტიურად დაუპირისპირდა, თავისი ნათესავის, ვებ-გვერდ "ინგუშეტია.რუ"-ს მფლობელ მაგომედ ევლოევის დაპატიმრებისა და მკვლელობის შემდეგ კი აღნიშნულ საიტსაც ჩაუდგა სათავეში. მან აქტიურ პოლიტიკასა და საიტის ხელმძღვანელობას 2008 წლის ბოლოს დაანება თავი, როდესაც ინგუშეთის პრეზიდენტი მურატ ზიაზიკოვი გადააყენეს და მის ადგილას ევკუროვი დაინიშნა. მაკშარიპ აუშევმა კვლავ ბიზნესს მოჰკიდა ხელი, კარგი ურთიერთობა ჰქონდა პრეზიდენტ ევკუროვთან, მაგრამ ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მუშაობას აგრძელებდა და ადამიანის უფლებათა საკითხებში რუსეთის პრეზიდენტის რწმუნებულ ვლადიმირ ლუკინის ექსპერტთა საბჭოში შედიოდა. აუშევი საკმაოდ უხერხული პიროვნება იყო ძალოვნებისათვის. დასავლური პრესისთვის მიცემულ ინტერვიუებში ინგუშეთის და ჩეჩნეთის ძალოვან სტრუქტურებს ბრალს სდებდა ადამიანების მოტაცებებში, წამებასა და მკვლელობებში, განსაკუთრებულ აქცენტს "ფე-ეს-ბე"-სა და რამზან კადიროვის მილიციელებზე აკეთებდა. გარდა ამისა, ის, მაგომედ ხაზბიევთან ერთად, დანიშნული მუნიციპალური არჩევნების წინააღმდეგ გამოდიოდა.

მაკშარიპ აუშევზე თავდასხმა რამდენჯერმე სცადეს, წელს ოფიციალურადაც დააპატიმრეს, მაგრამ ოთხი თვის პატიმრობის შემდეგ ის ინგუშეთის უმაღლესმა სასამართლომ გაამართლა. მისი გატაცების მცდელობა სექტემბერშიც იყო, ინგუშეთის უშიშროების საბჭოს მდივან ვორობიოვთან შეხვედრის მეორე დღეს, როდესაც ნაზრანში მიდიოდა ციხეში ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში სიტუაციის გასაცნობად. ამის შემდეგ აუშევი ახლობლების რჩევით თურქეთში გაიხიზნა. ახლა შვილის ქორწილის გამო სამშობლოში რამდენიმე დღით იყო ჩასული და შემდეგ ევროპაში უნდა წასულიყო. ის ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე მოხსენებას ამზადებდა, რომლითაც ევროსაბჭოს წინაშე უნდა წარმდგარიყო.

ყველა საღად მოაზროვნე ადამიანისთვის, რომელიც ოდნავ მაინც იცნობს ჩრდილოეთ კავკასიაში არსებულ მდგომარეობას, ალბათ ყველაფერი ნათელია. ადამიანის უფლებათა დამცველები ხელისუფლებას და ძალოვან სტრუქტურებს პირდაპირ აკისრებენ ამ მკვლელობაზე პოლიტიკურ და არა მხოლოდ პოლიტიკურ პასუხისმგებლობას. ამ ტიპის განცხადებები გააკეთეს ინგუშმა ოპოზიციონერმა და ადამიანის უფლებათა დამცველმა მაგომედ ხაზბიევმა, საიტ "ინგუშეტია.ორგ"-ის ყოფილმა მთავარმა რედაქტორმა, ამჟამად საფრანგეთში გახიზნულმა როზა მალსაგოვამ, მოკლულის თანამებრძოლმა მუსა პლიევამა. მათ გამოთქვეს ვარაუდი, რომ ასეთი ანგარიშსწორება გაგრძელდება და აუშევის შემთხვევა ბოლო არ იქნება.

მსგავს პოზიციას აფიქსირებენ მოსკოველი და უცხოელი ადამიანის უფლებათა დამცველებიც. ორგანიზაცია "ჰიუმან რაითს უოთჩის" წარმომადგენლის, მოსკოვის ბიუროს ხელმძღვანელ ტატიანა ლოკშინას აზრით, აუშევის მკვლელობა ადასტურებს, რომ სამოქალაქო აქტივისტების საქმიანობა ჩრდილოეთ კავკასიაში შეუძლებელი ხდება. მან პირდაპირ განაცხადა, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში ადამიანის უფლებათა დაცვის ან ნებისმიერ სამოქალაქო სფეროში საქმიანობა "თვითმკვლელობის ფორმად" იქცა. ამავე ორგანიზაციის მეორე წარმომადგენელმა რუსეთის ოფისის დირექტორმა ალისონ გილმა ამ ტიპის მკვლელობების გამოძიება პირდაპირ რუსეთის ხელისუფლებისგან მოითხოვა. იაუშევის მკვლელობას მის საზოგადოებრივ საქმიანობას უკავშირებს ორგანიზაცია "მემორიალის" წარმომადგენელი ალექსანდრ ჩერკასოვიც. მისი სიტყვებით, "აშკარაა, რომ აუშევს სამაგიერო გადაუხადეს და მას სპეცსამსახურების წარმომადგენლები ემუქრებოდნენ." მაგალითად, გაზეთი "ვაშინგტონ პოსტი" იმასაც ვარაუდობს, რომ შეიძლება ევკუროვი და კრემლი, გარკვეული თვალსაზრისით, კონტროლსაც კარგავენ ადგილობრივ ძალოვან სტრუქტურებზე.

ყოველ შემთხვევაში, ეს მკვლელობა კიდევ ერთი რგოლია ბოლო დროს ჩრდილოეთ კავკასიაში ადამიანის უფლებათა დამცველების წინააღმდეგ ანგარიშსწორების მოხშირებული ფაქტების ჯაჭვში.

საქართველოსა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციას შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ განვითარების საერთაშორისო ასოციაციისგან (I) მიიღო გრანტი და აპირებს გრანტის ნაწილით დააფინანსოს ახალციხე, გორი, მარნეული, გუურჯაანის რაიონებში საკონსულტაციო მომსახურეობა.
ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი

იწვევს დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომელთაც აქვთ უცხოურ დონორ ორგანიზაციებთან, ახალგაზრდულ სექტორთან, თემების მობილიზაციასთან მუშაობის გამოცდილება წინასაკვალიფიკაციო შერჩევაში მონაწილეობის მისაღებად. დეტალური ტექნიკური დავალება შეგიძლიათ მიიღოთ 2009 წლის 28 ოქტომბრიდან ყოველ დღე (შაბათ-კვირის გარდა) 10-დან 18 საათამდე ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის ოფისში.

საკონტაქტო პირი: ქეთი ესაძე. 893 202 221

დაინტერესებულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია მათ მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოების შესახებ, დამკვეთის, კონტრაქტის მოცულობისა და შესრულებული დავალების მოკლე ანოტაციით.
არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ინფორმაციების ჩაბარების ბოლო ვადაა **9 ნოემბერი, 2009 წელი.**
ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის მისამართია:
ბავშვთა და ახალგაზრდული ეროვნული ცენტრი
ქ თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, 76ბ 0186,
ტელ: (995 32) 302253; 301775
ფაქსი: (995 32) 301253
შეკითხვების შემთხვევაში დაუკავშირდით შესყიდვების ოფიცერს
გიორგი ბაჯელიძეს
ტელ: (995 32) 302253; 301775
მობ: 8 77 535 888

რევიუ

უნიკალური კოლექცია მხოლოდ ერთი დღით

გამოფენა თიბისი-ში გადარჩენის იდეით

სოფო კილასონია

გიორგი გაბაშვილი
მოსე თოიძე
კორნელი სანაძე
ელენე ახვლედიანი
ალექსანდრე ციმაკურიძე
კირილე ზდანევიჩი
ზურაბ ნიჟარაძე
კოკი მახარაძე
და ა.შ.
ქართული დაზგური მხატვრობის სხვადასხვა თაობის გამორჩეული წარმომადგენლების ფერწერული ტილოები გუშინ თიბისი ბანკის გალერეაში მხოლოდ ერთი დღით გამოიფინა. თუმცა ეს გამოფენა ამ და სხვა მხატვრების გაცნობას და კიდევ ერთხელ დათვალიერებას როდი ისახავდა მიზნად. გაბაშვილის გლეხები თუ სხვათა სხვა ნატურები 26 ოქტომბერს გალერეაში ერთი იდეისთვის, ერთი აქციისთვის გამთლიანდნენ და შეიკვრნენ როგორც ექსპოზიცია. ამ იდეას სამხატვრო აკადემიის ისტორიული ნაგებობის გადარჩენის იდეა ჰქვია.

სოფო კილასონია ფოტო

26 ოქტომბერს თიბისი ბანკის საგამოფენო დარბაზში სამხატვრო აკადემიის ისტორიული შენობის გადარჩენა-რეაბილიტაციისადმი მიძღვნილი გამოფენა გაიხსნა და სამწუხაროდ დაიხურა კიდეც. ამ გალერეაში და არა მხოლოდ ასეთი საინტერესო ექსპოზიციები ხშირად ნამდვილად არ იმართება. და მაინც, ამბის თხრობა უნდა გავაგრძელოთ. გიგო გაბაშვილი, მოსე თოიძე, კორნელი სანაძე, ელენე ახვლედიანი და ა.შ.- ექსპოზიციას ახლდა ფოტოსერიაც, რომელიც მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ნაგებობის ისტორიასა და დღევანდელობას აღწერდა. ნაგებობა, რომელიც თბილისის ერთ-ერთი თვალსაჩინო არქიტექტურული ძეგლია და უნიკალური თავისი ყაჯარული დარბაზებით ნელ-ნელა იშლება, თუმცა მისი რეაბილიტაცია ტექნოლოგიურად შესაძლებელია... ალბათ მთავარია საზოგადოებისა და სხვადასხვა უწყებების ნება.

ექსპოზიციას ახლდა ფოტოსერიაც, რომელიც მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ნაგებობის ისტორიასა და დღევანდელობას აღწერდა. ისტორია - შთამბეჭდავია, თუმცა დღევანდელობა ელიდან გვეცლება.

ექსპოზიცია, რომლის ხილვაც დამთვალიერებელს მხოლოდ ერთი დღე შეეძლო, სამხატვრო აკადემიის მუზეუმ-არქივის კოლექციას წარმოადგენს. გამოფენა მართლაც რომ უნიკალური გახლდათ, რადგანაც მოიცავდა არაერთი ცნობილი ქართველი და რუსი მხატვრების ტილოებს. ცხადია, აკადემია, დღიდან მისი დაარსებისა, აგროვებს კოლექციას რომელიც მდიდარია როგორც არტეფაქტებით, ისე ისეთი ნამუშევრებით, რომლებიც შესაძლოა მაღალ ღირებულებას არ წარმოადგენენ, მაგრამ მათი რაოდენობა და მრავალფეროვნება დღეს მნიშვნელოვან მასალად აღიქმება ისტორიის შესწავლის თავლსაზრისით. ასე მაგალითად, აკადემიის კოლექციაში შეგიძლიათ მთელს საბჭოთა ქართულ სოცრეალისტურ მხატვრობას მიადევნოთ თვალი და იმაშიც დარწმუნდეთ თუ როგორც აწრთობდნენ ნიჭიერ ახალგაზრდებს დეოლოგიის მოდარაჯეებად.

მაგრამ ექსპოზიცია, რომელიც გუშინ თიბისი ბანკის საგამოფენო დარბაზში ვიხილე შორს გახლდათ მხოლდო სოცრეალისტური ტილოების პრეზენტაციისგან. არა, გამოფენა აკადემიის მუზეუმის საუკეთესო ტილოებს წარმოაჩენდა, თანაც იმდენს, რამდენიც სივრცემ დაიტია, შესაბამისად მხოლოდ მცირედს არსებული კოლექციიდან.

სამხატვრო აკადემიის რექტორი, გია ბუღაძე და კანცლერი კახა ტრაპაიძე გამოფენის გახსნის დროს გვაცნობდნენ არქიტექტორ-რესტავრატორების პროექტს, რომელიც ჯერ დასრულებული არ არის, თუმცა იმედისმომცემია ყველასთვის, ვისაც არა მხოლოდ სამხატვრო აკადემიაზე, არამედ იმ ნაგებობაზე შესტკივა გული, რომლის მსგავსიც საქარტველოში არ გახლავთ. მის უნიკალურობასა და სპეციფიკურობას, რაც ერთი-ორად ართულებს შენობის რეაბილიტაციას, ძირითადად დარბაზების ყაჯარული წესის მოხატვა-მორთვა განაპირობებს...

შენობა რომელიც 1856 წელს არქიტექტორ ივანოვმა დააპროექტა, სამხატვრო აკადემიის ვანსაყუდელად 1922 წლიდან იქცა. ნაგებობა წარსულში დიდებულ არშაკუნის სახლი გახლდათ, უფრო სწორად, სასახლე. ინტერიერების დეკორატიული გაფორმება შესრულებულია თბილისში მომუშავე ირანელი ოსტატების მიერ. ამავე შენობების კომპლექსში ადრე განთავსებული იყო აკადემიის პროფესორის, მხატვარ ჰ.ჰრინევსკის მეუღლის მ.პერინის საბალეტო სტუდია და მხატვრის სახელოსნო (1937 წლამდე); აკადემიის პროფესორის, გიორგი (გიგო) გაბაშვილის სახელოსნო; აგრეთვე ქობულაშვილების და სხვათა საცხოვრებელი ბინები.

შენობას რესტავრაცია ერთხელ - 1972 წელს ჩაუტარდა. სხვათაშორის, უკვე მაშინ აკადემიის პედაგოგებისა და სტუდენტების მონაწილეობით. ამავე წელს აიგო აკადემიის ახალი, ათსართულიანი კორპუსი (არქიტექტორი ლ. სუმბაძე, კონსტრუქტორი დ. ქაჯაია).რადგან სამხატვრო აკადემიის ახალი კორპუსი ვახსენე, რომელიც ძველის, ანუ ისტორიული ნაგებობის ეზოში დგას, უნდა აღვნიშნო ისიც, რომ 2005-2006 წელს მისი სრული რესტავრაცია "ქართუ" ჯგუფმა განახორციელა.

როგორც გვითხრეს, პროფესიონალები ისტორიული ნაგებობის სარეაბილიტაციო პროექტზე მუშაობას მალე დაასრულებენ, ეს პროექტი მხოლოდ ქაღალდზე არ დარჩება და სამხატვრო აკადემიის ისტორიულ ნაგებობას მზრუნველებიც გამოუჩნდებიან და ოპერატიულადაც იმოქმედებენ.

ძმათა სასაფლაოზე დაკრძალული ლორკა



გუშინ, 2009 წლის 26 ოქტომბერს, ესპანელმა არქეოლოგებმა ოფიციალურად დაიწყეს ესპანელი პოეტისა და დრამატურგის, ფრანკისტების მიერ 1936 წლის აგვისტოში, სამოქალაქო ომისას დახვრეტილი ფედერიკო გარსია ლორკას საფლავის გათხრა.

ლონდონური გაზეთი, სახელწოდებით The Times, იუწყება, რომ პოეტის ნეშტს ჩაუტარდება ეკსჰგუმაცია, მისი დნმ-ის ნიმუშებს ლორკას ნათესავებისას შეადარებენ და იდენტიფიკაციისას დადებითი პასუხის შემთხვევაში ფედერიკო გარსია ლორკას ძვლებს თავიდან, უკვე პატივით დაკრძალავენ.

აღსანიშნავია, რომ მისი ნეშტის ეკსჰგუმაციას ოჯახის წევრები მრავალი წელი ეწინააღმდგებოდნენ. თუმცა, 2007 წელს, მას შემდეგ, რაც ესპანეთში მიიღეს კანონი "ისტორიული მეხსიერების შესახებ", ფრანკისტების მიერ ლორკასთან ერთად დახვრეტილების ნათესავებმა ეკსჰგუმაციისა და სხეულის ამოცნობის უფლება სასამართლო წესით მოითხოვეს. ამას სასამართლოც დაეთანხმა და, ბოლოს და ბოლოს, ლორკას ოჯახიც. აი, ასე გადაწყდა გათხარათ საფლავი, რომელიც გრანადას შემოგარენში მდებარეობს და სადაც პოეტის გარდა კიდევ სამი ადამიანია დაკრძალული, მათ შორის, ორი მატადორია, ერთი კი - სკოლის მასწავლებელი. ამის შესახებ გაზეთისთვის, სახელწოდებით El Pais, მიცემულ ინტერვიუში პოეტის დის შვილმა - ლაურა გარსია ლორკამ აღნიშნა.

რატომ აპროტესტებდნენ ლორკას შთამომავლები საფლავის გახსნას? იმიტომ, რომ შიშობდნენ ეს მოვლენა სანახაობაში არ გადაზრდილიყო. ლაურა გარსია ლორკას თქმით, მოკლულთა სხეულების ეკსჰგუმაციის პროცესს ღირსეულად, უცხო პირების გარეშე უნდა ჩაევლო. ლაურამ განაცხადა, რომ ძმათა სასაფლაოსგან მოშორებით ფრანკისტების მიერ დახვრეტილი ათასობით ადამიანია დაკრძალული და პოეტის საფლავისკენ განსაკუთრებული ყურაღდების მიქცევა საჭირო არ არისო... "ისინი საერთო სასაფლაოზე არიან დასაფლავებულნი. ყველანი მხეცურად და სასტიკად მოკლეს. იქ არის ლორკას საფლავიც და გვინდა, რომ მისი ნეშტი დარჩეს იქ, სადაც ახლა იმყოფება", - განაცხადა პოეტის დიშვილმა. ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, საძმო სამარხის გახსნას მოითხოვდა ნევეს გაკინდო, დახვრეტილი სკოლის მასწავლებლის - დიასკორო გალინდოს შვილიშვილი. მას ნეშტის ექსპერტიზის ჩატარება უნდოდა იმისათვის, რომ დარწმუნებულიყო ნამდვილად იქ იყო თუ არა მისი ნათესავი დასაფლავებული.

ფედერიკო გარსია ლორკას იუბილე, მისი შემოქმედების თაყვანისმცემლებმა 2006 წელს, დრამატურგის გარდაცვალებიდან 70 წლისთავზე, მასშტაბურად აღნიშნეს. ესპანური ლიტერატურული საზოგადოება შეიკრიბა გრანადაში, სადაც ჩავიდნენ: იენ გიბსონი (ლორკას ბიუგრაფი), მიგელ ერმოსო და ემილიო რუის ბარაჩინა (კინორეჟისორები), ამანსიო პრადა (მომღერალი და გიტარისტი), მარკოს ანა (პოეტი) და სხვები. სწორედ ამ თარიღის აღნიშვნამდე გახდა ცნობილი, რომ ლორკას მკვლელობაში მისი სანათესაო კლანის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. ესპანეთის კულტურის სამინისტრომ გაუჩნდა ინიციატივა, რომელიც ფედერიკო გარსია ლორკას საფლავის გათხრას, მისი ნეშტის ექსპერტიზასა და პატივით დაკრძალვას ითვალისწინებდა. თუმცა, ეს წინადადება პოეტის შთამომავლებმა არ მიიღეს, რამაც ბევრს ამ თემით სპეკულირების საბაბი მისცა: სხვებთან ერთად, ლორკას ცხოვრებისა და შემოქმედების მკვლევარი, იენ გიბსონიც დარწმუნებული იყო, რომ ნათესავებმა პოეტის სხეული ძმათა სასაფლაოდან ჯერ კიდევ სამოქალაქო ომისას ამოიღეს და მათი კუთვნილი მიწებიდან ერთ-ერთში დამარხეს.

ესპანეთის მთავრობის წარმომადგენლები ფედერიკო გარსია ლორკას საფლავის გათხრისა და ნეშტის ეკსჰგუმაციის საკითხს დათანხმდნენ, მხოლოდ ისე, რომ პოეტის საფლავს უცხო პირები და მისი ნახვით დაინტერესებული ადამიანები მოარიდეს, არქეოლოგებს კი მობილური ტელეფონებით სამოყვარულო ფოტოგადაღება აუკრძალეს, რათა კონფიდენციალური კადრების ინტერნეტში განთავსება აიცილონ თავიდან.

საძმო საფლავის გათხრა დაიწყო, მაგრამ რა შედეგს მოიტანს ცნობილი ხელოვანის ნეშტის ეკსჰგუმაცია და მისი დნმ-ის ანალიზი, ამას მომავალი და საინფორმაციო საშუალებებში გავრცელებული მასალები გვიჩვენებს.

ᲐᲤᲘᲨᲐ

27 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

თეატრი

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი
კახა ცაბაძე - 50
დასაწყისი: 20.00

თუმანიშვილის თეატრი
პროექტი "ART ექსპერიმენტები"
დასაწყისი: 19.00

პანტომიმის თეატრი
"Stop Aids"
დასაწყისი: 19:00

კინო

რუსთაველი
"თბილისური Love Story"
დასაწყისი: 12.00; 14.00; 16.00; 18.00; 20.00; 22.00
"კოკო შანელი"
დასაწყისი: 12.00; 14.00; 17.00; 19.30; 22.00
"სუროგატები"
დასაწყისი: 19.00; 21.30;
"აგენტი-ზღვის გოჭები"
დასაწყისი: 13.00; 15.00; 17,00;
"გაღმა ნაპირი"
დასაწყისი: 12.30; 14.30; 16.30; 18.30; 20.30; 22.15
"ყველაფერი კარგად იქნება"
დასაწყისი: 12.15; 14.15; 16.15; 18.15; 20.15; 22.15

ამირანი
"თბილისური Love Story"
დასაწყისი: 12.15; 14.15; 16.15; 18.15; 20.15; 22.15
"გაღმა ნაპირი"
დასაწყისი: 16.00; 18.00; 22.00
"ყველაფერი კარგად იქნება"
დასაწყისი: 12 .00; 14.00; 20.00

გამოფენა

ბაია გალერეა
ოლეგ ტიმჩენკოს პერსონალური გამოფენა
სარკეები და დეკორატიული კაფელი
თბილისის ისტორიის მუზეუმი "ქარვასლა"
ირაკლი აბაშიძე - 100;
ტრადიციული იაპონური თოჯინების გამოფენა.

თბილისის თოჯინების მუზეუმი
საბავშვო წიგნის დღე

მარკუს მილერი მაილს დევისზე

გენიალური ბასისტი კონცერტს დღეს გამართავს

ია ვეკუა

ხატია ჯიბლაძისა და ფოტო

თბილისში პირველადაა, თუმცა ქართველი მსმენელის წინაშე ერთხელ უკვე წარსდგა - შარშანწინდელ ბათუმის შავი ზღვის ფესტივალზე, როდესაც თავის ბენდთან ერთად ალბომ Free-ს მხარდასაჭერ ტურნეს მართავდა. გავიდა ორი წელი და მარკუს მილერი დაგვიბრუნდა, ამჯერად პროექტით Tutu Revisited music of Miles Davis. მარკუს მილერი დიდი საკონცერტო დარბაზის სცენაზე თბილისის საერთაშორისო ჯაზფესტივალის პირველსავე დღეს წარსდგება. ფესტივალი კი სტარტს დღეიდან იღებს.

27 ოქტომბრის კონცერტს ჯეიმს კარტერის კვინტეტის კონცერტი გახსნის და სწორედ მილერი და მისი საოცარი ბენდი გააგრძელებს. მეორე დღეს სცენაზე ნიუ იორკული ტრიო Medeski, Martin & Wood-ს ვიხილავთ. 29 ოქტომბერს ფესტივალს დიდი საკონცერტო დარბაზის ფოიეში განთავსებული ივენთ ჰოლი უმასპინძლებს: 29 ოქტომბერს დინი ვირსალაძის ბენდს და იტალიელ ბასისტ რობერტო პუჯონის, შემდეგ კი Georgian Jazz Trio-ს და აზერბაიჯანელ საქსოფონისტ რაინ სულტანოვს მოვუსმენთ. ქართველებს მთავარ სცენაზე მომღერალი კურტ ელინგი და საქსოფონისტი ერნი უოტსი შეცვლიან პროექტით Dedicated to you: Kurt Elling Sings the music of Coltrane and Hartman. 31 ოქტომბერს ივენთ ჰოლი ჯაზ დენს ფართის უმასპინძლებს, ხოლო ფესტივალს, 1 ნოემბერს, Kool & The Gang-ის კონცერტი დახურავს.

მარკუს მილერზე საუბარს სწორედ ამ ჯგუფით დავიწყებთ. იგი იხსენებს, რომ 13 წლის ასაკში Kool & The Gang-ის ყველა სიმღერა ზეპირად იცოდა, ჯგუფის ვინილის ალბომები მთელ ოთახში ჰქონდა მიმოფანტული, საღამოობით კი ბას გიტარაზე მათი კომპოზიციების აწყობას ცდილობდა. ამ დროს მარკუს მილერს უკვე განსაზღვრული ჰქონდა თავისი მომავალი, თუმცა იყო დრო, როდესაც მიუხედავად იმისა, რომ მუსიკალურ ოჯახში იზრდებოდა, სპორტსმენობაზე ოცნებობდა. "ჩემს ოჯახში გამუდმებით ისმოდა მუსიკა, მაგრამ ბავშვობაში მაინც სპორტი მიტაცებდა. ჩემი პირველი ინსტრუმენტი ბლოკ-ფლეიტა იყო, რომელზეც სასკოლო ანსამბლში ვუკრავდი. შემდეგ კლარნეტზე გადავედი. 13 წლის ასაკში კი პირველად ავიღე ხელში ბას გიტარა", - ასე გაიხსენა ბავშვობა მარკუს მილერმა.

22 წლის ასაკში პრაქტიკულად შემდგარი მუსიკოსი მაილს დევისის ბენდში აღმოჩნდა. მისი მოგონებები ლეგენდარულ მუსიკოსზე განსაკუთრებულია: "მაილს დევისზე ამბობენ, რომ ის გიჟი იყო და ამაში თავად არა ერთხელ დავრწმუნდი. ის ნამდვილად მუსიკის გიჟი იყო, მთელი არსებით მუსიკას ეკუთვნოდა. როდესაც დევისთან მოვხვდი, პატარა ბიჭი ვიყავი, ამიტომ ვცდილობდი ბევრ რამეში მისთვის მიმებაძა, მისნაირი ვყოფილიყავი. როდესაც ეს შემატყო, მითხრა, ნუ ცდილობ მე დამემსგავსო, ეს შენ არ ხარ, ეცადე საკუთარი თავი არ დაკარგო. მისგან მართლაც ბევრი რამ ვისწავლე - მივხვდი, თავად რას წარმოვადგენ".

აღმოჩნდა, რომ მარკუს მილერს თბილისის ჯაზფესტივალის აფიშაში ჩასმულ სხვა მუსიკოსებთანაც უთანამშრომლია. საქსოფონისტ ჯეიმს კარტერთან (ფესტივალს სწორედ მისი კვინტეტი გახსნის) ერთობლივი ალბომი აქვს ჩაწერილი. "ჯეიმსი ჩემი ერთ-ერთი საყვარელი მუსიკოსია და მიხარია, რომ ჩვენ სცენაზე ერთ დღეს გამოვდივართ. რაც შეეხება Medeski, Martin & Wood-ს, ეს ჯგუფი ჩემს მიერ ორგანიზებულ ჯაზკრუიზში მონაწილეობდა, სადაც ძალიან წარმატებული შოუ წარმოადგინეს. მათ კარგად შეუძლიათ სწორი განწყობის შექმნა და მსმენელის აყოლიება. დარწმუნებული ვარ, მათ კონცერტზე დიდად ისიამოვნებთ".

მარკუს მილერმა პრესკონფერენციაზე ბათუმის ჯაზფესტივალიც გაიხსენა: "ყველგვარი გადაჭარბების გარეშე ვამბობ, რომ მსგავს აღტაცებას მსმენელისგან ნამდვილად არ ველოდი. ეს იყო ჯაზში კარგად გარკვეული აუდიტორია, რომელმაც ზუსტად იცოდა, სად რა რეაქცია უნდა ჰქონოდა. სწორედ ამაშია მუსიკის საოცარი ძალა: ჩემი ალბომი ნიუ იორკში ჩავწერე, შემდეგ გავიარე ათასობით კილომეტრი და უცხო ქვეყანაში, ჩემთვის სრულიად უცნობი ხალხისგან სწორედ ისეთი განწყობა მივიღე, როგორიც საჭირო იყო. ბევრმა მათგანმა კომპოზიციები ზეპირად იცოდა, ჩემთან ერთად მღეროდნენ. ამ კონცერტისგან უდიდესი სიამოვნება მივიღე, რისთვისაც თქვენი მადლობელი ვარ. იმედია, თბილისის კონცერტიდანაც იგივე მუხტი გამყვება."

კიდევ ერთი ჰოლივუდელი თბილისში

პირველი გვერდიდან

ჰოლანდიელი ოპერატორი სტანს სტორიმანსი გორის დაბომბვისას, 12 აგვისტოს, დაიღუპა. იგი ქალაქის რეგიონული ადმინისტრაციის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩამოგდებულმა კასეტურმა ბომბმა იმსხვერპლა. სხვათა შორის, მის დაღუპვას თავის დროზე პატივცემული მედვედევიც გამოეხმაურა და ყველაფერში ქართული მხარე დაადანაშაულა. თუმცა ჰოლანდიის მთავრობის მხრიდან მალევე გაკეთდა საპასუხო განცხადება, რომელშიც სტორიმანსის დაღუპვის მიზეზად სწორედ რუსული ჭურვებია დასახელებული.

რაც შეეხება ჰოლანდიელი ოპერატორის როლის შემსრულებელს ანუ ველ კილმერს, მისი მონაწილეობის შესახებ რენი ჰარლინის "ჯორჯიაში" (ეს ფილმის სამუშაო სახელწოდებაა) იმთავითვე საუბრობდნენ და ენდი გარსიას გამგზავრების შემდეგ თითქმის ყოველ დღე ელოდნენ. ლოდინი დასრულდა - ახლა მუშაობა იწყება. ველ კილმერის ამ როლზე შერჩევა ალბათ შემთხვევითი არ ყოფილა, რადგან ის გარდაცვლილ სტორიმანსს საკმაოდ ჰგავს და აღნაგობითაც დაახლოებით იგივეა (თუმცა როგორც თბილისისი აეროპორტში გადაღებულ კადრებში ვიხილეთ, ცოტა გასუქებულა). განსხვავება ასაკშიცაა, ველ კილმერი უკვე 50 წლისაა, თუმცა ამ დეტალს ფილმში ალბათ ყველაზე ნაკლები მნიშვნელობა ექნება - მსახიობი ხომ საკუთარ პერსონაჟს ქმნის.

ენდი გარსიას მსგავსად, ალბათ ზედმეტია ქართველი მაყურებლისთვის ველ კილმერის შეხსენება. სხვა თუ არაფერი, ეს სწორედ ის მსახიობია, რომელმაც ოლივერ სტოუნის "დორზსში" თაობის კერპი ჯიმ მორისონი განასახიერა, რასაც არაჩვეულებრივად გაართვა თავი. მან ბეტმენიც ითამაშა ფილმში "ბეტმენი სამუდამოდ" და სხვათა შორის, მაიკლ კიტონის შემდეგ საუკეთესო ადამიან ღამურადაა აღიარებული.

ამჯერად ეკრანებზე გამოსასვლელად მზადაა ველ კილმერის ახალი კრიმინალური დრამა Fake Identity და რომანტიკული Provinces of Night. პარალელურად მსახიობს დაახლოებით ათ ფილმში იღებენ. გარდა ამისა, 2010 წელს ეკრანებზე გამოვა მისი სარეჟისორო დებიუტი Mark Twain and Mary Baker Eddy, სადაც მარკ ტვენის როლს თავად ასრულებს. ველ კილმერს წინ კიდევ ერთი საინტერესო პროექტი ელის: 2011 წელს რეჟისორი ლარი ჩარლზი დაიწყებს ფილმ The Dirt-ის გადაღებას, სადაც კილმერი ცნობილი მუსიკოსის, დევიდ ლი როტის როლს შეასრულებს, ხოლო კრისტოფენ უოკერი ოზი ოზბორნს ითამაშებს.



თვალსაზრისი

შექსპირიდან ინფინიტამდე

რა ხდება თანამედროვე თეატრში ჩვენს საზღვრებს გარეთ

ლაშა ჩხარტიშვილი

თბილისის პირველ და პომპეზურ საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე თოთხმეტი უცხოური და ოცდაშვიდი ქართული სპექტაკლი იყო წარმოდგენილი. ქართული პროგრამა თითქმის ორჯერ აღემატებოდა უცხოურს, ოღონდ რიცხობრივად, ხარისხის თვალსაზრისით კი, რა თქმა უნდა, არა. ჩემს ამ მოსაზრებას ფესტივალზე მოწვეული ოცდაათამდე ის უცხოელი ექსპერტიც ამყარებს, რომლებიც ქართულ "showcase"-ს დაესწრნენ. მათი დასკვნების დიდი ნაწილიც მალე დაიდება უცხოელ კრიტიკოსთა ბლოგპოსტებზე...

აზრთა სხვადასხვაობისა და მრავალგვარი გემოვნების მქონე მაყურებლის მიუხედავად, ფაქტია, რომ ფესტივალზე საერთაშორისო პროგრამიდან უმეტეს წილად კარგი სპექტაკლები იყო წარმოდგენილი. ჟანრობრივად მრავალფეროვანი საერთაშორისო პროგრამა ოსკარას კორშუნოვასის "რომეო და ჯულიეტამ" (ლიტვა) გახსნა. სპექტაკლი იმდენად საინტერესო და მიმზიდველი აღმოჩნდა, რომ მომდევნო საფესტივალო პროგრამის მიმართ დადებითად განგვაწყო. საბედნიეროდ, ამაღლებული განწყობა ჯერ ეიმუნტას ნეკრეშიუსის "ფაუსტმა" (ლიტვა) შეგვინარჩუნა, შემდეგ კი ფილიპ ჟანტის "ზიგმუნდის ოინებმა" (საფრანგეთი). ჰაიო შულერის და მაიკლ ვოგელის "ინფინიტამ" (გეგრმანია) კი ფესტივალის საერთაშორისო პროგრამა დააგვირგვინა. ამიტ ლაჰავის "შინელი" (დიდი ბრიტანეთი), აიდას გინიოტისის "ღია წრე" (ლიტვა) ასევე ის სპექტაკლებია, რომელმაც ქართველ მაყურებელზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა. ფესტივალი წარმოდგენილი იყო ისეთი სუსტი, დაბალი მხატვრული ხარისხის სპექტაკლებითაც, როგორებიც იყო, მაგალითად, ნიღაბი" (აზერბაიჯანის პანტომიმის სახელმწიფო თეატრი, რეჟისორი ბახტიარ ხანიზადე), და ნამდვილი ციხე" (ერევნის მოზარდ მაყურებელთა თეატრი, რეჟისორი აკოფ კაზანჩიანი), dpallae womanhood story" (კორეა, ქორეოგრაფი ნამ ჯოენგ-ჰო). ფესტივალზე წარმოდგენილი იყო ე.წ. "მესამე კატეგორიის" სპექტაკლებიც, რომელთა მხატვრული ხარისხი აშკარად დაბალი იყო, თუმცა ფორმა და გამომსახველობითი საშუალებების სიჭრელე ჩვენი მაყურებლისთვის მეტ-ნაკლებად უცხო და მიმზიდველი. ასეთი სპექტაკლების რიგში პირველ ყოვლისა მახსენდება სოფი კალეს "So, So" (საფრანგეთი, ბრანკო ბრეზოვეჩი), "ვოიცეკი" (კორეა, რეჟისორი დო-ვან იმი) და "ქარიშხალი" (პოლონეთი, რეჟისორი იანუშ ვიშნიევსკი).

სუსტი სპექტაკლების ნახვის მიუხედავად, ფესტივალის ორგანიზატორების მიერ კარგად გადანაწილებული პროგრამა მომდევნო ორიგინალური და საინტერესო სპექტაკლი სუსტი სპექტაკლების კონპენსირებას ნამდვილად ახდენდა.

პირველმა სპექტაკლმა "რომეო და ჯულიეტა", რომელიც თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის "Tbilisi international"-ის ფარგლებში მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე იყო წარმოდგენილი ქართველ მაყურებელთა უმეტეს ნაწილზე დადებითი შთაბეჭდილება დატოვა. მიუხედავად იმისა, რომ ქართველი კრიტიკოსების თითქმის მთელი შემადგენლობა სპექტაკლს ცალფეხზე მდგარი ადევნებდა თვალს, ერთი წუთითაც არ მოდუნებულა ყურადღება და ინტერესი სცენაზე გათამაშებულის მიმართ, თანაც იმის ფონზე რომ ტექსტი და მით უფრო, სიუჟეტი ყველასათვის კარგად ნაცნობი იყო ეპიზოდების დონეზეც კი. მაყურებლის შეფასებაც ამ შემთხვევაში ადეკვატური იყო და გულწრფელი, რადგან სცენაზე არც მათი ახლობლები თამაშობდნენ პრემიერას და არც კოლეგები. შესაბამისად, მაყურებლის ოვაციებს თუ დავეყრდნობით, 2003 წელს დადგმულმა სპექტაკლმა გაამართლა. თუმცა, მაყურებელთა რიგებში იყვნენ ისეთებიც, მათ შორის, კრიტიკოსები, რომლებმაც სპექტაკლი ოცი წუთის შემდეგ დატოვეს და ისეთებიც, რომლებიც წარმოდგენას ბოლომდე დაესწრნენ, მაგრამ მათთვის მიუღებელი აღმოჩნდა კორშუნოვასისეული რომეო და ჯულიეტას ტრაგედია. რეჟისორ ლილი იოსელიანის გაღიზიანება გამოიწვია (გადაცემა "სცენისთვის" მიცემული ინტერვიუდან) მერკუციოსა და ტიბალტის უკანაკნელი შეხვედრის სცენამ (დუელმა) მერკუციოს მიერ "გამოვლენილი" არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის გამო, არადა ვფიქრობ, მერკუციოს არატრადიციული სექსუალური ორიენტაცია არაფერ შუაშია. რეჟისორი ამ ფორმით მიმართავს ტიბალტის დაცინვის საკმაოდ მიმზიდველ ხერხს, რომელიც სხვა უფრო მასშტაბურ ასოციაციებს აღძრავს მერკუციოს მხატვრული სახის გაგებისთვის, ვიდრე ეს მისი სექსუალური ორიენტაციის გამოვლენაა.

კორშუნოვასმა შექსპირისაგან მხოლოდ ფაბულა დატოვა. პრინციპში ეპიზოდებიც არ ჩანდა შემოკლებული, შესაბამისად დარჩა შთაბეჭდილება, რომ "სეკვესტრი" არც ტექსტს შეხებია, მაგრამ მაინც არატრადიციული შექსპირი ვნახეთ. გმირები ნამდვილად შექსპირისეული იყვნენ, მაგრამ რეჟისორმა ისინი თანამედროვეობაში, რეალურ გარემო-სიტუაციაში ჩაასახლა. ამ გარემოს კი არც კონკრეტული დრო აქვს და არც გეოგრაფიული საზღვრები. ადგილი, სადაც მიდის მოქმედება ძველი საცხობია. შესაბამისად პრობლემაც ძველია, მაგრამ დღესაც აქტუალური, ისე როგორც პურის, ან პიცის (ამას რა მნიშვნელობა აქვს) საცხობი. ორი, პირობითად გაყოფილი სამყარო ერთფეროვანი და იდენტურია, თითქმის ზუსტი ასლი ერთურთის, ოღონდ მოძველებული, ჟანგმოკიდებული, მოშლილი, გასულ საუკუნეში ჩარჩენილი და თითქოს საბჭოურიც კი. სწორედ, ეს საცხობია მოედანიც, სასახლეც, აკლდამაც, ქუჩაც, ტაძარიც და აივანიც. მაყურებელი კი უპრეტენზიოდ მიყვება კორშუნოვასის მიერ შემოთავაზებულ "ტყუილებს" და არავითარი დისკომფორტი არ ექმნება.

სპექტაკლის დაწყებიდან რამდენიმე წუთი სცენაზე თითქოს არაფერი ხდება, გაყინული სახეები, ერთმანეთისგან ძნელად გამოსარჩევი პერსონაჟთა ტიპაჟები. ერთის მხრივ, ეს რეჟისორის ერთგვარ უმნიშვნელო ხერხად გეჩვენება, მაგრამ ფაქტია რომ საექსპოზიო ნაწილის და სპექტაკლის იდეური გადაწყვეტის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. ერთ დროს მთლიანი, უწყინარი, მშვიდი საზოგადოება (მსახიობები საექსპოზიციო ნაწილში სცენაზე სწორ ხაზზე დგანან) უცებ გაიხლიჩება (მონტეკებად და კაპულეტებად) და სამკვდროსასიცოცხლო შეჯიბრში გამოიწვევენ ერთმანეთს.

კორშუნოვასის სპექტაკლი სავსეა ირონიით, იუმორით, ყველა პერსონაჟი მანამდე უნახავი და არატრადიციულია, მთლიანობაში სპექტაკლი აგებულია ეტიუდების პრინციპით. ყველა ეპიზოდი დასრულებული მინი სპექტაკლია, მოკლე შინაარსით, განვითარებით და კულმინაციით. რეჟისორი იყენებს აქამდე აპრობირებულ ყველა ხერხს -კონტაქტს მაყურებლთან (დარბაზთან), დიალოგებს, ეტიუდებს, უსიტყვო მიზანსცენებს, თითქოს მივიწყებულ და მოძველებულ ე. წ. "ვირუბკას", მაგრამ ფაქტია, რომ კორშუნოვასთან ეს ყველაფერი ახლებურად არის წარმოდგენილი.

შესაშურად კარგად მუშაობენ კორშუნოვასის მსახიობები, განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ: ეგლე მიკულიონიტე (ძიძა), დანიუს კაზლაუსკასი (მერკუციო), არვიდას დაფსისი (ლორენცო) და სულ ბოლოს (ან საერთოდ არ) რასა სამუოლიტე (ჯულიეტა), გიედრიუს სავიჩკასი (რომეო). სპექტაკლში ისე როგორც ბოლო პერიოდის იმავე ტრაგედიის დადგმებში ჯულიეტა უფრო აქტიური და მებრძოლი გოგონაა, უფრო ინიციატივიანი, ვიდრე ფლეგმა რომეო. თუმცა კორშუნოვასთან გაჩნდა ერთი მნიშვნელოვანი დეტალი ჯულიეტას მხატვრულ სახის ინტერპრეტაციაში - ეს მისი უბრალოება და მიწიერებაა. სპექტაკლმა სრული ანშლაგით ჩაიარა. სინქრონს, რომელიც სცენაზე მომხდართან მუდმივი აცდენის რეჟიმში მუშაობდა, მაყურებელს ყურადღება არც მიუქცევია.



ანა ჩხეიძის ფოტო

ერთადერთი პანტომიმური ჟანრის სპექტაკლი, რომელიც ფესტივალზე იყო წარმოდგენილი, გახლდათ "ნიღაბი", მეზობელი ქვეყნიდან - აზერბაიჯანიდან. აზერბაიჯანის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ბახტიარ ხანიზადეს სპექტაკლის მეორე ნაწილმა სრულ სიცილ-ხარხარში ჩაიარა, არა იმიტომ, რომ მაყურებელი კომედიას უცქერდა სცენაზე. პირიქით, პარტერს მიღმა სასიყვარული ტრაგედია თამაშდებოდა. მაყურებლის ასეთი ირონია სპექტაკლის მუსიკალურმა გაფორმებამ გამოიწვია. რუსული, (და არა მარტო) მდარე ხარისხის საესტრადო ჰიტები სრულ კონტრასტში იყო მოქმედებასთან. სხვათაშორის, პანტომიმურ სპექტაკლში მონაწილე მსახიობები არ გამოირჩეოდნენ განსაკუთრებული პლასტიკით, არც რეჟისორს ჰქონდა მოფიქრებული რაიმე განსაკუთრებული მიზანსცენა, რომელშიც მსახიობებთან ერთად თავადაც წარმოჩნდებოდა, როგორც საინტერესო ხელოვანი. სამწუხაროდ, ვიხილეთ უკვე მრავალგზის "გადაღეჭილი" და ათასგზის ნანახი პანტომიმური ხერხებით დადგმული ტრაფარეტული სპექტაკლი. ყალბი დრამატიზმი და პათეთიკური დრამატიზმი კომიკურ ელფერს უფრო იძენდა, ვიდრე ტრაგიკულს. სწორედ ეს გახდა მიზეზი იმ უხერხულობისა, რაც პარტერსა და სცენას შორის შეიქმნა. ირონიულად განწყობილი მაყურებელი დიდხანს უკრავდა ტაშს აზერბაიჯანელ მსახიობებს. ეს იყო ერთადერთი შემთხვევა ფესტივალზე, როცა მაყურებელი არაადეკვატურად, არაგულწრფელად გატაცებით უკრავდა ტაშს მსახიობებს. არც ფრანგების სპექტაკლი "So, So" ჩამოუვარდებოდა აზერბაიჯანელთა "ნიღაბს". მართალია, ფრანგები ნიღბებით არ იდგნენ "სცენაზე" (სინამდვილეში სასტუმროს ინტიმურ ოთახებში), მაგრამ გაშიშვლებასაც არ დააკლეს ბევრი. მაგრამ საკამოდ პრეტენზიული ქართველი მაყურებელი ვერც სიჭარმაგეში შესული მსახიობების სიშიშვლემ მოხიბლა და ვერც სასტუმროს ნომერში სპექტაკლის გათამაშებით გამოწვეულმა ინტრიგამ. სპექტაკლი მდორედ და უემოციოდ მიმდინარეობდა, მიუხედავად იმისა, რომ დაინტერესებულ მაყურებელს მოწყენის საშუალება არ ჰქონდა, თუნდაც იმიტომ, რომ მსახიობები მაყურებელთან მილიმეტრების დაშორებით მოძრაობდნენ და კედელზე ყველა მიმართულებით კადრები სხვადასხვა ფილმებიდან (თუ კონკრეტულად ამ სპექტაკლისთვის დამზადებული ვიდეო რგოლები) გადიოდა. ფრანგებმა "მერიოტის" შესანიშნავ ოთხაში რადიო "ფორტუნას" ჟურნალისტის მაია ღუღუნიშვილის დატყვევებაც კი შეძლეს. კლაიტ მაბოტმა (სპექტაკლში მონაწილე მსახიობი) სასტუმროს ოთახში უზარმაზარი გონდოლის ბუტაფორია შემოიტანა, კედელზე მიაფარა და მის ქვეშ მომწყვდეულ ქართველ ჟურნალისტს ხორვატიულ ენაზე 15 წუთის განმავლობაში, სავარაუდოდ, სიყვარულს უხსნიდა. მაყურებელი სპექტაკლის მოქმედებაში ასეთი ჩართვის მიუხედავად გათამაშებული ისტორია ვერ გახდა ქართველი მაყურებლისთვის აქტუალური და შესაბამისად, ფრანგულ-ხორვატიულ სასიყვარულო ისტორიაში ქართველთა თანამონაწილეობაც გამოირიცხა.

სამაგიეროდ, სულ სხვა რიტმში მიდიოდა და მაყურებლის ჩათრევაც პირველივე წუთიდანვე მოახერხა იგივე ფრამგულმა ფილიპ ჟანტის თოჯინურმა სპექტაკლმა "ზიგმუნდის ოინები". მსახიობებმა ერიკ დე სარიამ და ფილიპ რიჩარდმა გამოავლინეს თოჯინების ტარების საუცხოო ტექნიკა, მსახიობური ოსტატობა და სიმამაცე. საინტერესო იყო სპექტაკლის მხატვრობაც და ტექნიკური განათებაც. ამ სპექტაკლმა ნათლად გამოავლინა მხატვრული განათების უმნიშვნელოვანესი ფუნქცია თანამედროვე თეატრში.

სულმოუთქმენლად ელოდა ქართველი მაყურებელი ბრიტანელთა "შინელს", მოლოდინი ერთი მხრივ არ გამართლდა, რადგან მაყურებელმა გოგოლის "შინელის" ნაცვლად რეჟისორ ამიტ ლაჰავის ამ ნაწარმოების უცნაური ინტერპრეტაცია იხილა. მთავარი გმირი აკაკი (არადა ძალიან საყვარლად ეძახდა ნატალი აიტონი ამიტ ლაჰავს "ა-კა-კი"-ის) ილუზიებში მოგზაურობს და მაყურებელიც უნებლიედ ხდება ამ საინტერესო და თავგადასავლებიანი მოგზაურობის ჯგუფის წევრი. სპექტაკლში ძირითადი აქცენტი გამომსახველობითი საშუალებებისა და განათების ახლებური ხერხების ძიებაზეა აგებული, ვიდრე ტრადიციულად სიუჟეტის თხრობაზე, თუმცა გამომსახველობითი საშუალებების სიჭარბე ხელს არ უშლის სიუჟეტს განვითარებისთვის.

მაყურებლის იმედები არ გაამართლდა კორეელთა "ვოიცეკმაც". მოძრაობის თეატრის აღმოსავლურმა ვერსიამ ვერ აღაფრთოვანა ქართველი მაყურებელი, მთავარი მიზანი მოძრაობით და რიტმით გამოხატოს მსახიობმა ადამიანების შინაგანი განცდები და ფსიქოლოგიური მდგომარეობა ვერ გამართლდა. თუმცა სანახაობა მაინც შედგა, თუნდაც იმიტომ, რომ სცენაზე ლამაზი კომპოზიციები და პლასტიურად მოძრავი უამრავი ხის სკამი ვიხილეთ.

ფესტივალი ყოველგვარი ცერემონიალის გარეშე დახურა გერმანელთა "ინფინიტამ". იმდენად დიდი იყო დადებითი ემოცია სპექტაკლის შემდეგ, რომ ფესტივალის ერთგულ მაყურებელს დახურვის საზეიმო ცერემონიალი აღარ მონდომებია. ახალგაზრდა გერმანელმა მსახიობებმა უცნაური და მეტყველი ნიღბებით აჩვენეს ადამიანის პირველი შეხება სამყაროსთან, პირველი ნაბიჯები სიმამაცესთან, შემდეგ სიბერე და გმირული დაცემა. მსახიობები ფლობდნენ შესაშურ ტექნიკას და გამოავლინეს კარგი ფიზიკური მომზადება. უსიტყვო სპექტაკლი გაცილებით მეტყველი იყო, ვიდრე ფესტივალზე წარმოდგენილი ბევრი ვერბალური სპექტაკლი.

"თბილისის პირველი საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი - 2009" დასრულდა. ქართველ მაყურებელს დიდხანს გაჰყვება ფესტივალზე წარმოდგენილი სპექტაკლებით მიღებული შთაბეჭდილება, იმედი გვაქვს, შთაბეჭდილებათა განელებამდე თბილისის მერია და საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო მომდევნო ფესტივალს მომავალ წელს კვლავ გვაჩუქებს თეატრის მოყვარულებს.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ქ.ამბროლაური თამარ მეფის ქ N1 "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ტენდერს მაღალი გამავლობის ჯიპის ტიპის 1 ერთეულის ავტომობილის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტია:

I ლოტი - მაღალი გამავლობის ჯიპის ტიპის 1 ერთეული ავტომობილი. 1.ექსპლუატაციაში მყოფი. 2. გამოშვების წელი არანაკლებ 2002 წელი. 3. საწვავის ტიპი ტურბო დიზელი ძრავის მოცულობით 3000 სმ კუბი. ან ბენზინი ძრავის მოცულობით 3500 სმ კუბი. 4.გადაცემათა კოლოფი სასურველია მექანიკა. 5. გარბენი არაუმეტეს 130 000 კმ. 6. წამყვანი თვლები 4X4. 6. კარები 4/5-ზე. 7. საჭე მარცხნივ. 8.სამუხრუჭე სისტემა ABS. 9. ელექტრო შუშებით, კონდეციონერით,Hჰიდრავლიკით. 10.ხიდების მექანიკური გამაძლიერებელი. 11. ადგილების რაოდენობა 5+2. 12.საბურავები ახალი (ზამთრის). 13. აირბაკებით. 14. უავარიო. 15. განბაჟებული ტექ.დათვალიერების საბუთით.

2. დაფინანსების წყარო: ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების სასურველი ვადაა 2009 წლის ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 დღე. მიწოდების ადგილია ამბროლაურის მუნიციპალიტეტი.

4. დაინტერესებულმა პირებმა განცხადება ტენდერში მონაწილეობის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე დალუქულ ორ ეგზემპლიარად (ერთი დედანი და ერთი ასლი) ერთი დალუქული პაკეტით უნდა წარმოადგინონ 2009 ნლის 17 ნოემბრის 10 -საათიდან 16-საათამდე. შემდეგ მისამართზე ქ.ამბროლაური თამარ მეფის ქ N 1, —-სატენდერო კომისიის აპარატში (I- სართული). სატენდერო წინადადების გახსნა მოხდება 2009 ნლის 17 ნოემბერს 16 საათზე შემდეგ მისამართზე ქ.ამბროლაური თამარ მეფის ქ N 1 III სართული. ტენდერში მონაწილეებს უფლება აქვთ დაესწრონ სატენდერო წინადადების გახსნას.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას.

5.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

ბ) ცნობა შესყიდვებში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ(ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიული ორგანოს მიერ);

5.2 ფიზიკური პირისათვის

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი

გ) ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი

5.3 როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის

ა) ცნობას რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით)

ბ)შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები(მისამართი, ტელეფონი,Fფაქსი, ელექტროფოსტა, საბანკო რეკვიზიტები)

გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

დ) ცნობა საგადასახაო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ არსებობის შესახებ.

6. პრეტენდენტის მიერ განცხადების მე-5 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

7. ზემოთ აღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული / შედგენილი წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების თარიღის შემდგომ პერიოდში.

8. ტენდერში გამოყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების საერთო ღირებულების 1%-ის ოდენობით, ასევე ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 2 %-ის ოდენობით.

9. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2009 ნლის 16 ნოემბრის 17 საათამდე.

200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, ანგარიშზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში 200122900, სახელმწიფო ხაზინა 220101222, სახაზინო კოდი 300303174 გადახდის დანიშნულება სატენდერო მოსაკრებელი.

10. შესყიდვაში დაინტერესებულ პირს უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას.

11. დაგვიანებით წარმოდგენილი საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია და სატენდერო წინადადებები გატარდება რეგისტრაციაში, მაგრამ არ განიხილება და გაუხსნელად დაუბრუნდებათ უკან პრეტედენტებს.

12. სატენდერო წინადადება ხელმოწერილი უნდა იქნას ტენდერში მონაწილის მიერ, ხელმოუწერელი წინადადებები არ განიხილება.

13. პრეტედენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ მხოლოდ ერთი წინადადება, ალტერნატიული წინადადების წარმოდგენა დაუშვებელია.

14. ტენდერი ტარდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების საფუძველზე..

სატენდერო დოკუმენტაციის გატანა და დამატებითი ინფორმაციის მიღება დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიის აპარატში. მისამართზე: ქ.ამბროლაური თამარ მეფის ქ N 1, I-სართული. საკონტაქტო პირი ბეჟან კობახიძე ტელ N-858-456-436

სატენდერო კომისია

შსს გურიის სამხარეო მთავარი სამმართველო ავეჯის ჩამონათვალი

1. სკამები გორგოლაჭიანი - 150 ცალი
2. სკამი მყარი - 40 ცალი
3. უცხოური წარმოების კაბინეტური მაგიდა - 7 ცალი
4. მაგიდა დიდი (კომპლექტი) - 1 ც.
5. ტყავის სავარძლები გორგოლაჭებზე - 18 ცალი
6. 4-ადგილიანი რკინის გადამბმული სკამი - 3 ცალი

სააქციო საზოგადოება "საქწყალმშენი"-ს სალიკვიდაციო კომისიის განცხადება აუქციონის შეჩერებაზე

ტექნიკური მიზეზების გამო შეჩერებულია 2009 ნლის 16 ოქტომბრის გაზეთ "მესაკუთრეში" (№34) გამოქვეყნებული საზოგადოების საწესდებო კაპიტალში რიცხული ძირითადი საშუალებების რეალიზების მიზნით ქ. თბილისში, ლერმონტოვის ქ. №13-ში 2009 ნლის 30 ოქტომბერს დანიშნული აუქციონი.

სს "საქწყალმშენის"
სალიკვიდაციო კომისია

განცხადება ერთეტაპიანი ტენდერის ჩატარების შესახებ

1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ტენდერს მაღალი გამავლობის ავტომობილის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

2. **შესყიდვის ობიექტი.**

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის მაღალი გამავლობის ავტომობილი 1 ცალი.

გამოშვების წელი 2009, ძრავის მოცულობა 4500 კუბ.სმ, 7 ადგილიანი, 4X4 მუდმივად, სიმძლავრე 220 ც/ძ და ზემოთ, მძღოლის და მგზავრის უსაფრთხოების ღვედები, EBD,ABS, BA -მუხრუჭების ელ-მართვა, საწვავის სისტემა EURO 3, სიგნალიზაცია, დიზელი, განბაჟებული, 3 წლიანი გარანტიით.

(ტენდერში მონაწილე მსურველ პირებს უფლება აქვთ საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების წარმოდგენამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში)

3. **საქონლის მიწოდების პირობები.**

საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მოთხოვნით 30 კალენდარული დღის განმავლობაში, არაუგვიანეს 2009 ნლის 15 დეკემბრისა.

4. **მიწოდების ადგილი**.

მიწოდების ადგილია წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ქ. წალენჯიხა სალიას ქ. N 5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფაკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები (დალუქულ პაკეტში), ქართულ ენაზე, უნდა წარმოადგინონ 2009 ნლის 14 ნოემბრის 14 საათამდე, შემდეგ მისამართზე ქ. წალენჯიხა სალიას ქ. N5, II სართული. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება ზემოაღნიშნულ მისამართზე 2009 ნლის 14 ნოემბერს 15 საათზე. (ტენდერში მონაწილეებს უფლება აქვთ დასწრონ სატენდერო წინადადებების გახსნას)

6. **საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდნენ შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

6.1 **იურიდიული პირებისათვის:**

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვასი მონაწილეობის მსურველი ორგანიზაციის მიმართ "საჯარო სამართლებლივი შეზღუდვის არ არსებობის შესახებ".

6.2 **ფიზიკური პირებისათვის:**

ა)ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

6.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან საქართველოს ბიუჯეტისადმი დავალიანების არრსებობის შესახებ;

გ) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები).

7. საკვალიფიკაციო დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იყოს ორ ეგზემპლარად(ერთი ეგზემპლარი დედანის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით და ერთი ეგზემპლარი ქსეროასლის სახით).

8. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-6 პუნქტში გათვალისწინებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

9. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრედენდენტებს შეეძლებათ განცხადების გამოქვეყნებიდან 2009 ნლის 14 ნოემბრის 14 საათამდე, 200(ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, ანგარიშზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში 200122900, სახელმწიფო ხაზინა 220101222, სახაზინო კოდი 302003174. გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, მაღალი გამავლობის ავტომობილის შესყიდვა. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა მოხდება შემდეგ მისამართზე ქ. წალენჯიხა სალიას ქ. N5. წალენჯიხის მუნიციპალიტეტს გამგეობა, II-სართული.

10. ტენდერის შედეგად შესაძლებელია ერთი გამარჯვებულის გამოვლენა.

11. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატის წევრის ეკა ბელქანიასგან, მისამართზე: წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ქ. წალენჯიხა სალიას ქ. N 5. II-სართული. ტელ: 877 959 262.

სატენდერო კომისია.

სპორტი

"ყოჩებმა" 7-კაცა მოიგეს

თბილისის "ყოჩებმა", 7-კაცაში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი მოიგო და მიმდინარე სეზონში უტიტულოდ მაინც არ დარჩა. "ყოჩებმა" მთელი ტურნირი დამაჯერებლად ჩაატარეს და ფინალიც შთამბეჭდავად მოიგეს - 31:5. ფინალში კი მათი მეტოქე მოულოდნელად თსუ აღმოჩნდა. სტუდენტებმაც მაღალი კლასის რაგბი აჩვენეს და ღირსეულად მოიპოვეს ფინალის საგზური. თუმცა ჯგუფურ ეტაპზეც და ფინალშიც "ყოჩებთან" ვერაფერი გააწყვეს. ამითაც არის 7-კაცა რაგბი საინტერესო, რომ ბევრ სიურპრიზს გვჩუქნის.

მიუხედავად ფინალში განცდილი მარცხისა, მთლიანობაში, სტუდენტებმა კარგი რაგბი აჩვენეს და ნახევარფინალში ერთ-ერთ ფავორიტად მიჩნეული "ლოკომოტივი" - 12:7 დასცეს, მანამდე კი "აკადემიასაც" გაუსწორდნენ - 12:5.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ჩემპიონატში აზერბაიჯანის ნაკრებმაც იასპარეზა, რომელსაც ერთ დროს საქართველოს ნაკრების მწვრთნელი მალხაზ ჭეიშვილი ავარჯიშებს.. ეს გუნდი ევროპის სერიის თბილისურ ეტაპზე ხშირად გამოდიოდა. საქართველოს მორაგბეთა 7-კაცა ჩემპიონატის ორივე დღეს დაესწრო "ბორჯღალოსანთა" ავსტრალიელი მთავარი მწვრთნელი ტიმ ლეინი, რომელმაც მომავალი ტესტებისთვის შერჩეული მორაგბეები კიდევ ერთხელ შეათვალიერა.

ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ "ყოჩების" წევრი, ირაკლი გეგენავა აღიარეს. საუკეთესო ბომბარდირი, ბათუმელი იოსებ ცისკარიშვილი გახდა.

A ჯგუფი
ლოკომოტივი, რუსთავი, დევები

ლოკომოტივი - დევები 35:0
რუსთავი - დევები 31:14
ლოკომოტივი - რუსთავი 33:5

B ჯგუფი
ლელო, ბათუმი, ხულიგანა, ჯარი

ლელო - ხულიგანა 33:10
ბათუმი - ჯარი 33:14
ლელო - ჯარი 36:12
ბათუმი - ხულიგანა 19:7
ხულიგანა - ჯარი 7:7
ლელო - ბათუმი 26:0

C ჯგუფი
ყოჩები, თსუ, არმაზი, ივერია

ყოჩები - არმაზი 31:7
თსუ - ივერია 37:7
ყოჩები - ივერია 45:0
თსუ - არმაზი 26:14
არმაზი - ივერია 17:26
ყოჩები - თსუ 40:7

D ჯგუფი
აკადემია, აია, ფოთი, აზერბაიჯანი

აკადემია - ფოთი 27:0
აია - აზერბაიჯანი 48:0
აკადემია - აზერბაიჯანი 17:7
აია - ფოთი 40:5
ფოთი - აზერბაიჯანი 10:19
აკადემია - აია 15:7

თასის მეოთხედფინალი

ყოჩები - აია 19:7
აკადემია - თსუ 5:12
ლოკომოტივი - ბათუმი 22:0
ლელო - რუსთავი 19:14

ფიალის მეოთხედფინალები

ხულიგანა (მეტოქის გარეშე)
ივერია - ფოთი 19:7
აზერბაიჯანი - არმაზი 7:26
დევები - ჯარი 12:10

ფარის ნახევარფინალი

ჯარი - აზერბაიჯანი 21:12
ფოთი (მეტოქის გარეშე)

ფიალის ნახევარფინალი

დევები - არმაზი 5:19
ივერია - ხულიგანა 26:26

სინის ნახევარფინალი

ბათუმი - აკადემია 20:14
აია - რუსთავი 12:21

თასის ნახევარფინალი

ლოკომოტივი - თსუ 7:12
ყოჩები - ლელო 10:5

ფარის ფინალი

ფოთი - ჯარი 10:7

ფიალის ფინალი

არმაზი - ხულიგანა 17:14

სინის ფინალი

ბათუმი - რუსთავი 12:5

თასის ფინალი

თსუ - ყოჩები 5:31

შერმადინის წარმატებული სტარტი

შერმადინის ორი ქულა

შაბათს სტარტი აიღო საბერძნეთის ჩემპიონატმა კალათბურთში. ბერძნულ ჩემპიონატში საკუთარი ძალები პირველად გამოცადა გიორგი ცინცაძემ, რომელმაც "ტრიკალას" შემადგენლობაში ითამაშა. კვირას კი გიორგი შერმადინიც ჩაერთო ასპარეზობაში.

სეზონისწინა სამზადისისას აშკარად ჩანდა, რომ "პაოს" მთავარი მწვრთნელი ჟელკო ობრადოვიჩი გიორგიზე დიდ იმედს ამყარებს. თუ გასულ სეზონში ქართველი მოედანზე თითქმის არ გადიოდა, ამ სეზონში ვითარება უკეთესობისკენ უნდა შეიცვალოს, რაც ბერძნული გრანდის პირველმა მატჩმაც დაადასტურა.

საქართველოს ნაკრების ცენტრმა საბერძნეთის ჩემპიონატი კარგად დაიწყო. პირველ ტურში "პანათინაიკოსი" "ლარისას" ესტუმრა და ანგარიშით 83:48 დაამარცხა მეტოქე, რაშიც გიორგი შერმადინის წვლილიც იყო.

ობრადოვიჩმა შერმადინი თითქმის 18 წუთს ათამაშა. დროის ამ მონაკვეთში ქართველმა 9 ქულა და 7 მოხსნა მიითვალა.

გიორგიმ 7-დან 4 ორქულიანი და 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო და ორჯერ დაჯარიმდა.

ათენელთა შემადგენლობაში საუკეთესო იყო შერმადინის ჩერნოგორიელი კონკურენტი ნიკოლა პეკოვიჩი, რომელსაც 14 ქულისა და 6 მოხსნის მოსაგროვებლად 14 წუთი ეყო.

მომდევნო მატჩს "პანათინაიკოსი" 31 ოქტომბერს ათენში, "პანელინოსის" წინააღმდეგ ჩაატარებს.

კვირასვე დასრულდა იტალიის ჩემპიონატის მორიგი ტური, რომელშიც ვიქტორ სანიკიძის "ვირტუსმა" ნაპოლის "მარტოსი" 76:62 დაამარცხა.

ქართველმა ლეგიონერმა მასპინძლებს, შერმადინის დარად, 9 ქულა შესძინა.

სანიკიძეს ბოლონიელთა სასტარტო ხუთეულში არ უთამაშია. მოედანზე გატარებულ 16 წუთში 5-დან 4 ორქულიანი და 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო და 9 ქულას და 4 მოხსნას 1 პასი წაამატა.

ვიქტორმა 2 პერსონალური ფოლი მიიღო, მეტოქეები კი მასზე 4-ჯერ დაჯარიმდნენ.

"ვირტუსის" შემადგენლობაში გამორჩეული იყო ამერიკელი დევიდ მოსი, რომელმაც 35 წუთში 17 ქულა, 5 მოხსნა და 5 პასი მოაგროვა.

ბოლონიელებს 3 ტურში 2 მოგება და 1 მარცხი აქვთ და 4 ქულით მე-7 ადგილზე არიან.

სანიკიძის კლუბი მომდევნო მატჩს 1 ნოემბერს ტერამოში, "ტერკასთან" ჩაატარებს.

რუსული ბარიერის მოლოდინში

პორტუგალიაში მიმდინარეობს სარაგბო ევროპის ჩემპიონატი 19 წლამდე ასაკის მორაგბეთა შორის. ქართველმა ჭაბუკებმა მეოთხედფინალური ბარიერი დაძლიეს და ნახევარფინალში გავიდნენ.

მეოთხედფინალში ჩვენი გუნდის მეტოქე გერმანიის ნაკრები იყო. ახალგაზრდა "ბორჯღალოსნებმა" მეტოქე იოლად - 34:3 დაამარცხეს. ნახევარფინალში ჩვენი მეტოქე იქნება ტრადიციული კონკურენტი რუსეთის ნაკრები, რომელმაც მეოთხედფინალში პოლონეთის ნაკრებს 28:8 სძლია.

მეორე ნახევარფინალში ტურნირის მთავარი ფავორიტი იტალია ესპანეთის ნაკრებს დაუპირისპირდება.

ნახევარფინალები 28 ოქტომბერს გაიმართება, ფინალი კი - 31-ში. ევროპის ჩემპიონი, ტიტულთან ერთად, კიდევ ერთ საჩუქარს მიიღებს და 2010 წელს 20 წლამდე მორაგბეთა მსოფლიო ალაფაზე ითამაშებს. ქართველი მორაგბეების მიზანი სწორედ ეს არის, თუმცა მანამდე რუსეთის ბარიერია გადასალახავი

17 წლამდელები ევროპის ჩემპიონატის ელიტ რაუნდში გავიდნენ

შოტლანდიაში დასრულდა ევროპის 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი 17 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა შორის, რომელშიც გიორგი დევდარიანის ნაკრებიც მონაწილეობდა. ქართველებმა ამ ტურნირზე სუსტი სტარტი აიღეს და პირველ მატჩში პორტუგალიასთან დამარცხდნენ. ამის შემდეგ დევდარიანის ბიჭებმა ჯერ მასპინძელ შოტლანდიის ნაკრებს მოუგეს, კვირას კი კვიპროსის ნაკრები დაამარცხეს - 4:2 და ელიტრაუნდის საგზური მოიპოვეს.

ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად დევდარიანის შეგირდებს ელიტრაუნდის ბარიერი აქვთ გადასალახავი.

მათეუსმა არგენტინას მიაშურა

უახლოეს მომავალში არგენტინული კლუბის "რასინგის" მთავარ მწვრთნელად გერმანელი ლოთარ მათეუსი დაინიშნება.

ამ სამხრეთამერიკულ კლუბს მუდამ არგენტინელი მწვრთნელები თავკაცობდნენ. უკანასკნელი მათგანი იყო ხუან ბარბასი, რომლის მუშაობით აველანდელები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ. უკმაყოფილების საფუძველი მართლაც არსებობდა - არგენტინის მიმდინარე აპერტურაში ჩავლილი ათი ტურის შემდეგ "რასინგი" ერთადერთ გუნდად რჩება, რომელსაც ჯერ გამარჯვება არ მოუპოვებია.

ბილიჩი და ბექჰემი ედუარდოს იცავენ

ყველასთვის ცნობილია, რომ უეფამ "სელტიკთან" არასპორტული ხერხით მოპოვებული პენალტისთვის ედუარდო და სილვა ორმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. ედუარდოს უმალ გამოუჩნდნენ კრიტიკოსები, რომელთაც მისი საქციელი დაგმეს. კრიტიკოსთა შორის იყვნენ უეინ რუნი და ჯონ ტერი. თუმცა, იყვნენ ისეთებიც, რომელთაც ედუ დაიცვეს. ედუს დამცველის მისია პირველმა დევიდ ბექჰემმა იკისრა. მან განაცხადა, რომ სიმულაცია ფეხბურთში ჩვეულებრივი მოვლენაა. ედუარდო პირველი არ არის, ვინც მსაჯს პენალტი დასტყუა - ასეთ ფაქტს ფეხბურთში ყოველ კვირას შეიძლება წავაწყდეთ.

ედუს მეორე დამცველმა სლავენ ბილიჩმა სულაც ჯონ ტერი გააკრიტიკა:

"ჯონი დიდი ფეხბურთელია და მას დიდ პატივს ვცემ, მაგრამ არ მესმის, რატომ უკვირს ედუარდოსი, როდესაც მას გუნდში ჰყავს დიდიე დროგბა, რომელიც ედუარდოზე არანაკლებ ხშირად სპეკულირებს მსაჯებთან. არ გეგონოთ, რომ დიდიე თვალში არ მომდის და მასზე ასე იმიტომ ვამბობ. პირიქით, დიდიე ძალიან ძლიერი ფორვარდია, მაგრამ ტერისგან მიკვირს, რომ, თავისი თანაგუნდელის შემხედვარე, სხვას აკრიტიკებს," - განაცხადა სლავენ ბილიჩმა, რომელიც სწორედ ედუს ხორვატიის ნაკრებს წვრთნის.

"ბარსელონა" მარკესთან კონტრაქტს აგრძელებს

მას შემდეგ, რაც კატალონიურმა გრანდმა "ბარსელონამ" ახალი კონტრაქტი გააფორმა გუნდის კაპიტან კარლეს პუიოლთან, მექსიკელი რაფა მარკესის ჯერიც დადგა.

"ამ ეტაპზე გუნდისთვის მთავარია რაფა მარკესთან კონტრაქტის გაგრძელება", - აცხადებს ჩიკი ბეგირისტაინი ესპანელ ჟურნალისტებთან საუბარში.

ლებრონი, "ლეიკერსი" და ვინმე ტეხასიდან

ზურაბ თალაკვაძე



რონ არტესტის ტრანსფერმა "ლეიკერსი" კიდევ უფრო გააძლიერა

სტარტს იღებს NBA-ს მორიგი რეგულარული. ბევრი ვარსკვლავი, მილიარდობით დოლარი, სავსე დარბაზები, დრამა, ოფლი, დამქანცველი ვოიაჟები ერთი შტატიდან მეორეში, "ატლანტა ჰოუქსი" და ზაზა ფაჩულია - კალათბურთის ქართველ ფანებს მაგარი შეხვედრების ხილვის, "ფენტეზის ბასკეტბოლის" თამაშის და კიდევ ბევრი სხვა გასართობი საშუალება ექნება. ვიხალისებთ, გავერთობით, იქნება იმედგაცრუებაც, სიხარულიც და... ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, პირდაპირ საქმეზე, ანუ სეზონის წინათქმაზე გადავიდეთ. სეზონის წინ ექსპერტებმა, ტრადიციულად, თავიანთი ფავორიტები დაასახელეს. რჩეულებს, ამერიკელებთან ერთად, გაზეთი "24 საათიც" ირჩევს. წავედით.

რეგულარულის უძვირფასესი მოთამაშე (MVP)

1. ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი)
2. კობი ბრაიანტი (ლეიკერსი)
3. კრის პოლი (ნიუ ორლეანი)
4. დირკ ნოვიცკი (დალასი)
5. პოლ პირსი (ბოსტონი)

ლებრონ ჯეიმსი თუ კობი ბრაიანტი? სხვა გამორიცხულია, რადგან ტიმ დანკანი საუკეთესოსთვის არ და ვერ იბრძოლებს, დირკ ნოვიცკის ერთხელ უკვე მისცეს ეს ჯილდო და გაახარეს, კრის პოლისთვის კი ჯერ ადრეა. ორი ბუმბერაზიდან მაინც ჯეიმსისკენ ვიხრებით, რადგან კობის წელს უფრო გავარსკვლავებული შემადგენლობა ეყოლება, ლებრონს კი, შაკის დამატებას თუ არ ჩავთვლით, სხვა არც არავინ ჰყავს ისეთი, ვინც ჯეიმსს სულის მოთქმის შანსს მისცემს. ფენომენალურია "კავალერიის" ზეგრანდის კარიერული სტატისტიკა: 472 მატჩი, საშუალოდ 40 წუთი, 27.5 ქულა, 7.1 მოხსნა, 6.5 შედეგიანი გადაცემა, 1.8 ჩაჭრა, 0.9 დაფარება, თამაშიდან ზუსტი სროლების თითქმის 50 პროცენტი. ჯეიმსი თამაშობს სამ ნომერზე, მაგრამ თავისუფლად შეუძლია დაცვაში ორიდან ოთხ ნომრამდე, ნებისმიერის წინააღმდეგ წარმატებული თამაში. ჯეიმსმა გამოასწორა თამაში დაცვაში, დიდი პროგრესი განიცადა საშუალო და შორი მანძილიდან სროლისას და, პრაქტიკულად, არა აქვს სუსტი წერტილი. თანაც, ის თითქმის სულ მოედანზე უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მის გუნდს წარმატების მცირე შანსი ექნება. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ეს ლებრონის რეგულარული იქნება. ჯეიმსის ფენომენი შეუდარებელია.

"24 საათის" პროგნოზი: ლებრონ ჯეიმსი

საუკეთესო დაცვაში

1. ტიმ დანკანი (სან ანტონიო)
2. კევინ გარნეტი (ბოსტონი)
3. კობი ბრაიანტი (ლეიკერსი)

დანკანი საუკეთესო დამცველებში ყოველთვის შედიოდა, მაგრამ იმდენად დომინანტური იყო შეტევაში, რომ ტიმის სტატისტიკას დაფარებებში, მოხსნებში და, რაც მთავარია, მის სუპერაკურატულ თამაშს დაცვაში, ბევრი ყურადღებას არ აქცევდა. წელს "სან ანტონიოს" ძალიან ძლიერი შემტევი რიჩარდ ჯეფერსონი დაემატა, თავის წილ ქულებს დეჟუან ბლერიც და ანტონიო მაკდაიესიც დააგროვებენ, ჯანზე იქნება მანუ ჯინობილი, ტონი პარკერს კი კარიერაში საუკეთესო რეგულარული უნდა ჰქონდეს. ყველაფერ ამის გათვალისწინებით, ტიმის აქცენტი დაცვითი რედუტების გამაგრებაზე იქნება გადატანილი და დანკანი ყველაფერს იდეალურად გააკეთებს. შარშან პირველად მოხდა, რომ ტიმიმ საშუალოდ ორ დაფარებაზე ნაკლებით დაასრულა სეზონი. წელს ესეც გამოსწორდება.

"24 საათის" პროგნოზი: ტიმ დანკანი (სან ანტონიო)

საუკეთესო მწვრთნელი

1. ვინი დელ ნეგრო (ჩიკაგო)
2. გრეგ პოპოვიჩი (სან ანტონიო)
3. მაიკ ვუდსონი (ატლანტა)

გრეგ პოპოვიჩი ყოველთვისაა ამ ჯილდოს მოგების ფავორიტთა შორის, ისევე როგორც "ჯაზის" გურუ ჯერი სლოუნი, მაგრამ წელს ბებრებს ჩაჩოჩება მოუწევთ და პრიზისთვის ვინი დელ ნეგრო და მაიკ ვუდსონი იომებენ. დელ ნეგრო, რომელსაც მოთამაშეობისას სწორედ პოპოვიჩის გუნდში, დევიდ რობინსონის გვერდით თამაშისას აქვს სახელი მოხვეჭილი, საკმაოდ საინტერესო გუნდს ამზადებს. "ბულზის" ერთ-ერთი საკვანძო ფიგურის, "საკრამენტოდან" აყვანილი ჯონ სალმონსის თქმით, ვინი იმდენად საინტერესოდ ატარებს ვარჯიშებს, რომ მოთამაშეებს სწყინთ კიდეც, როდესაც ვარჯიშის დასრულების დრო მოდის. სალმონსის თქმითვე, დელ ნეგროს გუნდი წელს აღმოსავლეთში, სულ მცირე, მეოთხე ადგილისთვის იბრძოლებს, რაშიც, ჯონის გარდა, ვინის დაეხმარებიან ლუოლ დენგი, ბრედ მილერი, ტაირუს ტომასი, კირკ ჰაინრიხი, იოაკიმ ნოა და, რაც მთავარია, ვუნდერკინდი, შარშანდელი სეზონის საუკეთესო ახალბედა დერიკ როუზი. მაგარი ბიჭები ჰყავს "ჰოუქსსაც", თუმცა, მცირე უპირატესობა მაინც ილინოისელთა გუნდისა და მწვრთნელის მხარესაა.

"24 საათის" პროგნოზი: ვინი დელ ნეგრო (ჩიკაგო)

საუკეთესო სათადარიგო

1. ემანუელ ჯინობილი (სან ანტონიო)
2. ჯამალ კროუფორდი (ატლანტა)
3. რუდი ფერნანდესი (პორტლენდი)

ტეხასელთა არგენტინელი ჯადოქარი რეგულარულის პირველ ორ კვირას (საუკეთესო შემთხვევაში) გამოტოვებს, მერე კი იქნებ საუკეთესო კონდიციების დასაბრუნებლად ერთი თვე დასჭირდეს. ასე რომ, მანუ ოდნავ გვიან ჩაერთვება ამ პრიზისთვის ბრძოლაში. ასე რომ, გვრჩება ორი მთავარი ფავორიტი - ფერნანდესი და კროუფორდი, რომელთა შორის უპირატესობას ზაზა ფაჩულიას ახალ თანაგუნდელს ვანიჭებთ. "ატლანტას" სწრაფი კალათბურთის თამაში შეუძლია და უყვარს, ჯამალი კი იდეალურად უნდა შეეწყოს მაიკ ბიბისა და ჯო ჯონსონს. ამ სამი უკანახაზელის მოედანზე ერთად ყოფნისას ჯონსონი სამ ნომერზე გადავა, ჯამალი კი მსროლელი გახდება. საშუალოდ ათ ქულაზე, სამ მოხსნასა და ორ მოხსნაზე მეტი მაჩვენებლით კროუფორდი საუკეთესო სათადარიგოს პრიზის მოგების მთავარი ფავორიტი იქნება. ფერნანდესი მაგარი ბიჭია. მანუ ამ სამში (და ბევრ სხვაშიც) გამოირჩევა, მაგრამ ჯილდო ჯამალს უნდა დარჩეს.

"24 საათის" პროგნოზი: ჯამალ კროუფორდი (ატლანტა)

I სიმბოლური ხუთეული

კობი ბრაიანტი, კრის პოლი, ლებრონ ჯეიმსი, დირკ ნოვიცკი, დუაიტ ჰოვარდი

II სიმბოლური ხუთეული

ტონი პარკერი, დერონ უილიამსი, კევინ გარნეტი, ტიმ დანკანი, პო გასოლი

კობის, ლებრონის, ნოვიცკისა და ჰოვარდის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, გამთამაშებლად კი არა უძლიერეს კრის პოლს, არა შემდგარ ვარსკვლავს დერონ უილიამსს, არამედ ევა ლონგორიას მეორე ნახევარს, ვერცხლისწყალივით სწრაფ და მაგარ ფორმაში მყოფ ტონი პარკერს დავაყენებთ. წელს პარკერის სეზონი იქნება და რატომღაც მგონია, რომ აღარ არის ტიმ დანკანი "სპურსში" Go To Guy, ანუ ის, ვისზეც აეწყობა მთელი თამაში. ეს კაცი წელს პარკერი იქნება და დაახლოებით 20 ან მეტი ქულა, 6 ან მეტი ზუსტი პასი, ერთი ჩაჭრა და ამდენივე ზუსტი სამქულიანი - ამ სტატისტიკით ტონი პირველ ხუთეულში იმიტომაც მოხვდება, რომ მისი "სპურსი" პოლის "კრაზანებსა" და უილიამსის "ჯაზმენებს" ბევრით გაასწრებს რეგულარულში.

"24 საათის" პროგნოზი (სეზონის ხუთეული): კობი ბრაიანტი, ტონი პარკერი, ლებრონ ჯეიმსი, დირკ ნოვიცკი, დუაიტ ჰოვარდი

აღმოსავლეთის ფინალი

1. ორლანდო-კლივლენდი
2. კლივლენდი-ორლანდო
3. ბოსტონი-კლივლენდი

აი, მაგარი ამბები აქ უნდა დატრიალდეს. ამბიცია და საჩემპიონო მიხრა-მოხრა ყველას უხვად აქვს, რეალურად კი რა ხდება? რა და, გვყავს დუაიტ ჰოვარდისა და ვინს კარტერის იმედად (ჰედო თურქოღლუ "ტორონტოში" გადავიდა) დარჩენილი "მეჯიქი". ლებრონის, ბებერი შაკის, განახევრებული ჟიდრუნას ილგაუსკასისა და, ღმერთმა იცის, კიდევ ვისი "კლივლენდი". გვრჩება "ბოსტონი", რომელიც, ამ ორთან შედარებით, ბევრად უკეთაა დაბალანსებული და საფინალო გამოცდილებაც მეტი აქვს. ნუ დაგვაიწყდება, რომ დოკ რივერსის ბიჭები ორი წლის ჩემპიონები იყვნენ. "სელტიქსი" ბევრად ღრმა, შეკრული, მებრძოლი გუნდია, სადაც ბოლო წუთებზე ათიდან შვიდ ჯარიმას (ჰოვარდივით) არავინ გააფუჭებს, ბოლო ათ გუნდურ შეტევას ინდივიდუალურად (ლებრონივით) არავინ დაასრულებს და მთავარი მწვრთნელი, ჯარიმების გაფუჭების შიშით, არავის მიაჯაჭვავს (შაკივით) სათადარიგოთა სკამს. ასე რომ, "სელტიქსის" საფინალო შანსები ყველაზე მაღალია და გარნეტის რაზმიც ბოლო სამი წლის განმავლობაში მეორედ ეცდება ჩემპიონობის მოპოვებას.

"24 საათის" პროგნოზი: ბოსტონი-კლივლენდი

დასავლეთის ფინალი

1. ლეიკერსი-სან ანტონიო
2. ლეიკერსი-დალასი
3. ლეიკერსი-პორტლენდი

კალიფორნიელებს არა მარტო დასავლეთში, არამედ მთელ ლიგაში უძლიერესი, გამოცდილი (და არა ასაკოვანი) შემადგენლობა ჰყავთ. სხვა თანაკონფერენციელებთან შედარებით, ფილ ჯექსონის გუნდს სათადარიგოებიც მაგრები ჰყავს. მთავარი კონკურენტი, ანუ გრეგ პოპოვიჩის "სპურსი", წელს საგრძნობლად შეიცვალა. წავიდნენ ბებრები, ბრიუს ბოუენი (კარიერა დაასრულა), ფაბრიციო ობერტო და კურტ ტომასი, მათ ნაცვლად კი მოვიდნენ ბლერი, ჯეფერსონი, მაკდაიესი და ტეო რეტლიფი. და მაინც, "ლეიკერსს" ტეხასელებთან შედარებით გაცილებით დაბალანსებული, შეკრული შემადგენლობა ჰყავთ. საკმაოდ კარგი გუნდი შეკრიბა მარკ კიუბანმა დალასშიც, თუმცა ამ გუნდმა არ იცის ან არ უყვარს დაცვაში თამაში. ნოვიცკი, შონ მერიონი, ჯოშ ჰოვარდი და ჯეისონ კიდი (ჯეისონ ტერისთან ერთად) ბევრს ჩააგდებენ, მაგრამ ბევრსაც ჩააგდებინებენ ოპონენტებს, კონფერენციის ფინალში კი კობი დანკანის გუნდს, დიდი-დიდი, ორ თამაშს მოაგებინებს.

"24 საათის" პროგნოზი: ლეიკერსი-სან ანტონიო

სუპერფინალი

1. ლეიკერსი-კლივლენდი (ლეიკერსი)
2. ლეიკერსი-ორლანდო (ლეიკერსი)
3. ლეიკერსი-ბოსტონი (ლეიკერსი)

შევთანხმდით, რომ დასავლეთიდან სუპერფინალში "ლეიკერსი" გადის. საპირისპირო კონფერენციიდან კი მაინც "ბოსტონი" გვგონია დომინანტი და ფინალიც კარგი სანახავი უნდა გამოდგეს. აქეთ კობი, პო გასოლი, ლამარ ოდომი, დერეკ ფიშერი და გუნდისთვის ერთი შეხედვით სახიფათო, მაგრამ მორჯულებადი და ძალიან ძლიერი რონ არტესტი. "სელტიქსი"? კევინ გარნეტი (თუ ჯანზე იქნება), პოლ პირსი (თუ ჯანზე იქნება), რეი ალენი (თუ... ჯანზე იქნება) და რაშიდ უოლასი (თუ ჭკვიანად იქნება) მაგარ ძალას ქმნიან, მაგრამ "ბოსტონთან" დაკავშირებით ბევრი კითხვის ნიშანია. თავისთავად, როდესაც ეს გუნდი ფინალში "ლეიკერსს" ხვდება და არა სხვა შემთხვევაში. ძნელი იქნება ტრევორ არიზას გარეშე, მაგრამ "ლეიკერსმა" "ჰიუსტონში" წასული ფრთა არტესტით ჩაანაცვლა და, წესით, არაფერი არ უნდა წააგოს. ბევრი რამ იქნება დამოკიდებული დანარჩენებზეც: კენდრიკ პერკინსი ("სელტიქსი") თუ ენდრიუ ბაინუმი? გამოცდილი ფიშერი თუ ჯანზე მყოფი რეიჯონ რონდო? სამწვრთნელო ამბავშიც უდიდესი ფორა "ლეიკერსის" მხარესაა. აბა, სად ფილი და სად ნოვატორი, მაგრამ ჯექსონთან შედარებით გამოუცდელი დოკ რივერსი? ორი წლის წინ ფინალში "სელტიქსმა" იმარჯვა, წელს კი "ლეიკერსს" არ უნდა გაუჭირდეს ტიტულის დაცვა.

"24 საათის" პროგნოზი: ლეიკერსი-ბოსტონი (ლეიკერსი).

ქალაქ თბილისის მერი

15.10..2009წ.
280.120.000..38.101.013.657
ბრძანება N45

12 ოქტომბერი 2009წ.

ქალაქ თბილისში სოციალური საცხოვრისის საკითხთა შემსწავლელი კომისიის დებულების დამტკიცების
შესახებ

"საქართველოს დედაქალაქის-თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის "ნ" ქვეპუნქტისა და "ქ. თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2006 წლის 12 ოქტომბრის N1-1 გადაწყვეტილებით დამტკიცებული დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის "უ" ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს ქალაქ თბილისში სოციალური საცხოვრისის საკითხთა შემსწავლელი კომისიის დებულება, დანართის თანახმად.
2. ბრძანება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მერი გიორგი უგულავა

დანართი: ქ. თბილისის მერის 2009წ. 12 ოქტომბრის N 45 ბრძანებისა

ქალაქ თბილისში სოციალური საცხოვრისის საკითხთა შემსწავლელი კომისიის
დ ე ბ უ ლ ე ბ ა

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1.
ქალაქ თბილისში სოციალური საცხოვრისის საკითხთა შემსწავლელი კომისია წარმოადგენს ქ. თბილისის მერიის, სხვადასხვა უწყებებისა და დაწესებულების, აგრეთვე საზოგადოებრივი სექტორის წარმომადგენილებისაგან ქ. თბილისის მერიაში შექმნილ სათათბირო ორგანოს (შემდგომში "კომისია"), რომელიც თავის მუშაობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობის, ამ დებულების და სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

თავი II. კომისიის შემადგენლობა, სტრუქტურა და კომპეტენცია

მუხლი 2.
1. კომისიის თავმჯდომარეა ქალაქ თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსი.
2 კომისიის თავმჯდომარეს ჰყავს მოადგილე, რომელსაც კომისიის წევრთაგან ნიშნავს ქალაქ თბილისის მერი.
3. კომისიის შემადგენლობაში, თავმჯდომარის გარდა შედიან:
ა) ქალაქ თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის 5 წარმომადგენელი;
ბ) ქალაქ თბილისის მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურის ერთი წარმომადგენელი;
გ) ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის იურიდიული სამსახურის 2 წარმომადგენელი;
დ) ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაციის საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სამსახურის ერთი წარმომადგენელი;
ე) საკანონმდებლო ორგანოს, სამთავრობო დაწესებულებების, ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების, რელიგიური გაერთიანებების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა ადმინისტრაციული ორგანოების, საზოგადოებრივი და არასამთავრობო სექტორის 13 წარმომადგენელი.
4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის "ა", "ბ", "გ" და "დ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ წარმომადგენლებს ნიშნავს და ათავისუფლებს ქ. თბილისის მერი.
5. ამ მუხლის მე-3 პუნქტის "ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ წარმომადგენლებს მათივე ხელმძღვანელის წარდგინებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ნიშნავს და ათავისუფლებს ქ. თბილისის მერი.
6. კომისიის სხდომებს ორგანიზებას უწევს კომისიის მდივანი, რომელიც შესაძლოა არ იყოს კომისიის წევრი.
7. კომისიის მდივანს დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით ნიშნავს და ათავისუფლებს კომისია.
8. კომისიას უფლება აქვს მოიწვიოს სპეციალისტები სამუშაო პროცესში მონაწილეობის მისაღებად.
9. კომისიის წევრს უფლებამოსილება უწყდება პირადი განცხადებით ან ამ დებულების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მუხლი 3
1.კომისიის კომპეტენციას განეკუთვნება:
ა) ქ. თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის (შემდგომში - სამსახური) მიერ წინასწარ დამუშავებული მონაცემების საფუძველზე, ქ. თბილისის ტერიტორიაზე არსებული სოციალური საცხოვრისის ბენეფიციართათვის გადაცემის საკითხების შესწავლა და წინადადებების მომზადება;
ბ) სამსახურის მიერ წინასწარ დამუშავებული მონაცემების საფუძველზე საკითხების შესწავლა და წინადადებების მომზადება იმ პირთა სოციალური საცხოვრისის ბინით დროებით სარგებლობის ხელშეკრულების მოშლის შესახებ, რომლებიც აღარ აკმაყოფილებენ ბენეფიციართათვის დადგენილ კრიტერიუმებს;
გ) სამსახურის მიერ წინასწარ დამუშავებული მონაცემების საფუძველზე საკითხების შესწავლა და წინადადებების მომზადება იმ პირთა შესახებ, რომლებმაც შესაძლოა სოციალური საცხოვრისში შეასრულონ მასპინძელი ოჯახის ფუნქცია;
დ) ქ. თბილისის მერის დავალებებისა და მითითებების დაუყონებლივი განხილვა და რეაგირება კომისიის კომპეტენციის ფარგლებში;
ე) საჯარო მოსმენების ორგანიზება მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით;
ვ) სოციალურ საცხოვრისთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე წინადადებებისა და დასკვნების მომზადება.
ზ) სხვა საქმიანობა კომისიის კომპეტენციიდან და საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე.
2. ზემოაღნიშნული საქმიანობის განსახორციელებლად კომისიას უფლება აქვს გამოითხოვოს სხვადასხვა უწყებებიდან, აგრეთვე მერიის საქალაქო სამსახურებიდან და მათდამი დაქვემდებარებული სტრუქტურებიდან ოფიციალური მონაცემები და დოკუმენტები, რომელიც აუცილებელია კომისიის მუშაობისათვის.

თავი III. კომისიის თავმჯდომარის უფლება-მოვალეობები

მუხლი 4
კომისიის თავმჯდომარე:
ა) ხელმძღვანელობს კომისიის მუშაობას, იწვევს და უძღვება სხდომებს;
ბ) კოორდინაციას უწევს კომისიის წევრების მუშაობას;
გ) ხელს აწერს კომისიის მიერ შემუშავებულ დასკვნებსა და წინადადებებს, აგრეთვე კომისიის სხდომის ოქმს;
დ) იწვევს კომისიის მორიგ და რიგგარეშე სხდომებს, დავალებებს აძლევს კომისიის წევრებს;
ე) კომისიის სახელით აწარმოებს სამსახურებრივ მიმოწერას;
ვ) კომისიის სხდომებში მონაწილეობისათვის იწვევს სახელმწიფო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, სპეციალისტებსა და დამოუკიდებელ ექსპერტებს;
ზ) აკონტროლებს კომისიის სხდომების დღის წესრიგს, სამუშაო გეგმისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას;
თ) ახორციელებს მასზე კომისიის მიერ დაკისრებულ ვალდებულებებს;
ი) წარუდგენს ქ. თბილისის მერს წერილობით ანგარიშს კომისიის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ;
კ) ასრულებს წარმომადგენლობით ფუნქციას;
ლ) ახორციელებს სხვა უფლება-მოვალეობებს.

მუხლი 5
1. კომისიის თავმჯდომარეს ჰყავს მოადგილე, რომელიც თავმჯდომარის არყოფნის პერიოდში ახორციელებს მის უფლებამოსილებებს.
2. კომისიის თავმჯდომარის მოადგილე კანონმდებლობის შესაბამისად ასრულებს კომისიის თავმჯდომარის ცალკეულ დავალებებს.

თავი IV. კომისიის მდივანი

მუხლი 6
კომისიის მდივანი:
ა) ორგანიზებას უწევს კომისიის სხდომების გამართვას, განაგებს კომისიის საქმის წარმოებას, კოორდინაციას უწევს კომისიის მუშაობას, აწარმოებს კომისიის სხდომების საოქმო დოკუმენტაციას და ხელს აწერს კომისიის ოქმს;
ბ) კომისიას წარუდგენს განსახილველ საკითხთა განრიგს;
გ) კომისიაზე განსახილველ საკითხთა ჩამონათვალს ურიგებს კომისიის წევრებს და უწევს კონტროლს დოკუმენტაციის შეგროვებასა და მის დამუშავებას;
დ) ახორციელებს კომისიის დებულებით გათვალისწინებულ და მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

თავი V. კომისიის წევრის უფლება-მოვალეობები
მუხლი 7
კომისიის წევრს უფლება აქვს:
ა) კომისიის სხდომაზე დააყენოს საკითხები და წინადადებები. მიიღოს მონაწილეობა მათ განხილვასა და ამ საკითხებისათვის კენჭისყრაში;
ბ) წერილობით აცნობოს ქ. თბილისის მერს თავისი პოზიცია იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელზეც მისი აზრი პრინციპულად განსხვავდება კომისიის სხდომაზე მიღებული წინადადების ან დასკვნისაგან;
გ) კომისიის გადაწყვეტილებით იყოს მისი ოფიციალური წარმომადგენელი.

მუხლი 8
1. კომისიის წევრი ვალდებულია:
ა) მონაწილეობა მიიღოს კომისიის სხდომებში და არ გამოტოვოს სხდომა არასაპატიო მიზეზით;
ბ) შეასრულოს კომისიის დავალებები და დაიცვას ამ დებულებით განსაზღვრული მოთხოვნები;
გ) წარუდგინოს კომისიას ანგარიში დავალებების შესრულების შესახებ;
2. კომისიის წევრებს შეიძლება მიეცეთ აცილება საკითხების განხილვაში მონაწილეობისაგან, თუ ცნობილი გახდა ან დადასტურდება მათი პირდაპირი ან ირიბი, კერძო ან უწყებრივი დაინტერესება კომისიაში განსახილველ საკითხთან დაკავშირებით;
3. კომისიის წევრს უფლებამოსილება უწყდება თუ ზედიზედ 3-ჯერ გააცდენს სხდომას არასაპატიო მიზეზით.

თავი VI. კომისიის მუშაობის რეგლამენტი და ანგარიშვალდებულება
მუხლი 9
1. კომისიის სხდომები იმართება საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ თვეში ერთხელ.
2. კომისიის სხდომის ორგანიზების და მისი მიმდინარეობის წესი განისაზღვრება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად.
3. კომისიის სხდომაზე მოწვეული უნდა იქნეს მისი ყველა წევრი.
4. კომისიაზე არ შეიძლება განხილულ იქნას საკითხი, გარდა შიდა საორგანიზაციო და საპროცედურო საკითხებისა, თუკი ასეთი წინასწარ არ არის შეტანილი კომისიის წევრებთან შეთანხმებულ დღის წესრიგში.
5. კომისიის წევრს უფლება აქვს სხდომის დაწყების წინ წერილობით წარუდგინოს თავისი პოზიცია თავმჯდომარეს სხდომაზე განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც უნდა გაცხადდეს სხდომაზე და გათვალისწინებული იქნას გადაწყვეტილების მიღებისას.
6. კომისიის სხდომა ფორმდება ოქმის სახით, რომელშიც უნდა მიეთითოს:
ა) ოქმის გამომცემი ორგანოს დასახელება;
ბ) სხდომის დრო და ადგილი;
გ) სხდომის თავმჯდომარის და წევრების ვინაობა;
დ) განხილვის საგანი;
ე) კენჭისყრის შედეგები;
ვ) მიღებული გადაწყვეტილება.
7. სხდომის ოქმს ხელმოწერით ადასტურებენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.
8. კომისიის სხდომებზე ხდება დამსწრეთა რეგისტრაცია. კომისია უფლებამოსილია თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილების მიღება ხდება დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმათა თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

მუხლი 10
1. კომისია თავის სხდომებზე გაწეული სამუშაოს შესახებ ანგარიშს წარუდგენს ქ. თბილისის მერს ყოველი კალენდარული წლის დეკემბრის თვეში.
2. ქ. თბილისის მერს შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვონ ანგარიში კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ მის მიერ განსაზღვრულ ვადაში.

ლაუდრუპს ესპანელებისა და ბრაზილიელების სჯერა

სააგენტო goal.com-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ლეგენდარულმა დანიელმა ფეხბურთელმა ჟურნალისტს ჩემპიონთა ლიგასა და მომავალ მუნდიალზე საკუთარი მოსაზრებები გაუზიარა. 1992 წლის ევროპის ჩემპიონს მიაჩნია, რომ, გასულ ტურში მომხდარი სენსაციების მუხედავად, ყველაფერი თავის ადგილას დადგება და ფავორიტებს პრობლემები არ შეექმნებათ.

"შესამე ტურში სიურპრიზები მრავლად იყო. "რუბინმა" ბარსელონაში მოიგო, "რეალმა" და "ლივერპულმა" საკუთარ მოედანზე წააგეს, თუმცა მიმაჩნია, რომ პლეი-ოფში ყველა ის გუნდი ითამაშებს (ერთი-ორი გამონაკლისის გარდა), ვისგანაც ამას ველით, - ამბობს დანიელი და შემდეგ ლიგის მოგების მთავარ ფავორიტებსაც ასახელებს, - ტურნირის დაწყებისთანავე ოთხი ფავორიტი მყავდა და აზრი არც ახლა შემცვლია. "ბარსელონა", "რეალი", "ჩელსი", "მანჩესტერი" - ვფიქრობ, ამ ოთხეულიდან ერთ-ერთი მოიგებს ტიტულს. რაც შეეხება იტალიურ გუნდებს, პირადად მე მათგან ვერც ერთს ვერ ვხედავ ფინალში. პლეი-ოფში ალბათ სამი იტალიური გუნდი ითამაშებს, მაგრამ ფინალამდე ვერც ერთი ვერ მიაღწევს".

მიქაელ ლაუდრუპმა მუნდიალის ფავორიტებიც დაასახელა. "2008 წლამდე ესპანელებს თითქმის არაფერი ჰქონდათ მოგებული, თუ არ ჩავთვლით 1964 წლის ევროპის პირველობას. ახლა ყველაფერი შეიცვალა. მუნდიალზე ჩემი ფავორიტები ესპანეთი და ბრაზილია არიან."

რობინიოს "ბარსელონაში" სურს თამაში

"სიტის" მთავარი მწვრთნელის მარკ ჰიუზის განცხადებით, გუნდი რობინიოს არ გაყიდის. ბრაზილიელი ფეხბურთელი კი, რომელსაც ჰიუზთან რთული ურთიერთობა აქვს, აცხადებს, რომ ახლა მისთვის მთავარი სწორედ "ბარსელონაში" გადასვლაა. "ჩემთვის უდიდესი ბედნიერებაა, რომ "ბარსა" ჩემით დაინტერესდა. ჩემი მიზანი მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულის მოპოვებაა და ამას "ნოუ კამპზე" გავაკეთებ. ისიც ვიცი, რომ "სიტის" ჩემი გაშვება არ სურს. ამბობენ, თითქოს მწვრთნელთან მქონდეს პრობლემა, მაგრამ ასე არ არის. უბრალოდ, ჩემთვის "ბარსელონაში" გადასვლა კარიერაში წინგადადგმული ნაბიჯი იქნება", - აცხადებს რობინიო.

საჩოგბურთო განთესვა

საჩოგბურთო სეზონს ამთავრებს ეგრეთ წოდებული არაოფიციალური მსოფლიო ჩემპიონატები, რომლებშიც სეზონის განმავლობაში ნაჩვენები შედეგების მიხედვით რვა საუკეთესო ვაჟი და ამდენივე ქალი მიიღებს მონაწილეობას. ქალთა ტურნირი დოხაში გაიმართება. უკვე ცნობილია ის რვა ჩოგბურთელი ქალი, რომლებიც სეზონის ბოლო უმნიშვნელოვანესი ტიტულისთვის იბრძოლებს. კვირას დოხაში წილისყრაც გაიმართა. საუკეთესო ჩოგბურთელები ორ ჯგუფად განაწილდნენ. თეთრ ჯგუფში კაროლინ ვოზნიაცკი, დინარა საფინა, ვიქტორია აზარენკა და ელენა იანკოვიჩი მოხვდნენ, შინდისფერ ჯგუფში კი - დები უილიამსები, სვეტლანა კუზნეცოვა და ელენა დემენტიევა.

სიკვდილი საკალათბურთო მოედანზე

კვირას პორტუგალიაში, "ანტონიუ პეტრაშის" სახელობის ტურნირის მცირე ფინალში, გარდაიცვალა პორტუგალიური კლუბის "ოვარენშეს" ამერიკელი კალათბურთელი კევინ უაიდმონდი. კლუბის წარმომადგენლის განცხადებით, კალათბურთელი მეოთხედებს შორის შესვენების დროს გარდაიცვალა. "კევინი სკამზე იჯდა და მწვრთნელის მითითებებს უსმენდა. უცებ იატაკზე დაეცა. მას კონვულსია დაეწყო. კლუბის ექიმმა სასწრაფოდ გაუკეთა გულის მასაჟი, შემდეგ საავადმყოფოში გადავიყვანეთ. სამწუხაროდ, მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა", - თქვა კლუბის წარმომადგენელმა.

ანანიძემ რუსეთი აალაპარაკა

შესაძლოა მალე ანანიძე ამ მაისურს დაემშვიდობოს

გასული უქმეები ქართული საფეხბურთო ლეგიონისთვის განსაკუთრებული არ ყოფილა. ჩვენმა ბიჭებმა და მათმა გუნდებმა ერთი ჩვეულებრივი ტურის მატჩები გამართეს. არც მაინცდამაინც თავი გამოუჩენია ვინმეს. ამიტომ, ისევე როგორც წინა კვირაში, ლეგიონზე საუბარს მოსკოვის "სპარტაკის" ქართველი წევრით ჯანო ანანიძით დავიწყებთ.

მორიგ ტურში ჩემპიონობისთვის მებრძოლი "სპარტაკი" "ხიმკის" ეწვია და მეტოქე იოლად - 3:0 დაამარცხა. ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელი მოსკოველთა ძირითად შემადგენლობაში იყო და მეორე ტაიმის დასაწყისში მეტოქემ მასთან უხეშობისთვის ყვითელი ბარათი მიიღო.

სტუმართა მთავარმა მწვრთნელმა ვალერი კარპინმა ანანიძე 55 წუთს ათამაშა, მოედნიდან გასვლისას კი გულშემატკივრებმა ქართული ფეხბურთის იმედი აპლოდისმენტებით გააცილეს.

ამ მატჩში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი არაფერია, თუმცა გაცილებით საინტერესოა ის, თუ რაზე წერს უკანასკნელ დღეებში რუსული მედია. ჯანოს "არსენალი" აკვირდება. ქართველის გადაბირების სურვილი თვით არსენ ვენგერმა გამოთქვა, რომელიც ახალგაზრდებთან მუშაობით არის ცნობილი. ახლა ანანიძის სატრანსფერო ფასი 8 მილიონი ევროა - წერენ რუსული გაზეთები და შესაძლოა ქართველი ლონდონურ კლუბში ზამთარშივე გადავიდეს. თუმცა, არსებობს კიდევ ერთი ფაქტორი: ანანიძის ხელში ჩაგდების სურვილი გმოთქვა ორმა იტალიურმა გრანდმა - "მილანმა" და "იუვენტუსმა".

მიმდინარე მოვლენებზე კომენტარი გააკეთა მოსკოვის "სპარტაკის" დირექტორმა დმიტრი პოპოვმა.

"მედიაში გავრცელებული ინფორმაცია ჩემთვის ცნობილია და სულაც არ მიკვირს, რომ ჯანოთი ასეთი გრანდები დაინტერესდნენ, თუმცა ოფიციალური შემოთავაზება არ მიგვიღია. ასეთი შემოთავაზების არსებობის შემთხვევაშიც კი ჯანოს ტრანსფერზე არ ვისაუბრებთ. მას, სულ მცირე, სამი- ოთხი წლის განმავლობაში არ შეველევით".

შედგა დავით სირაძის დებიუტი ნალჩიკის "სპარტაკის" ძირითად შემადგენლობაში - ქართველს თავი არ შეურცხვენია. "ზენიტთან" მატჩში 28 წლის ფორვარდმა მე-10 წუთზე დალაშქრა მასპინძელთა კარი. სირაძემ დენისოვი ჩამოიცილა გზიდან და, მეტოქის საჯარიმოს მიახლოებულმა, მალაფეევს ლამაზი მოჭრილი დარტყმით შორეულ კუთხეში გაუტანა.

მეორე ტაიმში სირაძემ უხეშობისთვის ყვითელი ბარათი მიიღო, 77-ეზე კი ნალჩიკელთა მთავარმა მწვრთნელმა იური კრასნოჟანმა ქართველი თავდამსხმელი მაშუკოვით შეცვალა.

"სპარტაკის" შემადგენლობაში, ტრადიციულად, 90 წუთს ითამაშა ალექსანდრე ამისულაშვილმა, მატჩი კი 2:2 დასრულდა.

გაჭირვებით მოიპოვა ქულა მალხაზ ასათიანისა და დავით მუჯირის "ლოკომოტივმა". მოსკოველები "სატურნს" მასპინძლობდნენ, ორჯერ მარცხდებოდნენ და, ბოლო წუთებზე გატანილი გოლის წყალობით, მარცხი თავიდან აიცილეს. ასათიანმა სრულად ითამაშა, მუჯირი კი ისევ ვერ მოხვდა განაცხადში.

წარმატებული გამოდგა მორიგი ტური საბერძნეთის ჩემპიონატში მოთამაშე გიორგი შაშიაშვილისთვის. ქართველმა მცველმა თავისი პირველი ბერძნული გოლი გაიტანა.

მე-7 ტურში "შაშის" "ერგოტელისი" პირეოსს ეწვია და თემურ ქეცბაიას ყოფილ გუნდს "ოლიმპიაკოსს" დაუპირისპირდა. ანგარიში 23-ე წუთზე გაიხსნა. ბრაზილიელი ბეტოს მიერ მოწოდებულ კუთხურს ნახევარბრუნში ზუსტი დარტყმა შაშიაშვილმა მიაყოლა და სტადიონ "გეორგიოს კარაისკაკისზე" შეკრებილი პუბლიკა შოკში ჩააგდო.

მასპინძლებმა ანგარიში გათანაბრებრეს და 86-ე წუთზე სტუმრებს სამი ქულა "გამოჰგლიჯეს". შაშიაშვილმა 90 წუთს ითამაშა.

გერმანულ ბენდესლიგაში "შალკე" "ჰამბურგს" უმასპინძლა. მატჩი ფრედ - 3:3 დასრულდა. კობიაშვილი მაგათმა განაცხადშიც არ შეიყვანა, ყენია კი მხოლოდ მეორე ტაიმის მიწურულს გამოჩნდა მოედანზე.

გერმანიის მეორე ბუნდესლიგაში ალექსანდრე იაშვილის "კარლსრუე" "ობერჰაუზენს" ესტუმრა და მხოლოდ ყაიმს დასჯერდა. "იაშკამ" ტრადიციულად 90 წუთს ითამაშა და კაპიტნის სამკლაურიც არავისთვის დაუთმია. სამწუხაროდ, ისევ არ უთამაშია "მიუნხენ 1860"-ს წევრს მათე ღვინიანიძეს. ბავარიელები "ფრანკფურტთან" გასვლით მატჩში 2:3 დამარცხდნენ, ქართველი მცველი კი სათადარიგოთა სკამიდან არ წამომდგარა.

ინგლისში ზურაბ ხიზანიშვილმა "გამოიჩინა" თავი. ქართველმა მცველმა "ნიუკასლის" შემადგენლობაში პირველი წითელი ბარათი მიიღო, "კაჭკაჭებმა" კი მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს და თავის დივიზიონში ისევ ლიდერთა შორის არიან.

იტალიის სერია A-მ ამჯერადაც ქართველების გარეშე ჩაიარა. ლევან მჭედლიძე "პალერმოს" შემადგენლობაში არ ყოფილა, სიცილიელებმა კი ქართველის გარეშე "უდინეზე" 1:0 დაამარცხეს. ასევე ვერ ვიხილეთ საქმეში "მილანის" მცველი კახა კალაძე, რომელიც "როსონეროს" თავკაც ლეონარდოს ვერონაში "კიევოს" წინააღმდეგ სათამაშოდ არ წაუყვანია. "მილანმა" ნესტას დუბლის წყალობით 2:1 მოიგო.

საფრანგეთის პირველ ლიგაში სათადარიგო იყო ერთ დროს საქართველოს ნაკრების ძირითადი მეკარე გიორგი მაკარიძე. მოქმედ ჩემპიონ "ბორდოსთან" გასვლით მატჩში "ლე მანის" კარს თბილისის "დინამოს" ყოფილი მეკარე დიდიე ოვონო იცავდა, თუმცა, ეს არცთუ კარგად გამოუვიდა, რადგან სტუმრები 0:3 დამარცხდნენ.

წარმატებული მატჩები გამართა რატი ალექსიძემ. 31 წლის ქართველმა ფორვარდმა უნგრული "დიორ ეტოს" რიგებში უკვე მეორე შეხვედრაში გაიტანა გოლი. 21 ოქტომბერს რატიმ კაპოშვარის "რაკოჩის" თასის გათამაშებაში გაიტანა, ახლა კი ჩემპიონატის მატჩში, 88-ე წუთზე დალაშქრა ამავე გუნდის კარი და მასპინძლებს ქულა გადაურჩინა. ორივე მატჩი 1:1 დასრულდა.

უკრაინის ჩემპიონატში ლაშა ჯაკობიას "არსენალმა" ალექსანდრე კობახიძის "კრივბასს" უმასპინძლა და გასავარდნად განწირულ მეტოქეს 2:1 სძლია. ჯაკობიამ მატჩს სათადარიგოთა სკამიდან ადევნა თვალი, კობახიძე კი სტუმართა ძირითად შემადგენლობაში იყო და 63-ე წუთზე შეცვალეს.

ვასილ გიგიაძის "ტავრიამ" "ობოლონთან" გასვლით მატჩში 0:1 წააგო. ქართველი თავდამსხმელი სტუმართა ძირითად შემადგენლობაში იყო და მოედანზე 78 წუთი დაჰყო. ალექსანდრე გურულის "კარპატი" ირაკლი მოდებაძის "მეტალურგს" დაუზავდა. გურულს არ უთამაშია, მოდებაძე კი 86-ე წუთზე შევიდა მოედანზე.

"დნიპრომ" ლიდერ კიევის "დინამოს" ჯაბა კანკავასა და ბექა გოცირიძის გარეშე უმასპინძლა და 0:2 დამარცხდა.

GEONET myhost
შენი ადგილი ინტერნეტში
www.myhost.ge
3 თვე უფასო
ჰოსტინგი
470000
info@myhost.ge
ახლა